საზოგადოებრივ-პოლიტიკური გამოცემა
www.geworld.ge
№31 (502)
4 - 10 სექტემბერი, 2019
# საქართველო და მსოფლიო
ფასი 1 ლარი
geworld@inbox.ru

## ცდუნების გზა
15



## «გაფარჩაკებული» საქართველო და ამერიკის «შეშფოთებული» შტატები
2



## «კოაბიტაცია 2»
გვარამიას მიერ გადაყრილი ბალასტი ხალვაშის «აქტივში»
6





ვაჟა ოთარაშვილი:
## ჩვენ უნდა გამოვიდეთ იმ ბარედან თავსმოხვეული მოჯადოებული პოლიტიკური წრის კომპლექსიდან, რომ «ოკუპანტთან დიალოგი არ შეიძლება»
3



გულბაათ რცხილაძე:
## საქართველოში არის ამერიკის აგენტურა, რომელიც ხელს უშლის რუსეთ-საქართველოს ურთიერთობას
5

## ერთი ქალის ხუშტურების გადამკიდე ქვეყანა ყველა მიმართულებით ზარალდება
7





ნიკოლოზ მჟავანაძე:
## ერთი სული აქვთ, საპატრიარქომ ისინი განკვეთოს. ეკლესიის ნგრევის მცდელობები მერე ნახეთ
8

## ხალხი სხვაა, ხელისუფლება — სხვა, «შუა უზის დიდი ზღვარი»
4



## პრობლემებით სავსე დედაქალაქი
9



ავი მესაიფი

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



**ქართველი საზოგადოების უპირველესი ამოცანაა, ქოცების რეიტინგის დაცემამ ნაცების რეიტინგის მატება არ გამოიწვიოს. არც ქოცი და არც ნაცი! — აი მთავარი ლოზუნგი მომავალი არჩევნებისა, ე.წ. გაერთიანებულ ოპოზიციაზე ლაპარაკი ხომ სასაცილოა, სატირალი რომ არ იყოს.**

# «გაფარჩაკებული» საქართველო და ამერიკის «შეშფოთებული» შტატები

**საქართველო, დიდი ხანია, ყოველგვარი მორალური პრინციპების, წესების გარეშე „ვითარდება“, რადგან, ეტყობა, ვერ გავითავისეთ ჭაბუა ამირეჯიბის სენტენციად ქცეული გამონათქვამი: „ჯერ წესია საქმე და მერე საქმეა საქმე!“ ეს, ისე, წინამდებარე წერილის მცირე ლირიკული შესავალი მკითხველის შესამზადებლად არცთუ ლირიკულ თემაზე სასაუბროდ.**

ზაფხული, კერძოდ, აგვისტო ყველა ნორმალურ ქვეყანაში, როგორც წესი, პოლიტიკური აქტივობის სტაგნაციის პერიოდია, მაგრამ არა საქართველოში. სწორედ ამ ზაფხულს, როგორც იტყვიან, აირია მონასტერი ისე, რომ ძნელად წარმოსადგენია სიტუაციის დალაგება. რით დავიწყოთ: ლგბტ თემის გადამწყვეტი ბრძოლის გამოცხადებით მათი „შელახული“ უფლებების დასაცავად თუ სხვენში შენახული კომპლექსებით? იქნებ „ერთადერთი დამოუკიდებელი“ ტელევიზია „რუსთავი 2“-ის „დახურვით“ აჯობებდა? ანაკლიის მშენებელ, უბრალო ხალხის ხარჯზე გამილიარდერებულ „პატიოსან“ **მამუკა ხაზარაძესა** და მის „პადელნიკ“ **ბადრი ჯაფარიძეზე** რას იტყვით? ან „რუსთავი 2“-ზე არანაკლებ საზიზღარი ტელევიზიის მფლობელი **წერეთელი** რით არის ხაზარაძეზე ნაკლები? და ა.შ. მაგრამ ყველას და ყველაფერს **ბიბილოვის** ულტიმატუმმა რომ „მოუჯოკრა“, ვფიქრობ, სადავო არ არის. ყოველივე ზემოთ თქმულს ერთი სახელი ჰქვია — საქართველოს „გაფარჩაკება“, რის დამტკიცებასაც ქვემოთ შევეცდები. ამას ქურდის ჟარგონებსა თუ სლენგებში მცირე ექსკურსის (წინამდებარე სტატიის სათაურის გამოც) და აქედან გამომდინარე გარკვეული ალეგორიების გარეშე ვერ შევძლებთ...

**„ფარჩაკი“** კრიმინალური ჟარგონით ყოფილ ე.წ. კანონიერ ქურდს ნიშნავს, რომლის „ძველი დიდებიდანაც“ აღარაფერია დარჩენილი. მათზე მაღლა არა მხოლოდ ე.წ. კაი ბიჭები (დამნაშავეთა სამყაროს ტერმინოლოგიით, კანონიერი ქურდების მომდევნო რანგი), არამედ რიგითი პატიმრები, ე.წ. პატიოსანი ჰარიფებიც დგანან. თუ როლებს ალეგორიების მიხედვით გავანაწილებთ, გამოვა, რომ რუსეთის **იმპერია კანონიერი ქურდი ყოფილა, ხოლო საქართველო — მის მიერ დანიშნული ზონის (წაიკითხე, კავკასია) ე.წ. მაყურებელი.**

აი ასე, ჟარგონით თუ ვიტყვით, 200 წლის განმავლობაში „ვუყურებდით“ „კავკასიის ზონას“ ქართველები და საქართველო. საქართველო, რომელიც, ჟარგონის კი არა, ადამიანურ ენაზე თუ ვიტყვით, რუსეთის იმპერატორებმა მიზანმიმართულად სრულიად კავკასიის პოლიტიკურ-ეკონომიკურ და კულტურულ ცენტრად აქციეს დედაქალაქით ტფილისი, აქედან გამომდინარე პრივილეგიებითურთ...

რომანოვების იმპერიის კრახის შემდეგ საქართველომ არათუ შეინარჩუნა ზემოხსენებული სტატუს კვო, არამედ გაზარდა კიდეც. თუნდაც ის ფაქტი რად ღირს, რომ რუსეთის წითელი იმპერიის „კანონიერი ქურდი“ გახდა ქართველი **იოსებ სტალინი**, რომელიც მრავალი წლის განმავლობაში მართავდა საბჭოეთს უმაღლესი ზნეობითა და საზოგადოებრივი მორალის მიხედვით.

საქართველოს ფარჩაკიზაცია ლამის საბჭოეთის ნგრევასთან ერთად დაიწყო და, დღემდე გრძელდება კი არა, მგონი, უკვე დამთავრებულიცაა...

ნატო-ევროკავშირის ქიმერის დევნაში საქართველოს ტერიტორია შაგრენის ტყავივით დაპატარავდა, ზნეობა გადაგვარდა, ქართველობა კი დავცროტავდით. დაკარგულის დაბრუნება კი არა, სიმართლეს თვალს თუ გავუსწორებთ, ისიც არ დავკარგოთ, რაც ჯერჯერობით ჩვენია. სამწუხაროდ, ასე გვაქვს საქმე.

**ქოცები და ნაცები იმის თვლაში ეჯიბრებიან ერთმანეთს, რომელი ხელისუფლების პერიოდში უფრო მეტი აღშფოთების განცხადება გააკეთეს ჩვენმა დასავლელმა „მეგობრებმა“. იმას კი არავინ დაგიდევთ, რომ ამ განცხადებათა რაოდენობის პირდაპირპროპორციულად მოიწევს წინ მავთულხლართები ე.წ. კონფლიქტის ზონაში. ამის საპასუხოდ ოდენ შიშველი უკანალების აქციებს მართავენ საქართველოს „პატრიოტები“.** აბსოლუტურად იგნორირებულია საღი აზრი მასმედიასა თუ პარლამენტში. იგნორირებას ვინ ჩივის, თუ იტყვი, რომ რუსეთთან დიალოგია საჭირო, სამშობლოს მოღალატის იარლიყი გარანტირებული გაქვს; თუ იტყვი, რომ ლგბტ არ გინდა — რუსული ნარატივია; თუ იტყვი, დავითგარეჯა საქართველოა — რუსული ნარატივია; იტყვი, რომ დასავლეთიდან ნიაღვარივით მოედინება გარყვნილების პროპაგანდა — რუსული ნარატივია და უამრავი ასეთი „იტყვი, რომ“ აქვთ მომზადებული ნაცებს... არადა, რა მარტივია გამოსავალი შექმნილი უმძიმესი სიტუაციიდან — დავანებოთ რუსების უაზრო ლანძღვა-გინებას თავი (მოლა ნასრედინისა არ იყოს, რამდენიც უნდა იძახო „ჰალვა, ჰალვა“, პირში სიტკბოს ვერ იგრძნობ); კმარა ამდენი „ოკუპანტო“-ს ძახილი. რა, ამ შეძახილით შევაშინებთ რუსეთს და გაიყვანს სოხუმ-ცხინვალიდან სამხედრო ბაზებს? სოხუმი და ცხინვალი კი არა, რუსეთმა ყირიმის თემა დახურა... **ჩვენს „მეგობარ“ დასავლეთს არც არასოდეს არ უფიქრია ჩვენ გამო რუსეთთან დაპირისპირებაზე და, მიუხედავად სანქციების ბრახაბრუხისა, მათი პოლიტიკური ისტებლიშმენტი ნელ-ნელა რუსეთისკენ იხრება.**



**ნატო-ევროკავშირის ქიმერის დევნაში საქართველოს ტერიტორია შაგრენის ტყავივით დაპატარავდა, ქართველობა კი დავცროტავდით. დაკარგულის დაბრუნება კი არა, სიმართლეს თვალს თუ გავუსწორებთ, ისიც არ დავკარგოთ, რაც ჯერჯერობით ჩვენია. სამწუხაროდ, ასე გვაქვს საქმე**

ახლახან შეიცვალა ხელისუფლება უკრაინაში და პრეზიდენტმა **ვლადიმერ ზელენსკიმ** საპარლამენტო უმრავლესობაც მოიპოვა — ყოფილი იუმორისტის ხელში აბსოლუტური ძალაუფლება აღმოჩნდა. მიუხედავად ამისა, აშშ-ის პრეზიდენტმა დონალდ ტრამპმა კიევისთვის სამხედრო მიზნებისთვის გამოყოფილი 250 მილიონი უკან წაიღო მანამდე, სანამ, ტრამპის თქმით, არ დარწმუნდება, რომ უკრაინის სამხედრო დახმარება სასარგებლო იქნება ამერიკისთვის. უკრაინის ახალდანიშნულმა საგარეო საქმეთა მინისტრმა **ვადიმ პრისტაიკომ** კი განაცხადა: უკრაინა წლების განმავლობაში იარაღით ხელში იბრძოდა იმისთვის, რომ კიევს მოსკოვისგან დამოუკიდებელი საგარეო პოლიტიკა ჰქონოდა და რა მივიღეთ შედეგად? დავკარგეთ ყირიმი და დონბას-ლუგანსკი, ხოლო იმ პოლიტიკურმა ლიდერებმა, რომლებიც მოსკოვთან კონფრონტაციისკენ გვიბიძგებდნენ, ვლადიმერ პუტინთან ერთად ლამის იცეკვონ. ზუსტი ციტირებისა რა მოგახსენოთ, მაგრამ შინაარსობრივად ნამდვილად ეს თქვა უკრაინის ახალმა საგარეო საქმეთა მინისტრმა. ეს იმას ნიშნავს, რომ, უკრაინაში რუსეთთან დაპირისპირების პოლიტიკის ნაცვლად, დიალოგის აუცილებლობაში დარწმუნდნენ.

ყველა ჩვენზე ჭკვიანი როგორ უნდა გამოდგეს?!

ახლა — ბიძინასა და მისი „ქართული ოცნების“ შესახებ, რომლის გულშემატკივარიც მანამდე გახლდით, სანამ არ დავინახე (2016 წლის არჩევნების შემდეგ), რომ „ქართული ოცნება“ სულაც არ ყოფილა ქართველთა ოცნება. იმ დღიდან ქოცების ხელისუფლების რადიკალურ ოპოზიციაში ვარ, მაგრამ ახლა დროებით კვლავ ბიძინას გულშემატკივარი გავხდი... ჯერ მარტო ის რად ღირს, რომ ყოველდღიურად აღარ მესმის საქართველოს დამანგრეველი „რუსთავი 2“-ის ხმა; ახლაა და, სანამ გაზეთის ეს ნომერი დღის სინათლეს იხილავს, როგორც ჩანს, საქართველოს ახალი პრემიერი ეყოლება. ქართველი საზოგადოების უმრავლესობა იწონებს გიორგი გახარიას ქმედებებს, დაე, კიდევ დაიჭირონ, ვინც დასაჭერია. მაგრამ **ბიძინა ივანიშვილს** უნდა ახსოვდეს, რომ „პოლიტიკური რეპრესიები“ ვერ იქნება „ქართული ოცნებისა“ და პირადად ბიძინა ივანიშვილისთვის ხელშეუხებლობის ინდულგენცია-გარანტიები პოლიტიკური ცოდვებისთვის.

ქართველი საზოგადოების უპირველესი ამოცანაა, ქოცების რეიტინგის დაცემამ ნაცების რეიტინგის მატება არ გამოიწვიოს.

არც ქოცი და არც ნაცი! — აი მთავარი ლოზუნგი მომავალი არჩევნებისა. ე.წ. გაერთიანებულ ოპოზიციაზე ლაპარაკი ხომ სასაცილოა, სატირალი რომ არ იყოს?

მაგრამ, მაშ, ვინ? ვიღაც ხომ მოვა ხელისუფლებაში?

იმედია, ეს „ვიღაც“ 2020 წლის არჩევნებისთვის გამოჩნდება და იქნებ ქართველმა საზოგადოებამ სწორი არჩევანი გააკეთოს — ხელისუფლებაში ის ეროვნული ძალა მოიყვანოს, რომელიც ფიზიკური განადგურებისა და მენტალური გადაგვარებისგან იხსნის საქართველოს.

**„დიდი რუსეთის გარეშე არ არის ხსნა საქართველოსა და ქართველებისთვის!“** — ბრძანა საუკუნეზე მეტი ხნის წინათ დიდმა **ილია ჭავჭავაძემ.** ნეოლიბერასტო ხლისტებო, **წმინდა ილია მართალიც** კრემლის აგენტი და სამშობლოს მოღალატე იყო?

**დავით მხეიძე**

**ქოცები და ნაცები იმის თვლაში ეჯიბრებიან ერთმანეთს, რომელი ხელისუფლების პერიოდში უფრო მეტი აღშფოთების განცხადება გააკეთეს ჩვენმა დასავლელმა «მეგობრებმა». იმას კი არავინ დაგიდევთ, რომ ამ განცხადებათა რაოდენობის პირდაპირპროპორციულად მოიწევს წინ მავთულხლართები ე.წ. კონფლიქტის ზონაში. ამის საპასუხოდ ოდენ შიშველი უკანალების აქციებს მართავენ საქართველოს «პატრიოტები»**

**„ის ჩვენი „კეთილისმსურველი“ ევროპელი „ძმები“ თუ „დები“, რომლებიც თავიანთი ქვეყნებისთვის მშვიდობასა და მოლაპარაკებებს ამჯობინებენ, ჩვენ გვაქეზებენ და გვეუბნებიან, რომ ერთი ნაბიჯით უკან არ უნდა დავიხიოთ რუსეთთან. აი ამ პოლიტიკური ცინიზმით ქვას ქვაზე არ დატოვებენ ჩვენს მიწაზე“.**

ინტერვიუ

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



### ვაჟა ოთარაშვილი:

# ჩვენ უნდა გამოვიდეთ იმ გარედან თავსმოხვეული მოჯადოებული პოლიტიკური წრის კომპლექსიდან, რომ «ოკუპანტთან დიალოგი არ შეიძლება»

**28 აგვისტოს საფრანგეთის პრეზიდენტმა ემანუელ მაკრონმა პარიზში უცხოელ დიპლომატებთან გამართულ შეხვედრაზე განაცხადა, რომ დადგა დრო, ევროპამ რუსეთს ხელი გაუწოდოს, რათა მხარეები ისევ ცივი ომის რეალობაში არ აღმოჩნდნენ. მისი შეფასებით, კრემლთან უსაფრთხო და სტაბილური ურთიერთობის გარეშე ევროპას უსაფრთხოების გარანტიები არ ექნება: „ვფიქრობ, ევროპაში უსაფრთხოებისა და ნდობის ახალი მოდელი უნდა შევქმნათ. ეს იმიტომ, რომ ევროპის კონტინენტი ვერასდროს იქნება სტაბილური და უსაფრთხო, თუ რუსეთთან ურთიერთობას არ გავარკვევთ და არ მოვაწესრიგებთ...“ მისივე შეფასებით, მკვეთრი პოლიტიკა, რომელიც ოფიციალურ მოსკოვზე ზემოქმედების არაგონივრულად მომატებისკენ იქნება მიმართული, მხარეებს ერთმანეთს კიდევ უფრო დააშორებს, რაც რუსეთს სხვა კავშირებისა და ალიანსის ძიებისკენ უბიძგებს. იმავე გამოსვლაში მაკრონმა დასძინა, რომ ურთიერთობების გაუმჯობესების პროცესი მხოლოდ უკრაინის საკითხთან დაკავშირებული რამდენიმე პირობის დაკმაყოფილების შემთხვევაში დაიწყება...**

მაკრონის განცხადებამდე ორი დღით ადრე (26 აგვისტოს) ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა **დონალდ ტრამპმაც** განაცხადა, რომ დიდი შვიდიანის სამიტზე არც ერთი გლობალური საკითხის განხილვას აზრი არ აქვს, სანამ აღნიშნულ ფორმატს რუსეთი არ დაუბრუნდება. მისი შეფასებით, თავის დროზე მსოფლიო პოლიტიკის ლიდერებმა გაუაზრებელი ნაბიჯი გადადგეს, როცა რუსეთს დიდი რვიანი დაატოვებინეს. იმავე შეხვედრის შემდეგ ტრამპმა ჟურნალისტებთან განაცხადა, რომ შესაძლოა, მომავალ სამიტზე, რომელიც გაისად ამერიკის შეერთებულ შტატებში გაიმართება, **ვლადიმერ პუტინიც** მიიწვიოს...

**რა გზავნილია მსოფლიოსთვის და, მათ შორის, საქართველოსთვის მაკრონის განცხადება რუსეთთან ურთიერთობის ნორმალიზების აუცილებლობაზე და რა პოლიტიკა შეიძლება გაატაროს ამ გზავნილების კვალდაკვალ თბილისმა კრემლის მიმართ? „საქართველო და მსოფლიოს“ ესაუბრება პოეტი ვაჟა ოთარაშვილი:**

— მაკრონის განცხადება ძალიან მნიშვნელოვანია მსოფლიოში მიმდინარე გეოპოლიტიკური პროცესების ჭრილში. მაკრონი, ცხადია, არ არის ერთადერთი დასავლელი ლიდერი, რომელიც ამბობს, რომ ევროპამ აუცილებლად უნდა დაიწყოს მჭიდრო თანამშრომლობა რუსეთთან, აქამდე ჩვენ არაერთხელ მოგვისმენია მსგავსი განცხადებები გერმანიის, იტალიისა და ევროკავშირის სხვა სახელმწიფოების პოლიტიკური ხელმძღვანელებისგან... რატომ არის მათთვის ესოდენ მნიშვნელოვანი კრემლთან დიალოგი? — მაკრონი, ისევე როგორც სხვა ევროპელი ლიდერები, რომლებიც წლების წინათ დუჟმორეული გაჰყვიროდნენ კრემლის ქმედებებზე და უკრაინაში განვითარებული მოვლენების კვალდაკვალ სანქციების დაწესებით ცდილობდნენ რუსეთის ეკონომიკის დანგრევას, მიხვდნენ, რომ ვერც სანქციებით, ვერც ნავთობის გაუფასურებითა და სხვა დესტრუქციული ქმედებებით მიზანს ვერ მიაღწევენ. პირიქით — მათ დაინახეს, რომ ამ გამუდმებული აგრესიული პოლიტიკის შედეგად საგანგებო რეჟიმში გადასული რუსეთი კი არ დასუსტდა და ჩამოიშალა, მისმა წონამ საერთაშორისო პოლიტიკურ არენაზე კიდევ უფრო მოიმატა. გარდა ამისა, აქ მნიშვნელოვანია ისიც, რომ დღევანდელ მსოფლიოში რუსეთი არის უდიდესი სამხედრო პოტენციალის მქონე ქვეყანა. განსაკუთრებით დიდია მისი რესურსი ბირთვული შეიარაღების თვალსაზრისით. თანამედროვე მსოფლიოში კი სწორედ ბირთვული შეიარაღებაა ის მთავარი საზომი, რომლითაც განისაზღვრება სახელმწიფოს ძლიერება...

რაც შეეხება საქართველოს, თქვენ მკითხეთ, რას ნიშნავს მაკრონის განცხადება საქართველოსთვის, რომლის დეკლარირებული პოლიტიკა მდგომარეობს იმაში, რომ თურმე ევროპა ჩვენი უსაფრთხოების ერთადერთი გარანტია. **მიუხედავად ევროპელი ლიდერების მხრიდან სხვადასხვა პერიოდში გაკეთებული განცხადებებისა, რომ ვერც ნატო, ვერც ევროკავშირი და ვერც ცალკე აღებული რომელიმე დიდი დასავლური სახელმწიფო (მათ შორის — აშშ) ვერ იქნება ჩვენი უსაფრთხოების გარანტი, რეალობა არის ისევ ტრაგიკომიკური — ნაც-ქოცური ხელისუფლება განუხრელად განაგრძობს მოღალატეობრივ რიტორიკას, რომ თურმე ნატოს კარი ღიაა და ევროკავშირშიც მალე მიგვიღებენ.** არადა, ნატოს კარი არათუ ღია არ არის, ნატოს საქართველოსთვის კარი საერთოდ არ აქვს; ევროკავშირს კი თავისი გასჭირვებია. ჩვენთვის ვის სცალია?! ვფიქრობ, ჩვენი პოლიტიკა არასწორად ვითარდება იმ დღიდან, როცა საბჭოთა კავშირი დაიშალა და ვითომ დამოუკიდებლობა გამოვაცხადეთ. **30 წელია, საქართველოს პოლიტიკური ხელმძღვანელობა (ყველას ვგულისხმობ), რომ იტყვიან, ტყემალზე ზის და მოწყვეტილია რეალობას... აი, აქედან უნდა დავიწყოთ პრობლემებზე საუბარი და არა დემაგოგიით, რომ ჩვენ ძირძველი ევროპელები ვართ და ჩვენს ისტორიულ ოჯახში უნდა დავბრუნდეთ. იმ „ისტორიული ოჯახიდან“ უკვე გარბის ინგლისი და მალე, ალბათ, სხვებიც მიჰყვებიან.** ეს ერთი.

და მეორე, რაც, ვფიქრობ, ძალიან მნიშვნელოვანია: **იმ 30-წლიანი პერიოდის გააზრებისას უნდა დავფიქრდეთ და დეტალურად გავაანალიზოთ, როგორ მოხდა, რომ მართლმადიდებელი რუსეთი ემტერება მართლმადიდებელ საქართველოს და პირიქით, მართლმადიდებელი საქართველო პირველ მტრად თვლის მართლმადიდებელ რუსეთს, რომლისგანაც თურმე მსოფლიო გლობალისტურმა ძალებმა უნდა გვიხსნან...**

**— მაკრონის განცხადებამდე ორი დღით ადრე, 26 აგვისტოს დიდი შვიდიანის სამიტზე დონალდ ტრამპმაც განაცხადა, რომ არც ერთ გლობალურ საკითხზე, მათ შორის, არც სირიის, ირანისა და ჩრდილოეთ კორეის თემაზე, მსჯელობას აზრი არ აქვს, სანამ ფორუმს რუსეთი არ დაუბრუნდება...**

— სხვათა შორის, ტრამპმა ისიც თქვა, რომ მომავალ სამიტზე, რომელიც, მოგეხსენებათ, ამერიკის შეერთებულ შტატებში უნდა ჩატარდეს, შესაძლოა, **ვლადიმერ პუტინიც** მიიწვიოს. ერთი მხრივ, მსოფლიო პოლიტიკის ლიდერები გამუდმებით საუბრობენ კრემლთან ურთიერთობების ნორმალიზების აუცილებლობაზე და უკვე დაუფარავად აცხადებენ, ამის გარეშე ევროპის კონტინენტზე მშვიდობა ვერ იქნებაო; მეორე მხრივ, იმავე ლიდერებს საქართველოს ხელისუფლება, პრაქტიკულად, დაკომპლექსებული ჰყავთ „ოკუპანტთან პირდაპირი დიალოგის მიუღებლობით“. რა გამოდის: **საფრანგეთის პრეზიდენტს თუ მიაჩნია, რომ დასავლეთმა უსაფრთხოების ახალი მოდელი უნდა შექმნას რუსეთის მონაწილეობით, რადგან ამის გარეშე ევროპას მშვიდობა არ უწერია, ხოლო ამერიკის პრეზიდენტს კრემლის მესვეურების მონაწილეობის გარეშე გლობალური საკითხების გადაწყვეტა ვერ წარმოუდგენია, ეს სწორი მიდგომაა და საქართველოს რომელიმე პოლიტიკური ძალა, პარტია ან გაერთიანება რომ ჩავიდეს მოსკოვში მოსალაპარაკებლად, მოღალატეა? ამაზე დიდი მოღალატეობრივი პოლიტიკა, ამაზე დიდი ანტიქართული და ანტისახელმწიფოებრივი მიდგომა შეიძლება არსებობდეს?!**

**— დასავლეთი ორმაგი სტანდარტებით ხელმძღვანელობს, როცა, ერთი მხრივ, დიალოგის აუცილებლობაზე საუბრობს მოსკოვთან და, მეორე მხრივ, თავის სატელიტ ქვეყნებს (მათ შორის საქართველოსაც) არ აძლევს კრემლთან ურთიერთობების რეალურად მოგვარების საშუალებას?**

— ვერ ვიტყვი, რომ დასავლეთი პირდაპირ უკრძალავს საქართველოს რუსეთთან დიალოგს და მოლაპარაკებას, მაგრამ ის, რომ გარკვეულწილად კონფრონტაციის ინსპირირება ხდება და ცალკეული დასავლელი მაღალჩინოსნების მხრიდან ამას ზოგჯერ საკმაოდ პროვოკაციული ხასიათიც აქვს, აშკარაა. მაგრამ ობიექტურად თუ შევხედავთ, ისინი ამას თავიანთი სტრატეგიული ინტერესებიდან გამომდინარე აკეთებენ და ამ ინტერესების გათვალისწინებით ეს სრულიად ადეკვატურია. **არაადეკვატური და მოღალატეობრივია ნაცქოცების მამებლური პოლიტიკა, რომელიც საქართველოს ეროვნულ ინტერესებს საერთოდ არ ითვალისწინებს და აგებულია დასავლეთის ამოცანებზე.** ზუსტად ამიტომ არის საჭირო და აუცილებელი ამ ხელისუფლების რაც შეიძლება მალე გასტუმრება, თორემ, **თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ ნაც-ქოცების პოლიტიკური დღეგრძელობის ერთადერთი გარანტი დასავლეთის ნეოლიბერალური ელიტისადმი მონური მორჩილებაა, ესენი მალე საქართველოსგან აღარაფერს დატოვებენ.** „ქალები მეძავებად წავიდნენ საზღვარგარეთ, კაცები — შავ მუშებადო“, — ამბობდა ბენდუქიძე და ისე აგიხდეთ ყველაფერი კარგი, როგორც ამას აგვიხდინენ. აი, ეს არის საქართველო, რომელსაც სიცილ-თამაშით გვიშენებენ და მერე გვეუბნებიან, რომ თურმე ყველაფერი არც ისე ცუდადაა, როგორც გვეჩვენება. მე ნამდვილად არ მეჩვენება, რომ 1992 წელს ხუთი მილიონ-ნახევარი ვიყავით და დღეს სამი მილიონი ვართ; ნამდვილად არ მეჩვენება ის, რომ გაყიდეს და უცხოელებს გადასცეს ყველაფერი, ყველა სტრატეგიული ობიექტი, დაწყებული საყდრისის უნიკალური საბადოებით, დამთავრებული ჭიათურის მარგანეცითა და ზესტაფონის ფეროშენადნობი ქარხნით. კიდევ ვიმეორებ: დღევანდელ საქართველოში ყველა ჯურის უცხოელი ბედნიერად გრძნობს თავს, ქართველი კი — არა.

**— გამოსავალს ხედავთ?**

— ჩვენ, უწინარესად, უნდა მივიდეთ დასკვნამდე, რომ ამ პოლიტიკის პირობებში შემოტრიალების პროცესზე საუბარიც ზედმეტია; იმიტომ, რომ არსებულ ხელისუფლებას, მის მიერ ხელოვნურად შექმნილ ნაცსექტანტურ პოლიტიკურ სპექტრთან ერთად, ამის არც ნება აქვს და არც უნარი. ჩვენ უნდა გამოვიდეთ იმ გარედან თავსმოხვეული მოჯადოებული პოლიტიკური წრის კომპლექსიდან, რომ „ოკუპანტთან დიალოგი არ შეიძლება“. ასე რომ ეხელმძღვანელათ ჩვენს მეფეებს, საქართველოს ნაწილი დღეს ირანის იქნებოდა, მეორე ნაწილი თურქეთის და ქართველი საერთოდ აღარ იარსებებდა. ეს ერთი. მეორე, **საქართველოს საგარეო პოლიტიკის ამოსავალი წერტილი უნდა იყოს სამხედრო მიუმხრობლობა. წინააღმდეგ შემთხვევაში, ის ქვეყნები, ის ჩვენი „კეთილისმსურველი“ ევროპელი „ძმები“ თუ „დები“, რომლებიც თავიანთი ქვეყნებისთვის მშვიდობასა და მოლაპარაკებებს ამჯობინებენ, ჩვენ გვაქეზებენ და გვეუბნებიან, რომ ერთი ნაბიჯით უკან არ უნდა დავიხიოთ რუსეთთან. აი ამ პოლიტიკური ცინიზმით ქვას ქვაზე არ დატოვებენ ჩვენს მიწაზე. ამას რუსეთს გააკეთებინებენ და თვითონ მერე შეშფოთებულები დაწერენ სოციალურ ქსელებში, როგორ ფეხქვეშ გათელა კრემლმა საერთაშორისო სამართლებრივი ნორმები.** არადა, სასაცილოდაც არ ჰყოფნის ოფიციალურ მოსკოვს მათი შეშფოთება და გულისწყრომა.

ესაუბრა **ჯაბა ჟვანია**

> **«საფრანგეთის პრეზიდენტს თუ მიაჩნია, რომ დასავლეთმა უსაფრთხოების ახალი მოდელი უნდა შექმნას, რადგან რუსეთთან ნორმალური ურთიერთობის გარეშე ევროპას მშვიდობა არ უწერია, ხოლო ამერიკის პრეზიდენტს კრემლის მესვეურების მონაწილეობის გარეშე გლობალური საკითხების გადაწყვეტა ვერ წარმოუდგენია, ეს სწორი მიდგომაა და საქართველოს რომელიმე პოლიტიკური ძალა, პარტია ან გაერთიანება რომ ჩავიდეს მოსკოვში მოსალაპარაკებლად, მოღალატეა? ამაზე დიდი მოღალატეობრივი პოლიტიკა, ამაზე დიდი ანტიქართული და ანტისახელმწიფოებრივი მიდგომა შეიძლება არსებობდეს?!»**

ხალხი და ხელისუფლება

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ყველა მსხვილი ბაზარი გადანაწილებულია, ზესახელმწიფოების პრეზიდენტების დონეზე გადაწყვეტილია, სად, რა და რა ოდენობით უნდა გაიყიდოს, საქართველოს კი იქ ცხვირს არავინ შეაყოფინებს, არავინ დააზარალებს საკუთარი ქვეყნის ეკონომიკას 0,1%-ითაც კი საქართველოს ხარჯზე. ამის ნათელი მაგალითი სწორედ წინა ხელისუფლების პირობებში გვქონდა. სააკაშვილი-სარკოზის მეგობრობის ფონზე, ფრანგულ ბაზარზე ქართული მინერალური წყალი შეიტანეს, ერთ თვეში კი აღგავეს პირისაგან მიწისა, რადგან ფრანგული მინერალური წყალი 0,001%-ით ნაკლები გაიყიდა. რეალურად, საუბარი სულ რამდენიმე ათას ევროზე იყო, მაგრამ ის რამდენიმე ათასი ევროც კი არ მოაკლეს ფრანგებმა საფრანგეთის ბიუჯეტს.**

# ხალხი სხვაა, ხელისუფლება — სხვა, «შუა უზის დიდი ზღვარი»

**შემოდგომა დადგა და, შესაბამისად, რთველიც კარს მოგვადგა — რთველი, რომელიც ქართველი კაცის თვითმყოფადობასთან ასოცირდება; ღვინო, რომლის სამშობლოდაც საქართველო ითვლება; და ყურძენი, რომლის მოვლაც ლოცვას ჰგავს... სეტყვისა თუ სხვა ბუნებრივი სტიქიის მიუხედავად, მოსავალი წლეულს საკმაოდ კარგი იქნება და ამას არც კახელი გლეხები მალავენ. ისინი დიდი იმედით უყურებენ რთველს და ვარაუდობენ, რომ იმდენ შემოსავალს მიიღებენ, მომავალ რთვლამდე თუ არა, ნახევარი წელი მაინც იმყოფინებენ. ასეა ყოველთვის, მერე იწყება სახელმწიფოს მხრიდან იმის გაცხადება, რომ რთველი წარმატებულია, გლეხები დაბალ ფასზე ჩივიან და საბოლოოდ, პრინციპით — სხვისი ჭირი, ღობეს ჩხირი, გლეხობის ძირითადი ნაწილი უკმაყოფილო რჩება, საქართველოს დანარჩენ მოსახლეობას კი საერთოდ არ ადარდებს, ვინმემ იზარალა თუ იხეირა ყურძნის მოსავლით.**

როგორც უნდა შევალამაზოთ და როგორც უნდა დავმალოთ, ფაქტია — შარშან და მიმდინარე წლის პირველ ორ კვარტალში საქართველოდან უცხოურ ბაზარზე გასული ღვინის ლამის 80%-ზე მეტი რუსეთში გაიყიდა, დანარჩენი კი 49 ქვეყანაზე გადანაწილდა.

**„წელს 10 ათასი ტონა ატამი გავიდა ექსპორტზე; სამწუხაროდ, ძირითადად, რუსეთში. ტერიტორიული სიახლოვისა და იმის გამო, რომ რუსული ბაზარი ყველაზე მაღალფასიანი ბაზარია. სადაც მეტს იხდიან, პროდუქტიც იქით მიდის. რესურსი იხარჯება ბაზრების დივერსიფიცირების მიზნით და არც ერთი თეთრი რუსეთის ბაზარზე გასვლას არ ხმარდება. ჩვენი ატამი იყიდება აზერბაიჯანში, ყაზახეთსა და ტაჯიკეთში, სადაც ჩვენი ოპერატორები მუშაობენ. სხვა ბაზრებზეც თანდათან გავალთ. ასე იქნება კენკროვანი კულტურების შემთხვევაშიც. 2018-19 წლების სეზონზე საქართველოდან ექსპორტზე 14 ათას ტონაზე მეტი ვაშლი გავიდა, რაც 90-ინი წლების შემდეგ არ მომხდარა“,** — განაცხადა სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილე **გიორგი ხანიშვილმა.**

ეს კაცი ადასტურებს, რომ რუსეთის ბაზარი არის ყველაზე მაღლფასიანი ბაზარი, არის ყველაზე ახლოს და არის ბაზარი, სადაც ყველაზე მეტი ქართული პროდუქტი იყიდება... სამწუხაროა, რომ ასეაო. უფრო გასაგებად რომ ვთქვათ, **მინისტრის მოადგილე წუხს იმაზე, რომ გლეხები პროდუქტს ახლოს ძვირად და მარტივად ყიდიან და იმისთვის, რომ ეს მიმართულება განვითარდეს, სახელმწიფო არც ერთ თეთრს არ ხარჯავს, სამაგიეროდ მილიონები იხარჯება სხვა ბაზრების ათვისებაზე და... მაინც არაფერი გამოდის. რუსული ბაზარი კი, რომელიც თურმე თავის ნებაზეა მიშვებული და ყურადღებას არავინ აქცევს, მაინც ყველას სჯობს, მაინც საუკეთესოა და გლეხობა, ძირითადად, მას ეტანება.**

პოლიტიკურ ენაზე ამას, სავარაუდოდ, პოლიტიკური სიბეცე ჰქვია, მაგრამ იმის ახსნაც საჭიროა, რატომ იჩენს ხელისუფლება ამ სიბეცეს და მართლა ვერ ამჩნევს თუ არ იმჩნევს, რომ საკუთარი ხელით ანადგურებს როგორც ქვეყნის ეკონომიკას, ისე სოფლის მეურნეობის მომავალს. ამჟამინდელი ხელისუფლების ერთ-ერთი მთავარი დაპირება ხომ მილიარდიანი ინვესტიცია იყო სოფლის მეურნეობაში და **რისთვის უნდა განხორციელდეს (ნაწილი უკვე განხორციელდა) ეს ინვესტიცია, თუ ხმამაღლა ვიტყვით იმას, რომ გვაქვს ყველაზე მაღალფასიანი და ყველაზე ახლო ბაზარი, მაგრამ ჩვენ უარს ვამბობთ ამ ბაზარზე და მილიონებს ვხარჯავთ იმისთვის, რომ შევიდეთ სხვა ბაზრებზე, ანუ იქ, სადაც რეალურად იმ პროდუქციის ნახევარიც კი არ გვეყიდება, რამდენიც ამ ერთ ბაზარზე?**

ნათქვამია, სულელები საკუთარ შეცდომებზე სწავლობენ, ჭკვიანები — სხვისაზეო. ამ ხელისუფლებამ კი ვერც სხვის შეცდომაზე ისწავლა და ვერც საკუთარზე. მტკიცებით ფორმაში შეიძლება იმის თქმა, რომ ის თანხა, რომელიც წინა ხელისუფლებამ დახარჯა ქართული პროდუქციის პიარში, უპრეცედენტოა და ამჟამინდელი ხელისუფლების დანახარჯი ამ მიმართულებით ახლოსაც ვერ მივა. იმხანად **ქართული პროდუქციის პიარში ჩართული იყო ყველა — ხელისუფლების პირველი პირებით დაწყებული, ელჩებითა და ხელოვნების სფეროს წარმომადგენლებით დამთავრებული, მაგრამ იმ პირობებშიც კი, როცა ათეულობით მილიონს ვხარჯავდით, როცა საქართველოში ჩამოსულ ნებისმიერ უცხოელს შინ ყუთებით ვატანდით მინერალურ წყალსა თუ ღვინოებს, ვერ მოხერხდა სრულფასოვანი შემცვლელი ბაზრის პოვნა. ვერ მოხერხდა იმიტომ, რომ, მსოფლიო პოლიტიკის მიხედვით, ყველა მსხვილი ბაზარი გადანაწილებულია, ზესახელმწიფოების პრეზიდენტების დონეზე გადაწყვეტილია, სად, რა და რა ოდენობით უნდა გაიყიდოს და საქართველოს იქ ცხვირს არავინ შეაყოფინებს.** არავინ დააზარალებს საკუთარი ქვეყნის ეკონომიკას 0,1%-ითაც კი საქართველოს გამო. ამის ნათელი მაგალითი სწორედ წინა ხელისუფლების პირობებში გვქონდა. სააკაშვილი-სარკოზის მეგობრობის ფონზე, ფრანგულ ბაზარზე ქართული მინერალური წყალი შეიტანეს და ერთ თვეში აღგავეს პირისაგან მიწისა, რადგან ფრანგული მინერალური წყალი 0,001%-ით ნაკლები გაიყიდა. რეალურად, საუბარი სულ რამდენიმე ათას ევროზე იყო, მაგრამ ის რამდენიმე ათასი ევროც კი არ მოაკლეს საფრანგეთის ბიუჯეტს.

და ახლა, **როცა ეს მაგალითი თვალწინ გვაქვს, მინისტრის მოადგილე ურცხვად ამბობს, რომ, ყველა სიკეთის მიუხედავად, ხელისუფლება ეძებს ალტერნატიულ გზას, რათა გათავისუფლდეს ყველაზე მომგებიანი ბაზრისგან, მაგრამ ჯერჯერობით ეს გზა არ ჩანს. არც მანამდე ჩანდა, არც მომავალში გამოჩნდება, მაგრამ ევროპასა და ამერიკას ხომ უნდა ვაამოთ და ხომ უნდა დავანახვოთ, რომ რუსეთს ვებრძვით, ქართული პროდუქციისა და ქართველი გლეხის, ქართული ეკონომიკის ხარჯზე ვებრძვით და მერე რა, რომ ეს ყველაფერი, პირველ რიგში, სწორედ ქართულ სახელმწიფოს აზარალებს?! მთავარია, ევროპასა და ამერიკას ვასიამოვნოთ.**

„კახეთში არ იცოდნენ, კენკრა სად შეენახათ. მაცივრებში ატამი იყო დასაწყობებული, იქ კენკრას ვერ შეიტანდნენ, რადგან ამ ორ ხილს სხვადასხვა ტემპერატურული რეჟიმი სჭირდება... ექსპორტი ასე არ ხდება. 10, 20 ან 5 ტონით ექსპორტი არ ხდება. თქვენ მერე შეიძლება დასვათ საკითხი, ფულს ვინ გადაუხდის, ვინ გადაუზიდავს, თვითმფრინავს ვინ დაუქირავებს. ექსპორტი ეს არ არის. მე ვერ დავუკრეფ და ვერ შევუნახავ. ვინც ამ ბიზნესს ხელს ჰკიდებს, მან უნდა გათვალოს, სად უნდა მიაწოდოს, რომელ ბაზარს. სახელმწიფო არ ეძებს გასაღების ბაზარს“, — ეს სიტყვებიც **გიორგი ხანიშვილს** ეკუთვნის.

საოცარია, მაგრამ ფაქტი: ბატონი გიორგი ჯერ ამბობს, სახელმწიფო გასაღების ბაზარს ეძებსო და შემდეგ — სახელმწიფო გასაღების ბაზარს არ ეძებს და ვინც ექსპორტზე ფიქრობს, ბაზარიც იმან უნდა მოძებნოსო. თუმცა, მოძებნილი რუსული ბაზარი სახელმწიფოს „სამწუხაროდ“ ხელს არ აძლევს, გადამხდელუნარიანი ბაზარი არ აძლევს ხელს და როგორ არ ვთქვათ, რომ ეს პარადოქსი არ არის?!

საზოგადოდ, ასეთი მიდგომა ერთადერთ რამეს ემსახურება — დაანახვონ ევროპასა და ამერიკას, რომ მათ მიერ გადმოგდებული გრანტების გამო, **ხელისუფლების უმაღლესი პირები მზად არიან, ყველა და ყველაფერი ზვარაკად შესწირონ; მათ შორის, გლეხობაც, რომელზეც, წესით, უნდა იდგეს ქართული ეკონომიკა და რომლის ძლიერება ქვეყნის ძლიერების საწინდარი უნდა იყოს.** მიუხედავად იმისა, რომ ხელისუფლების უმაღლესი პირები ამგვარი განცხადებებით ცდილობენ, დასავლეთს თავი მოაწონონ, მაინც წამოსცდებათ ხოლმე „მწარე სიმართლე“, **მაინც გაექცევათ ხოლმე სიტყვა და უწევთ იმის აღიარება, რომ რუსული ბაზარი რეალურად უალტერნატივოა. ეს მაშინ, როცა სწორედ რუსული ბაზარი „თავისუფალ ცურვაშია“ გაშვებული, ხელისუფლება ხელის შეშლის მეტს არაფერს აკეთებს და ის მაინც საუკეთესოდ რჩება.**

კარგად გემახსოვრებათ, თავის დროზე **ირაკლი ოქრუაშვილმა** რომ თქვა, — ფეკალიებიც კი გაიყიდება რუსულ ბაზარზეო. არადა, მაგ „ფეკალიების ბაზრისთვის“ მსოფლიო იბრძვის, არსებული სანქციების მიუხედავად, ყველა ცდილობს, საკუთარი პროდუქცია შეიტანოს რუსულ ბაზარზე და თავისი ადგილი ჰქონდეს. რატომ? იმიტომ, რომ სწორედ რუსულ ბაზარზეა ჩამოკიდებული და გამოკიდებული თითქმის ყველა განვითარებული ქვეყნის ეკონომიკა და ამ განვითარებულ ქვეყნებს სწორედ ისეთი სახელმწიფოები უშლიან, როგორიც საქართველოა. ამიტომ საქართველოს დარ ქვეყნებს რუსულ ბაზარზე სავალი გზა უნდა მოეჭრათ და იქ მხოლოდ ძლიერებს დარჩეთ მისასვლელი თუ შესასვლელი. საქართველოს ხელისუფლება ამას ვერ ხვდებაო, რომ ვთქვათ, სისულელე იქნება. ხელისუფლების წარმომადგენლებმა ჩვენზე კარგად იციან ყველაფერი ციფრებში და, ამის მიუხედავად, იქცევიან ისე, რომ რიგითი ადამიანები დაზარალდნენ, ისინი, ვისზეც სახელმწიფო უნდა იდგეს.

**ბესო ბარბაქაძე**


გიორგი ხანიშვილი

**მინისტრის მოადგილე წუხს იმაზე, რომ გლეხები პროდუქტს ახლოს ძვირად და მარტივად ყიდიან და იმისთვის, რომ ეს მიმართულება განვითარდეს, სახელმწიფო არც ერთ თეთრს არ ხარჯავს, სამაგიეროდ მილიონები იხარჯება სხვა ბაზრების ათვისებაზე და... მაინც არაფერი გამოდის. რუსული ბაზარი კი, რომელიც თურმე თავის ნებაზეა მიშვებული და ყურადღებას არავინ აქცევს, მაინც ყველას სჯობს, მაინც საუკეთესოა და გლეხობა, ძირითადად, მას ეტანება**

**მიუხედავად იმისა, რომ ხელისუფლების უმაღლესი პირები განცხადებებით ცდილობენ, დასავლეთს თავი მოაწონონ, მაინც წამოსცდებათ ხოლმე «მწარე სიმართლე», მაინც გაექცევათ ხოლმე სიტყვა და უწევთ იმის აღიარება, რომ რუსული ბაზარი რეალურად უალტერნატივოა. ეს მაშინ, როცა სწორედ რუსული ბაზარი «თავისუფალ ცურვაშია» გაშვებული, ხელისუფლება ხელის შეშლის მეტს არაფერს აკეთებს და ის მაინც საუკეთესოდ რჩება**

„ამ ყველაფრის თავიდათავი 20 ივნისის მოვლენებია, რომლებიც აშშ-ის პრეზიდენტობის კანდიდატის, ჯო ბაიდენის, საგარეო პოლიტიკის მრჩევლისა და აშშ-ის თავდაცვის მდივნის ყოფილი თანაშემწის — მაიკლ კარპენტერის სიტყვებს მოჰყვა. მან თქვა: როგორ შეიძლება საქართველოში ამდენი ტურისტი იყოს, აქ ყიდულობენ ქონებას რუსეთის მოქალაქეებიო; და სწორედ მისმა სიტყვებმა გამოიწვია მათი სატელიტების ხელახალი აგრესია რუსეთის მიმართ. ეს ისეთი ნათელი მაგალითია ამერიკის ჩარევისა ქართულ პოლიტიკაში, რომ ამაზე ცოცხალ მაგალითს ვერ მოვიყვან“

ჩაკურსი
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



# გულბაათ რცხილაძე: საქართველოში არის ამერიკის აგენტურა, რომელიც ხელს უშლის რუსეთ-საქართველოს ურთიერთობას

**29 აგვისტოს ღამეს, ალბათ, არც ერთ ქართველს არ უძინია... ცხინვალის დე ფაქტო რეჟიმის წარმომადგენლებმა საქართველოს ულტიმატუმის ფორმით მოსთხოვეს სოფელ წნელისთან ქართული ბლოკპოსტის 30 აგვისტოს 06:00 საათამდე გაუქმება. საქართველოს ხელისუფლებამ ეს ულტიმატუმი არ შეასრულა. „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს უკანონო ბლოკპოსტი განათავსეს სამხრეთ ოსეთისა და საქართველოს „საზღვრის“ მონაკვეთზე სამხრეთ ოსეთის სოფლის უისტას (წნელისის) შემოგარენში. სოფელი უისტა ყოველთვის იყო სამხრეთ ოსეთის შემადგენლობაში და მის შემოგარენში ქართული ძალოვანი სტრუქტურების ყოფნა ადგილობრივი მოსახლეობისთვის პირდაპირი საფრთხეა“, — განაცხადეს ცხინვალის დე ფაქტო ხელისუფლების წარმომადგენლებმა. ვის აძლევს ხელს დაძაბულობა საქართველოში? ვინ ასხამს ცივ წყალს რუსეთ-საქართველოს შორის სულ ოდნავ დამთბარ ურთიერთობებს? როგორ და რა გზით არის შესაძლებელი, რომ საქართველოს მოსახლეობამ მშვიდად იცხოვროს? ამ და სხვა მნიშვნელოვან საკითხებზე „ევრაზიის ინსტიტუტის“ ხელმძღვანელი გულბაათ რცხილაძე გვასაუბრება:**

## «რუსეთში მოღვაწეობს ქართველი პოლიტოლოგი ალექსანდრე ჭაჭია, რომელსაც შეუძლია ლაპარაკი ყველასთან, ვინც საჭიროა. რატომ არ მიმართავენ მას, რომ თავისი პოტენციალი აამოქმედოს?»

— რა მოხდა ოსეთ-საქართველოს ე.წ. საზღვართან ამ დღეებში, ეს, ალბათ, ხელისუფლებამ უკეთ იცის, რადგან ინფორმაციები საკმაოდ წინააღმდეგობრივია. თავდაპირველად საუბარი იყო, რომ წნელისშია ბლოკპოსტი, მერე თქვეს, ჩორჩანაშიაო. ეს ორი სხვადასხვა სოფელია, სხვადასხვა მიმართულებით. რამ გამოიწვია ასეთი მძაფრი რეაქცია ოსებში, გასარკვევია. ფაქტია: ე. წ. სამხრეთ ოსეთის პრეზიდენტი **ანატოლი ბიბილოვი** ბედავს, დაემუქროს საქართველოს ხელისუფლებას, რაც ტრაგიკომიკურია.

ვითარებას რაც შეეხება, ეს არის ერთი ლოკალური ამბავი, რომელიც, რა თქმა უნდა, საშიშია და „ლოკალური“; შესაძლოა, ერთ წუთში გახდეს ფართო მასშტაბიანი, ამიტომაც ეს ფაქტი არ არის განსახილველი, როგორც ერთი, ცალკე აღებული შემთხვევა. ეს ფაქტი არის არასწორი პოლიტიკის შედეგი, უფრო ზუსტად, რუსეთის მიმართ პოლიტიკის არარსებობის შედეგი. ბიბილოვი თავისი შესაძლებლობების იმედით არ იმუქრება, მას სამხედრო ხელშეკრულება აქვს გაფორმებული რუსეთთან, მას ზურგი აქვს რუსეთისგან. ეს არ ნიშნავს იმას, რომ რუსეთმა დაუკვეთა, წნელისთან და ჩორჩანასთან დაემუქრე ქართველებსო. რუსეთს სულ არ აინტერესებს, რა იქნება ამ ადგილებში, მაგრამ **საქართველოს ხელისუფლების მიდგომა და წაყრუება იმაზე, რომ არსებობს რუსეთი, რომელსაც დიდი გავლენა აქვს კავკასიაზე, შეუძლია ბევრი რამის გაკეთება და გაფუჭებაც, მის არაპროფესიონალიზმზე მიუთითებს.**

მოძველებულია ჩვენი ხელისუფლების მიდგომა — საერთაშორისო საზოგადოება მხარს გვიჭერს, რუსეთი ოკუპანტია და ა.შ. ეს ოცი წლის წინათ გავლილი ეტაპია (თუმცა მაშინაც მცდარი მიდგომა იყო), მაგრამ ჩვენ იქ ჩავრჩით და ვერ ვხვდებით, რომ იცვლება გეოპოლიტიკა; იცვლება რუსეთის, ამერიკისა და სხვა დიდი სახელმწიფოების ურთიერთობის მოდელი. ჩვენ ვერ ვაცნობიერებთ, რომ რუსეთთან დიალოგის გარეშე, რუსეთთან დიპლომატიური ურთიერთობების გარეშე ქვეყანა ადეკვატურად არ გამოიყურება.

**— ჩვენც ვხედავთ და რუსული საინფორმაციო საშუალებებიც წერენ, რომ, როგორც კი რუსეთ-საქართველოს შორის ურთიერთობის დათბობა დაიწყება, მაშინვე ახალი პროვიკაციები ჩნდება... ვისი ბრალია ეს: ამერიკელების თუ რუსეთში არსებული ლიბერალური ძალების? აქვე აღვნიშნავ, რომ რუსული საინფორმაციო საშუალებები ხოდორკოვსკისა და ნავალნისაც ასახელებენ...**

— **ხოდორკოვსკი** და **ნავალნი** არაფერ შუაში არ არიან, სისულელეა **ქაცარავასი** და ნავალნის ან ხოდორკოვსკის ხალხის ერთმანეთთან დაკავშირება. პატარა პროვოკატორები, რომლებიც აქ გვყავს, ვერაფერს იზამენ, **ამ ყველაფრის თავიდათავი 20 ივნისის მოვლენებია, რომლებიც აშშ-ის პრეზიდენტობის კანდიდატის, ჯო ბაიდენის, საგარეო პოლიტიკის მრჩევლისა და აშშ-ის თავდაცვის მდივნის ყოფილი თანაშემწის, მაიკლ კარპენტერის, სიტყვებს მოჰყვა.** მან თქვა: როგორ შეიძლება საქართველოში ამდენი ტურისტი იყოს, აქ ყიდულობენ ქონებას რუსეთის მოქალაქეებიო. და სწორედ მისმა სიტყვებმა გამოიწვია მათი სატელიტების ხელახალი აგრესია რუსეთის მიმართ. ეს ისეთი ნათელი მაგალითია ამერიკის ჩარევისა ქართულ პოლიტიკაში, რომ ამაზე ცოცხალ მაგალითს ვერ მოვიყვან. ამერიკას თავისი ცუდი ინტერესი აქვს რუსულ-ქართული ურთიერთობების მიმართ. ამერიკას არ სურს, მაგრამ საქართველოს ინტერესებში ეს უნდა იყოს — თუ ჩვენი ხელისუფლება გადაწყვეტს, მოაგვაროს ურთიერთობა რუსეთთან, ამაში ხელს ვერავინ ვერ შეუშლის. ამერიკელები შეეცდებიან, თვითონ მიესადაგონ ქართველების გადაწყვეტილებას. სწორედ ამიტომ ვამბობ, რომ **რუსეთთან უნდა დაიწყოს მოლაპარაკებები და ეს მოლაპარაკებები ვინმე „ჭიჭიკოებმა“ კი არ უნდა აწარმოონ, არამედ ისეთმა ადამიანებმა, რომლებსაც ლაპარაკი შეუძლია რუსეთთან, იცნობენ რუსეთს და იციან ისტორია, თანაც რუსეთში უნდა ენდობოდნენ ამ ადამიანებს.**

**— ვინ არიან ეს ადამიანები და ვის შეიძლება დაელაპარაკოს ოფიციალური რუსეთი, გარდა საქართველოს ხელისუფლებისა?**

— რუსეთში მოღვაწეობს ქართველი პოლიტოლოგი **ალექსანდრე ჭაჭია.** მას შეუძლია ლაპარაკი ყველასთან, ვინც საჭიროა. რატომ არ მიმართავენ მას, რომ თავისი პოტენციალი აამოქმედოს? ამის გაკეთება შემიძლია მეც... ოფიციალური რუსეთი დაელაპარაკება ყველას, ვისაც საქართველო წარადგენს, ზუსტად ისევე, როგორც **ზურაბ აბაშიძეს.** სამწუხაროდ, აბაშიძე არ არის აქტიური ადამიანი, მას ერთხელაც არ უთქვამს, რომ რუსოფობიური განცხადებები დაუშვებელია.

**— გამორიცხავთ, რომ რუსეთის ოპოზიციის წარმომადგენლების ხელიც ერიოს ამ ყველაფერში ამერიკასთან ერთად?**

— არასოდეს მსმენია, რომ ნავალნი ჩარეულიყოს რუსულ-ქართულ ურთიერთობებში და ამიტომ ეს თემა საუბრიდან ამოვიღოთ. საქართველოში არის ამერიკის ინტერესი და მისი აგენტურა, რომელიც ხელს უშლის რუსეთ-საქართველოს ურთიერთობას. საქართველოში უამრავი იდიოტია, ნავალნი კი იდიოტი არ არის.

რუსეთის პრეზიდენტმა **ვლადიმერ პუტინმა** ყველა რუს ლიბერალს ცივი წყალი გადაასხა 20 ივნისის მოვლენების დროს, უფრო ზუსტად, როცა იდიოტმა **გაბუნიამ** შეიგინა, პუტინმა განაცხადა: — ვიღაცამ შეიგინა, მერე რა მოხდა, დაწყნარდითო. ეს იყო რუსეთის პრეზიდენტის პოზიცია და სწორი მიდგომა. ჩვენ ორიენტაცია უნდა ავიღოთ რუსეთის პრეზიდენტზე და არა ვიღაცებზე.

**— რა საკითხებზე უნდა ისაუბროს საქართველომ რუსეთთან, თუკი ასეთი რამ მოხდება?**

— აუცილებლად უნდა შედგეს დღის წესრიგი, გზამკვლევი უნდა გავაკეთოთ: პირველი — სასწრაფოდ უნდა აღვადგინოთ დიპლომატიური ურთიერთობები; უნდა ვთქვათ აუცილებლად, რომ არასოდეს ვაღიარებთ აფხაზეთისა და ოსეთის დამოუკიდებლობას, რომ ეს საქართველოს ტერიტორიაა; უნდა შევცვალოთ რუსეთთან დაძაბულ ურთიერთობა უფრო თბილი მიდგომებით; გავაუქმოთ ქარტიის გადაწყვეტილება საბჭოთა სიმბოლიკების აკრძალვის თაობაზე. მართალია, რუსეთს აღიარებული აქვს აფხაზეთისა და ოსეთის დამოუკიდებლობა, მაგრამ, თუკი ჩვენ წავალთ დიალოგის გზით, ამ პრობლემას პირველ ჯერზე ვერ შევეხებით, ჯერ სხვა რამ უნდა დალაგდეს, გამოირიცხოს დაპირისპირება საერთაშორისო ფორუმებზეც. გრძელვადიან პერსპექტივაში შესაძლო იქნება სხვა, უფრო მნიშვნელოვან საკითხებზე გადასვლა. რუსეთი ამის წინააღმდეგი არ იქნება, დამიჯერეთ.

**— სწორი გადაწყვეტილება იყო საზღვართან ბლოკპოსტის აშენება?**

— შესაძლოა, სწორი იყო, არ ვიცი. ვიცი ის, რომ მართლა არ შეიძლება სულ ცალმხრივად ხდებოდეს საზღვრის გავლება. ის მხარეც ითხოვდა, რომ მოგველაპარაკებინა, სად იყო გამმიჯნავი ხაზი. თუკი აიგება ქართული პოსტები, ღობეები აღარ იქნება საჭირო. აქედან გადაბოდიალდებიან ხან მეცხვარეები, ხან — პროვოკატორები, ქაცარავასნაირები, მერე ამბობენ, გაიტაცესო. საპატარძლოები ხომ არ არიან, რომ გაიტაცონ? უბრალოდ, არღვევენ გამყოფ ზღვარს, აკავებენ, გადაჰყავთ განყოფილებაში და მერე ისევ უშვებენ. თუ ქართული მხარე რუსეთთან და ოსეთთან შეთანხმებით დაუშვებს გამმიჯნავი ხაზის არსებობას, მსგავსი პროვოკაციები აღარ მოხდება. ჩვენ რომ შეთანხმება გვქონოდა, გუგუთიანთკარის ნაწილი აქეთ დარჩებოდა, არავის უნდა ეზოს ნახევრის წაღება, რომ ბოსტანი იქით დარჩეს და ბოსელი — აქეთ. ამას მოლაპარაკება სჭირდება.

**— ამბობთ, რომ პუტინმა დაინდო ივნისში ქართველი ხალხი, მაგრამ რამ განაპირობა ბიბილოვის ულტიმატუმი და ვინ მისცა მის საქციელს ბიძგი? მართლაც ხომ არ აქვთ სეპარატისტებს რუსული ოპოზიციის ზურგი?**

**— ბიბილოვს, საზოგადოდ, აქვს ზურგი, მაგრამ ამ შემთხვევაში, მან ასე ვთქვათ, იპოპულისტა. ხომ ნახეთ, რომ მის ულტიმატუმს მოსკოვში არავინ აჰყვა. ჩორჩანას გამო რუსეთი ომს არ დაიწყებს. არ აჰყვა რუსეთი და ბიბილოვიც უმალვე კონსტუქციული გახდა. ეს მისი შეცდომა იყო.**

ამიტომ ვამბობ, რუსეთთან ურთიერთობის დალაგება, დალაპარაკება მსგავს დაძაბულობებს მოგვიხსნის. ჩვენ თუ რუსეთთან კონსტრუქციულად ვილაპარაკებთ, ოსებიც და აფხაზებიც გაცილებით დამყოლები გახდებიან.

**«სასწრაფოდ უნდა აღვადგინოთ დიპლომატიური ურთიერთობები, უნდა ვთქვათ აუცილებლად, რომ არასოდეს ვაღიარებთ აფხაზეთისა და ოსეთის დამოუკიდებლობას, რომ ეს საქართველოს ტერიტორიაა; მაგრამ შევცვალოთ რუსეთთან დაძაბული ურთიერთობა უფრო თბილი მიდგომებით; გავაუქმოთ ქარტიის გადაწყვეტილება საბჭოთა სიმბოლიკების აკრძალვის თაობაზე... გრძელვადიან პერსპექტივაში შესაძლებელი იქნება სხვა, უფრო მნიშვნელოვან საკითხებზე გადასვლა. რუსეთი ამის წინააღმდეგი არ იქნება»**

ესაუბრა
**ეკა ნასყიდაშვილი**

ბაკურ სვანიძის საავტორო გვერდი

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



**ქიბარ ხალვაშს ზუსტად ისევე ჰგონია, რომ ეს ხალხი „შეინარჩუნა“, როგორც ორიოდე წლის წინათ ტელეკომპანია „იმედის“ ახალ მენეჯმენტს ეგონა, როცა „რუსთავი 2“-დან შოუ „ნიჭიერი“ და კიდევ რამდენიმე გადაცემა „გადაიბირა“. სინამდვილეში ეს გადაცემები ნიკა გვარამიას მიერ მოშორებული გაცვეთილი და ნახმარი „ბალასტი“ იყო, რომლის დაფინანსებას აღარ აპირებდა.**

# «კოაბიტაცია 2»

## გვარამიას მიერ გადაყრილი ბალასტი ხალვაშის «აქტივში»

## ნიკა გვარამია ნაგავს იშორებს

**ჯერ კიდევ შარშან, როდესაც „ფეისბუკის“ პირად გვერდზე დავწერე, რომ სტრასბურგის სასამართლო აუცილებლად ძალაში დატოვებდა საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებას „რუსთავი 2“-ის საქმეზე, ნაცები დამესხნენ თავს და „იურისპრუდენციაში ჩაუხედავი უვიცი და გაუნათლებელი“ მიწოდეს, ისევე, როგორც მოსამართლე ურთმელიძეს. როდესაც იმავე დღეს მეორე პოსტში ვთქვი, რომ „რუსთავი 2“ დაახლოებით ერთ წელიწადში დაუბრუნდება ქიბარ ხალვაშს, მაგრამ ამით დიდი არაფერი შეიცვლება, რადგან ის აუცილებლად დატოვებს არხზე თანამშრომლების 70 პროცენტს მაინც და „რუსთავი 2“-ის ნაცების მონა თანამშრომლები, უბრალოდ, „პატრონს“ შეიცვლიან და ისევ ისე განაგრძობენ მუქთამჭამელობას, როგორც აქამდე-მეთქი, აქ უკვე ქოცები დამესხნენ თავს და დამაბრალეს, რომ მე თურმე „ბუნებით პესიმისტი და უარყოფითი განწყობების მთესველი“ ვარ და ე.წ. ჰეიტერობა (ყველაფერზე ცუდი და უარყოფითი აზრის გამოთქმა) მომწონს.**

ახლა, როდესაც ორივე ეს პროგნოზი ზედმიწევნით ახდა, როგორც სჩვევიათ, ნაცები ყველაფერს სტრასბურგის სასამართლოს მოსყიდულობას, ხოლო ქოცები „რუსთავი 2“-ში მიმდინარე მოვლენებს „საჭირო დროებით თავშეკავებულობას“ მიაწერენ.

დაუსაბუთებელი გამართლება, ანუ როგორც დამკვიდრდა, „გაპრავება“ ყველაფერს მოეძებნება, თუკი ადამიანმა ნამუსი და შუბლის ძარღვი დაკარგა. მაგრამ მოდი, სტრასბურგის სასამართლოს „მოსყიდულობის“ თემა და გონებრივი აზროვნების ჩარჩოებიდან გასული გამწარებული ნაცები ამ კონკრეტულ შემთხვევაში „დავიკიდოთ“ და ვისაუბროთ იმაზე, ვის უფრო აქვს ეს შუბლის ძარღვი გაწყვეტილი: ამათ „გამპრავებელს“ — მათ, ვინც „რუსთავი 2“-ზე სამუშაოდ დარჩა, თუ მათ, ვინც ისინი იქ დატოვა?

სხვათა შორის, **ისიც ვთქვათ, რომ იქ დარჩენილებს ნაცები მეტად „აბულინგებენ“, ამუნათებენ და ლანძღავენ სოციალურ ქსელებში, ვიდრე ქოცები. ეს უკანასკნელნი ისევ თავისი საყვარელი საქმიანობით — ყველაფრის „გაპრავებით“ არიან დაკავებული და ხშირად ქიბარ ხალვაშს აქებენ კიდეც ასეთი „გაწონასწორებული“ მოქმედებებისთვის...**

სიტყვამ მოიტანა და, ბარემ გავიხსენოთ კიდევ ერთი „გაწონასწორებული“, რომელსაც სწორედ ასე აქებდნენ, ადიდებდნენ, ხოტბას ასხამდნენ და დღეს „ოცნების“ მთავრობა მის დაპატიმრებასაც კი ფიქრობს. ეს „გამპრავებლები“ კი **გიორგი კვირიკაშვილის** შესაძლო დაჭერას სწორედ ისევე „აპრავებენ“ და ტაშს უკრავენ, როგორც „დაცვის გარეშე მოარულ“ პრემიერმინიტრს „აპრავებდნენ“ თავის დროზე...

მოკლედ, „გამპრავებელთა“ „მოღვაწეობა“ უკვდავი და შეუქცევადი პროცესია და მოდი თავიანთ ნირვანაში დავტოვოთ. ჩვენ, უბრალოდ, ვცადოთ, ობიექტური სურათი დავხატოთ: **რა უდევს საფუძვლად ქიბარ ხალვაშის მოქმედებებსა და გადაწყვეტილებებს — რეალური კომერციული ან პოლიტიკური გათვლა თუ, უბრალოდ, გაგრიობა და სერიოზული შიში, რომ ამ ხალხის არხიდან წასვლის შემთხვევაში ტელევიზია მაყურებელს დაკარგავს და ვეღარასოდეს შეძლებს რეიტინგის შენარჩუნებას?**

თავიდანვე სიმართლეს გეტყვით — მეორე ვერსიას უფრო ვემხრობი და ამ სტატიაშიც შევეცდები, ნათლად დაგანახვოთ, რატომ ვფიქრობ ასე.

ჯერ დავიწყოთ იმით, რა წარმოდგენა აქვთ საკუთარ თავზე მათ, ვინც „რუსთავი 2“-დან წავიდა. მაგალითად, **ვანო ჯავახიშვილმა** სოციალურ ქსელში დაწერა: „ამ ტელევიზიაში მე ჩემი 16-წლიანი მოღვაწეობა დავასრულე“-ო. მათ არც „დარჩენილები“ ჩამორჩებიან და, **ალეკო მალხაზიშვილს** რომ ჰკითხოთ, ის „თავის მოღვაწეობას კვლავ „რუსთავი 2-ზე“ გააგრძელებს“...

ძველ გაზეთებში **ეროსი მანჯგალაძესა** და **რამაზ ჩხიკვაძესთან** ინტერვიუები წავიკითხე, ორივე ასე ამბობდა: „რუსთაველის თეატრში ვმუშაობ“-ო... რა გაეწყობა, ეს გენიოსები, უბრალოდ, „მუშაობდნენ“, ხოლო **მალხაზიშვილი** და **ჯავახიშვილი** „მოღვაწეობენ“. თუ ამას არ დაეთანხმები, ვიღაც აუცილებლად ბოღმიანსა და შურიანს გიწოდებს... ამიტომ, მოდი, ნუ შევეკამათებით, უბრალოდ, გავიხსენოთ, რაში გამოიხატებოდა ამ ადამიანების „მოღვაწეობა“ „რუსთავი 2“-ში.

დავიწყოთ იმით, რომ 2007 წლის 7 ნოემბერს ჯერ მშვიდობიანი მანიფესტაციის დარბევასა და შემდეგ ტელეკომპანია „იმედში“ შეჭრას სრულიად „რუსთავი 2“ აღფრთოვანებული ყიჟინითა და ტაშის დაკვრით შეხვდა. ამის მოწმე პირადად ვარ... მხოლოდ **ზალიკო უდუმაშვილისა** და კიდევ ორიოდე „რუსთავი 2“-ელის ფორმალური მისვლა „იმედის“ ლობესთან და იქ თავშეკავებული განცხადებები, რომ, „რაც უნდა იყოს, მედიასაშუალების დარბევა და განადგურება მაინც არ არის კარგი საქციელი“, მხოლოდ იმაზე მეტყველებდა, რომ „იმედსა“ და **პატარკაციშვილს** ისინიც რუსეთის აგენტებად და ქვეყნის დამაქცევრებად მიიჩნევდნენ, უბრალოდ, მათი აზრით, მედიასაშუალების „ლიკვიდაცია“ სხვა ფორმით უნდა მომხდარიყო და არა ასე უხეშად.

რაც შეეხება კონკრეტულად „კომედიშოუს“ თანამშრომლებს, აქ განსაკუთრებით აღსანიშნავია სამი პერსონა — **ლაშა გაბუნია, ვახო ბიჭიკაშვილი** და **ნიკა არაბიძე,** რომლებიც „ქართული ოცნების“ ლიდერებისა თუ მხარდამჭერების მიმართ განსაკუთრებული აგრესიით გამოირჩეოდნენ. კონკრეტულად, სოციალურ ქსელში ლაშა გაბუნიას გვერდზე ყოველდღიურად იდებოდა ბიძინა ივანიშვილის დედის გინება და ასევე იმ ადამიანებისაც, რომლებიც მის რომელიმე საქციელს ან განცხადებას მოიწონებდნენ. როგორც ჩანს, ქუთაისელმა გაბუნიამ დროზე იყნოსა სიტუაცია და უკვე ორიოდე თვეა, მის გვერდზე ეს პოსტები აღარ იძებნება. სამაგიეროდ, „გაბედული“ და გათავხედებულია „კასპელი ზაურა“. მას სოციალური ქსელის მომხმარებლებმა რამდენიმე თვისწინანდელი პოსტის „სქრინი“ დაუდეს, სადაც ვკითხულობთ — „ვინც ეს ბოლო 7 წელია, თავისუფლად სუნთქავთ, წადით ექიმთან და გაიშუქეთ, ამას წინათ ჩემ ახლობელს დიდი რაოდენობით მძღ...ი აღმოაჩნდა“, — იუმორის ხარისხი ზუსტად შეესაბამება საზოგადოდ „კომედიჯგუფის“ დონეს, ხოლო შინაარსი, რა თქმა უნდა, ახსნაგანმარტებას არ საჭიროებს. მასვე შეახსენეს ის პოსტი, რომელსაც ბიჭიკაშვილი პირადად პაატა სალიაზე წერდა: „სალიას ვუტოვებ ჩემ დუბლიონკას, მოიფაროს, გვერდიდან არ დაგრილოს“. ქიბარ ხალვაშის ადვოკატმა და ამჟამად „რუსთავი 2“-ის გენერალურმა დირექტორმა უკვე გამოართვა თუ არა ეს „დუბლიონკა“ ვახო ბიჭიკაშვილს, ვერ გეტყვით, მაგრამ ფაქტია, რომ **ხალვაშსაც და სალიასაც თავმოყვარეობის სერიოზული პრობლემა აქვთ. სწორედ ეს განაპირობებს, ეტყობა, ვახო ბიჭიკაშვილის გათავხედებასაც. მან ამ „სქრინების“ საპასუხოდ ხალხის მისამართით ასეთი პოსტი გამოაქვეყნა: „ტრ...ში არავის გაერჭოთ“.**

ეს სიტყვები ადამიანებს, ალბათ, იმასაც გაახსენებს, რომ სწორედ ვახო ბიჭიკაშვილს ჰქონდა გარჭობილი ქამარში ახალაიების ნაჩუქარი ცეცხლსასროლი იარაღი და ასე მოძრაობდა 2012 წლამდე. 2012 წლის არჩევნებზე დაამახსოვრა ხალხს თავი **ნიკა არაბიძემაც,** რომელიც თერჯოლაში ახალაიების ნაჩუქარი იარაღით ამომრჩეველს აშინებდა: ხმა ნაციონალებს მიეცით, თორემ ჩემი ხელით დაგიხვრეტთ კოჭებსო. რაც შეეხება ალეკო მალხაზიშვილს, ის არასოდეს ყოფილა იმის ჩიტი, რაიმე პოზიცია საჯაროდ გამოეხატა და ნიკა გვარამიას მხარდამჭერ კორპორაციულ ბრიფინგებზეც კი უკანა რიგებში იმალებოდა. სამაგიეროდ, პირადად ჩემთან კერძო საუბრებში „იმედის“ დარბევასაც იწონებდა და მეუბნებოდა: მათ რომ თავისი გაიტანონ, ჩვენ ვიღა გადაგვიხდის ამდენ ხელფასსო?! და 2006 წელს, როდესაც ქიბარ ხალვაშს „რუსთავი 2“ წაართვეს და ქონება დაუწვეს, მისი შეფასება ასეთი იყო: „ძალიანაც კარგი, რომ დაუწვეს, აბა, რას ათამაშებდა ტრ...ს?“

ფაქტია, ეს ყოველივე ქიბარ ხალვაშმა ძალიან კარგად იცის და თავმოყვარეობაზე დაბიჯების ფასად ამაყად აცხადებს: ტელევიზიაში მომუშავე ადამიანების 70 პროცენტი შევინარჩუნეო. **აი აქ ჩანს ყველაზე მეტად გოიმობის სინდრომი. ქიბარ ხალვაშს ზუსტად ისევე ჰგონია, რომ ეს ხალხი „შეინარჩუნა“, როგორც ორიოდე წლის წინათ ტელეკომპანია „იმედის“ ახალ მენეჯმენტს ეგონა, რომ „რუსთავი 2“-დან შოუ „ნიჭიერი“ და კიდევ რამდენიმე გადაცემა „გადაიბირა“. სინამდვილეში ეს გადაცემები ნიკა გვარამიას მიერ მოშორებული გაცვეთილი და ნახმარი „ბალასტი“ იყო, რომლის დაფინანსებას აღარ აპირებდა.** ამ შოუების პროდიუსერებმა ისე „შეატენეს“ თავისი თავი „იმედს“, რომ აქეთ ათქმევინეს მადლობები. მაშინაც ვწერდი, რომ ყველა ეს შოუ ჩავარდებოდა და არც ერთს არ ექნებოდა რეიტინგი, რომლის გამოც კიდევ ერთხელ მივიღე „ბოღმიანის“ იარლიყი, მაგრამ, შარშან რაც მოხდა „იმედზე“ „რუსთავი 2“-დან წამოზიდული ნაგვის გამო, ყველამ კარგად ვნახეთ.

ახლაც ზუსტად ასეა — **ნიკა გვარამია ნაგავს იშორებს. მან ძალიან კარგად იცის, რომ „კომედიჯგუფის“ ეს ნაწილი მას არაფერში გამოადგება. მის ტელევიზიას მხოლოდ „პოლიტიკური ხუმრობების“ მკეთებელი ნაწილი სჭირდება და „კომედიჯგუფის“ დანარჩენ პროდუქტში — უაზრო ვითომიუმორსა და ჭყავილ-ბღავილში, რომლითაც მხოლოდ 12 წლამდე ბავშვები თუ ერთობიან, ფულს ნამდვილად არ გადაყრის. ასე რომ, მთელი ეს ნაგავი, თავისი მაია ასათიანიანად, ნიკა გვარამიას გადაყრილი ნაგავია, რომელსაც სალია და ხალვაში ამაყად კრებენ და ინახავენ...**

**ისე კი, მინდა, ერთი რიტორიკული კითხვა დავსვა: ყველას გახსოვთ ხალხის პროტესტი „რუსთავი 2“-ის ეზოში — ამას წინათ გიორგი გაბუნიამ პირდაპირ ეთერში რუსეთის პრეზიდენტს რომ აგინა? აქციის მიმდინარეობისას „რუსთავი 2“-ის ეზოშივე დადო ვიდეოკამერა და სამსახურიდან წავიდა არხის ერთ-ერთი ოპერატორი, რომელმაც განაცხადა, რომ ის ვერ დაუპირისპირდება თავის ხალხს და ამ ინტრიგან ტელევიზიაში მუშაობა აღარ შეუძლია...**

**ბატონო ქიბარ, სხვა ყველაფერი ჯანდაბას და, აი, მაგ ოპერატორს მაინც თუ დააბრუნებთ სამუშაოდ „რუსთავი 2“-ში?**



**გვარამიას ტელევიზიას მხოლოდ «პოლიტიკური ხუმრობების» მკეთებელი ნაწილი სჭირდება და «კომედიჯგუფის» დანარჩენ პროდუქტში — უაზრო ვითომიუმორსა და ჭყავილ-ბღავილში, რომლითაც მხოლოდ 12 წლამდე ბავშვები თუ ერთობიან, ფულს ნამდვილად არ გადაყრის. ასე რომ, მთელი ეს ნაგავი, თავისი მაია ასათიანიანად, ნიკა გვარამიას გადაყრილი ნაგავია, რომელსაც სალია და ხალვაში ამაყად კრებენ და ინახავენ...**

**ყველა თანხმდება, რომ აზერბაიჯანი ჩვენს ისტორიულ ადგილებს გვეცილება, მაგრამ ის მეგობარი სახელმწიფოა, აი, რუსეთი კი ოკუპანტია. ალბათ, აქეთ საქართველოს სხვანაირი მიწა აქვს და უცხო ქვეყნის მიერ მისი დაკავება ოკუპაციად არ ითვლება. და რაც მთავარია, ამას არავინ აპროტესტებს და ჩვეულებრივ ამბად მიაჩნიათ.**

თვალსაწიერი
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# ერთი ქალის ხუშტურების გადამკიდე ქვეყანა ყველა მიმართულებით ზარალდება

**ალბათ, გახსოვთ, როგორ უნამუსოდ შეიწყალა მიხეილ სააკაშვილმა სანდრო გირგვლიანის მკვლელები და როგორი პროტესტი მოჰყვა იმხანად მის გადაწყვეტილებას საზოგადოების მხრიდან — ლამის მთელი საქართველო ფეხზე დადგა, მაგრამ ნაციონალურმა ხელისუფლებამ და პირადად სააკაშვილმა რქებით გაიტანა გადაწყვეტილება და პრეზიდენტის დისკრეციული უფლება ბოლომდე გამოიყენა.**



ხელისუფლების შეცვლის შემდეგ მთავარი, რაც ხალხმა დაიჯერა, იყო ის, რომ მკვლელები გარეთ აღარ გამოვიდოდნენ და პრეზიდენტი დამნაშავეებს ხელის ერთი მოსმით არ შეიწყალებდა, მაგრამ ამაოდ. ჯერ იყო და, **გიორგი მარგველაშვილმა** კლასელები, მეგობრები და სანათესაო შეიწყალა, ახლა კი **სალომე ზურაბიშვილმა** ისეთი რამ ჩაიდინა, რასაც, უბრალოდ, ახსნა არ აქვს.

დავიწყოთ იმით, რომ ახალმა პრეზიდენტმა დღემდე ვერ მოახერხა და შეწყალების კომისია ვერ თუ არ ჩამოაყალიბა. ის ერთპიროვნულად იღებს გადაწყვეტილებას, თუ ვინ უნდა შეიწყალოს. საზოგადოდ, ადრე არსებული კომისიაც ბევრ კითხვებს აჩენდა, მაგრამ, ასე თუ ისე, ახსნა ჰქონდა, საუბარი იყო რეკომენდაციებზე და შემდეგ, როცა დიდი კითხვის ნიშნები ჩნდებოდა, კომისიის წევრები ამბობდნენ, რომ კონკრეტულ ადამიანებზე გადაწყვეტილება პრეზიდენტმა ერთპიროვნულად მიიღოო. შესაბამისად, ვიცოდით, რომ კონკრეტული ადამიანები კომისიამ კი არა, პრეზიდენტმა შეიწყალა და შემდეგ, როცა ვიგებდით, რომ ეს ადამიანები მისი ოჯახის წევრები ან ბავშვობის მეგობრები იყვნენ, გადაწყვეტილების მოტივსაც ვხვდებოდით.

2014 წლის 27 დეკემბერს ბათუმში, ღამის კლუბ „ლეგასში“ 22 წლის პოლიციელი — **თარაშ მუკბანიანი** მოკლეს. მკვლელობაში ეჭვმიტანილი **რამაზ დევაძე** სარფში მას შემდეგ დააკავეს, როცა საზღვრის გადაკვეთას ცდილობდა. სასამართლომ დევაძეს 12 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა. ეს იმის მიუხედავად, რომ ადვოკატები ამტკიცებდნენ, დევაძეს მუკბანიანი განზრახ არ მოუკლავს, უბრალოდ, იარაღი წაართვა და შემდეგ, ტყვიის ამოღებისას ეს იარაღი გაუვარდაო. ექსპერტიზის დასკვნაში კი ისიც წერია, რომ მუკბანიანი სასტიკად იყო ნაცემი. არსებობდა ვარაუდი, რომ კონფლიქტი დაიწყო გარდაცვლილმა, რომელიც ნასვამი იყო, თუმცა საბოლოოდ **სასამართლომ დამნაშავედ ცნო დევაძე და მას 12 წლით პატიმრობა მიუსაჯა. სასამართლოზევე გაირკვა, რომ იმავე 2014 წელს, აღნიშნულ კონფლიქტამდე რამდენიმე თვით ადრე, დევაძემ ფიზიკურად შეურაცხყო კიდევ ერთი პოლიციელი, მაგრამ მაშინ დაუსჯელი დარჩა. კულუარულად საუბრობდნენ იმაზეც, რომ დევაძე ე.წ. კანონიერი ქურდის — მინდია გორაძის (იგივე ლავა-ოღლის) გარემოცვის წევრი იყო და მისი მფარველობითაც სარგებლობდა.**

ჰოდა, ასეთი საქმის ფიგურანტი პრეზიდენტმა ხელის ერთი მოსმით შეიწყალა და, რაც მთავარია, გვიმტკიცებს, რომ არ არის ვალდებული, ახსნა-განმარტება გააკეთოს, რადგან ეს მისი დისკრეციული უფლება ყოფილა. სწორედ ამ ტერმინზე გააკეთა აქცენტი ზურაბიშვილმა და...

„დისკრეციული უფლებამოსილება — ეს არის უფლებამოსილება, რომელიც ადმინისტრაციულ ორგანოს ან თანამდებობის პირს ანიჭებს თავისუფლებას, საჯარო და კერძო ინტერესების დაცვის საფუძველზე კანონმდებლობის შესაბამისი რამდენიმე გადაწყვეტილებიდან შეარჩიოს ყველაზე მისაღები გადაწყვეტილება“, — ასეა განმარტებული ეს ტერმინი საქართველოს საკანონმდებლო ტერმინთა ლექსიკონში. პირდაპირ არის მითითებული, რომ „საჯარო და კერძო ინტერესების დაცვის საფუძველზე“ უნდა მოხდეს გადაწყვეტილების მიღება, რაც პრეზიდენტმა, უბრალოდ, არ გააკეთა. ისე, თუ პრეზიდენტი არ აპირებს საზოგადოებისთვის ამ გადაწყვეტილების ახსნას და ამომრჩევლის აზრი არ აინტერესებს, **ეგებ ოჯახს მაინც აუხსნას, რატომ მოიქცა ასე და პასუხი გასცეს იმ ადამიანებს, რომლებსაც ერთი წუთითაც კი არ დავიწყებიათ 22 წლის ბიჭის შეწყვეტილი სიცოცხლე.**

ქალბატონმა პრეზიდენტმა ყველაზე კარგად უნდა იცოდეს, რომ მისი ამომრჩეველი რეალურად საქართველოში 2-3%-იც კი არ ყოფილა და, რომ არა მმართველი გუნდის მხარდაჭერა, პრეზიდენტი კი არა, დეპუტატიც ვერ გახდებოდა, ამიტომ სადღაც მართალიც კი არის, რომ ამბობს, ამომრჩევლის წინაშე პასუხისმგებელი არ ვარო, რადგან ამომრჩეველი, უბრალოდ, არ ჰყავს, მაგრამ ოჯახი?!

საინტერესოა, რას ეტყვის გიორგი გახარია თავის თანამშრომლებს, რომლებიც კრიმინალის წინააღმდეგ იბრძვიან: როგორ აუხსნის, რომ მათ კრიმინალს, შესაძლოა, თავი შეაკლან, მაგრამ დამნაშავე შეიძლება პრეზიდენტმა შეიწყალოს და მკვლელმა გარეთ თავისუფლად იაროს?! ამის ახსნა შეუძლებელია და, სავარაუდოდ, ამიტომ ელიან მმართველი გუნდის წევრები პრეზიდენტის განმარტებას, მაგრამ ეს განმარტება არ ჩანს. თითის გაშვერა დევაძისკენ არასწორი იქნება, რადგან ამ შემთხვევაში მასთან ყველაზე ცოტა პრეტენზია შეიძლება გვქონდეს — კაცი შეიწყალეს და გამოვიდა და რატომ შეიწყალეს, ეგ მისი საქმე ნამდვილად არაა.

**ზურაბიშვილი შანსს არ უშვებს ხელიდან, რუსეთი არ გალანძღოს და, საქმე საქმეზე როცა მიდგება, ვერ ასახელებს გზებს, როგორ შეიძლება პრობლემის მოგვარება. ის ამბობს, რომ რუსეთთან საუბარი არ შეიძლება და ევროპასა და ამერიკას ესაუბრება. ისინი კი მხოლოდ შეშფოთება-აღშფოთებით არიან დაკავებულნი, გვაიძულებენ, რუსეთთან პირდაპირ დიალოგზე უარი ვთქვათ და პრობლემა გაურკვეველი ვადით დაკონსერვდეს**

სამწუხაროდ, ეს არ არის პირველი შემთხვევა, როცა პრეზიდენტი ერთპიროვნული გადაწყვეტილებით ისეთ განცხადებას აკეთებს ან ისეთ ქმედებას სჩადის, რომლის ახსნაც შეუძლებელია. ეს გადაწყვეტილებები და განცხადებები კი არა მხოლოდ ქვეყნის იმიჯს ვნებს, არამედ ეკონომიკასაც ურტყამს და საგარეო კურსსაც. პარალელურად, ინვესტიციების მხრივ ეს სახელმწიფოზე უარყოფით გავლენას ახდენს და ასე, ერთი ქალის ხუშტურების გადამკიდე, ქვეყანა ყველა მიმართულებით ზარალდება.

ის თუ გახსოვთ, პრეზიდენტად არჩევის შემდეგ ზურაბიშვილმა პირველი რა განაცხადა? რუსეთს არ დაველაპარაკები, მტერია ეგ ქვეყანაო, — ასე თქვა (სხვათა შორის, თავისივე საარჩევნო დაპირების საწინააღმდეგოდ) და ეს მაშინ, როცა რუსეთთან პირდაპირი დიალოგის გარეშე საშინაო თუ საგარეო პრობლემების მოგვარება გამორიცხული რომ არის, კარგად მოგეხსენებათ. ამის მერე იყო, ევროპაამერიკას კუდი რომ უქიცინა პრეზიდენტმა და სანაცვლოდ ვერაფერი მიიღო. ჰო, ვერაფერი, რადგან დაპირებები მათი მხრიდან მანამდეც იყო და ახლაც იგივე მეორდება, ქმედითი ნაბიჯები კი არც მანამდე გადადგმულა და არც ახლა გადაიდგმება.

ისიც გვახსოვს, პრეზიდენტმა დავითგარეჯში რომ იპოზიორა და შემდეგ მის მიერ გაკეთებული განცხადება შეიქნა მაპროვოცირებელი იმისა, რაც დღემდე ხდება. პარადოქსია, მაგრამ ესეც ფაქტია: **ყველა თანხმდება, რომ აზერბაიჯანი ჩვენს ისტორიულ ადგილებს გვეცილება, მაგრამ ის მეგობარი სახელმწიფოა, აი, რუსეთი კი ოკუპანტია. ალბათ, აქეთ საქართველოს სხვანაირი მიწა აქვს და მისი დაკავება უცხო ქვეყნის მიერ ოკუპაციად არ ითვლება. და რაც მთავარია, ამას არავინ აპროტესტებს და ჩვეულებრივ ამბად მიაჩნიათ.**

საქართველოს საზღვრებს გარეთ ასეა — პრეზიდენტი ქვეყნის სახეა, ხოლო მისი განცხადება ითვლება ქართველი ხალხის განცხადებად და ხედვად. უცხოელებს არ აინტერესებთ, როგორ და რა ვითარებაში აირჩიეს პრეზიდენტი, რომ მას მოსახლეობამ იმიტომ მისცა ხმა, ხელისუფლებაში „ნაციონალური მოძრაობა“ არ დაბრუნებულიყო. შესაბამისად, რასაც პრეზიდენტი ილაპარაკებს, ეს ავადაც და კარგადაც ჩვენს ქვეყანას წაადგება, თუმცა ჯერ კარგი არც არაფერი უთქვამს და არც არაფერი გაუკეთებია. აი, ცუდი კი ქვეყნის შიგნით თუ გარეთ იმდენია, უკვე სათვალავი აგვერია.

ქვეყნის ხელისუფლება გვიმტკიცებს, რომ საპარლამენტო რესპუბლიკაზე გადავედით და პრეზიდენტის უფლებები მაქსიმალურად არის შეზღუდული, მაგრამ ეს, როგორც ჩანს, მხოლოდ ქაღალდზეა. პრეზიდენტი ქვეყნის სახეა კონსტიტუციით და რეალურადაც სწორედ პრეზიდენტის განცხადებების საფუძველზე არაერთხელ მოვხვდით გაუგებრობაში და, რაც მთავარია, ამის ახსნას ხშირად ვერც მმართველი გუნდის წევრები ახერხებენ, ოპოზიცია კი ცეცხლზე ნავთს ასხამს და ისედაც გაფუჭებულ საქმეს ბოლომდე წყალს ატანს.

ყველაზე ცუდი კი ის არის, რომ პრეზიდენტი ქვეყნის მთავარ პრობლემებზე ისე აპელირებს, რომ რჩევასაც არავის ეკითხება. ის პრობლემების მოგვარების ისეთ გადაწყვეტას სთავაზეობს ყველას, როგორიც თვითონ მიაჩნია სწორად, მაგრამ ძირითად შემთხვევებში მისი ნაფიქრი ქვეყნისთვის საზიანოა. **ზურაბიშვილი შანსს არ უშვებს ხელიდან, რუსეთი არ გალანძღოს და, საქმე საქმეზე როცა მიდგება, ვერ ასახელებს გზებს, როგორ შეიძლება პრობლემის მოგვარება. ის ამბობს, რომ რუსეთთან საუბარი არ შეიძლება და ევროპასა და ამერიკას ესაუბრება, ისინი კი მხოლოდ შეშფოთება-აღშფოთებით არიან დაკავებულნი, გვაიძულებენ, რუსეთთან პირდაპირ დიალოგზე უარი ვთქვათ და პრობლემა გაურკვეველი ვადით დაკონსერვდეს.** უფრო ზუსტად, არც თუ გაურკვეველი ვადით, როგორც კი ევროპასა თუ ამერიკას დასჭირდება, მაშინვე წამოწევენ ხოლმე თემას, ურთიერთობას ძაბავენ და შემდეგ რუსეთს საქართველოთი ევაჭრებიან. ეს არის ფაქტი და ვერსად გავექცევით. ჰოდა, სანამ საქართველო დასავლეთის სავაჭრო ნივთია, მანამ არც ის უნდა გაგვიკვირდეს, რომ პრეზიდენტმა ციხიდან მკვლელები გაათავისუფლოს და ახსნა-განმარტებაც არ იკადროს, იმიტომ, რომ თურმე ეს მისი დისკრეციული უფლებამოსილებაა.

**ბესო ბარბაქაძე**

**როგორც კი ევროპასა თუ ამერიკას დასჭირდება, მაშინვე წამოწევენ ხოლმე თემას, ურთიერთობას ძაბავენ და შემდეგ რუსეთს საქართველოთი ევაჭრებიან. ეს არის ფაქტი და ვერსად გავექცევით. ჰოდა, სანამ საქართველო დასავლეთის სავაჭრო ნივთია, მანამ არც ის უნდა გაგვიკვირდეს, რომ პრეზიდენტმა ციხიდან პოლიციელების მკვლელები გაათავისუფლოს და ახსნა-განმარტებაც არ იკადროს, იმიტომ, რომ თურმე ეს მისი დისკრეციული უფლებამოსილებაა.**

ინტერვიუ

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„ზოგჯერ მგონია, რომ ეს ბრალდებები და თავდასხმები საპატრიარქოზე, რომელსაც ხშირად ვისმენთ ზოგიერთი მაღალი იერარქისგან, სწორედ მათ განკვეთას ემსახურება, ანუ თვითონ არიან მონდომებული და მოწადინებული, რომ განკვეთილ იქნენ ეკლესიის წიაღიდან და ეს ხალხი ამას უნებლიეთ, გაუაზრებლად არ აკეთებს. აი, ამ სიბინძურეს რომ ხედავს, ამიტომაა ფრთხილად პატრიარქი და ბევრს ეს უმოქმედობად ეჩვენება“.**



# ნიკოლოზ მჟავანაძე: ერთი სული აქვთ, საპატრიარქომ ისინი განკვეთოს. ეკლესიის ნგრევის მცდელობები მერე ნახეთ

**რამდენიმე დღის წინათ „ციანიდის საქმეზე“ მსჯავრდებულ დეკანოზ გიორგი მამალაძის ძმამ — თორნიკე მამალაძემ სოციალურ ქსელში სკანდალური პოსტი გამოაქვეყნა, რომ იმ შემთხვევაში, თუ დეკანოზის მდგომარეობა გაუარესდება, საპატრიარქოში არსებულ გარკვეულ არაჯანსაღ ძალებს საჯაროდ ამხელს. მისი განცხადებით, თუ ვინმე ფიქრობს, რომ გიორგი მამალაძის მოშორებით მის ხელთ არსებული საიდუმლო ინფორმაციები „მოკვდება“, ცდება, რადგან ძმისგან გამოგზავნილი წერილები, რომლებშიც ზოგიერთი ეპისკოპოსის მანკიერებები „დეტალურადაა აღწერილი“, მას აქვს და მზადაა, აუცილებლობის შემთხვევაში ეს წერილები გამოაქვეყნოს. იმავე პოსტში თორნიკე მამალაძე მაღალ იერარქებსაც შეეხო და საპატრიარქოს დაემუქრა, რომ შემოდგომიდან „მამათმავლური ცოდვით შეპყრობილი ეპისკოპოსების მხილებას“ აქტიურად დაიწყებს. რას ნიშნავს საპატრიარქოსა და სრულიად სამღვდელოებისთვის პატრიარქის მდივან-რეფერენტის მკვლელობის ორგანიზებისთვის მსჯავრდებული დეკანოზის ძმის მუქარა „მამათმავლური ცოდვით შეპყრობილი ეპისკოპოსების მხილების“ შესახებ და ამ მუქარების კვალდაკვალ რას შეიძლება ელოდოს ეკლესია მომავალში? „საქართველო და მსოფლიოს“ ესაუბრება უფლებადამცველთა გაერთიანების თავმჯდომარე ნიკოლოზ მჟავანაძე.**

**— ბატონო ნიკოლოზ, ამას წინათ დეკანოზ გიორგი მამალაძის ძმამ — თორნიკე მამალაძემ სოციალურ ქსელში დაწერა, რომ სექტემბრიდან „მამათმავლური ცოდვით შეპყრობილი ეპისკოპოსების მხილება“ დაიწყება... ალბათ, დამეთანხმებით, რომ სკანდალური პოსტია, თუმცა უფრო დეტალურ განმარტებებს თვითონ ჯერჯერობით არ აკეთებს. ხომ არ ფიქრობთ, რომ ეკლესიისა და საპატრიარქოს წინააღმდეგ მიმართულ ახალ მადისკრედიტებელ კამპანიას ვიხილავთ უახლოეს მომავალში?**

— პირველ რიგში, ჩემთვის გაუგებარია, რა ლოგიკაში შეიძლება ჯდებოდეს ის, რომ, ერთი მხრივ, ითხოვ საპატრიარქოსგან შეწყალებას და, მეორე მხრივ, იმავე საპატრიარქოს აშანტაჟებ და ეუბნები: თუ არ შემიწყალებ, გამოგიქვეყნებ რალაცასო. ახლა ეს კაცი (გიორგი მამალაძის ძმას ვგულისხმობ) სრულ ჭკუაზე რომ არ არის და უცნაურ რალაცებს აკეთებს, ყველა ვხედავთ, მაგრამ გვერდით მაინც არ ჰყავს ვინმე საღად მოაზროვნე, ნორმალური რჩევა რომ მისცეს?! მრჩება შთაბეჭდილება, რომ ეს მუქარები და შანტაჟი გათვლილია სწორედ საპატრიარქოს იძულებაზე, არ შეიწყალოს გიორგი მამალაძე. ყველაფერი ძალიან მარტივია, თქვენ წარმოიდგინეთ, ამ მუქარებისა და შანტაჟის შემდეგ ის საპატრიარქომ რომ შეიწყალოს, ხომ გაჩნდება საფუძვლიანი ეჭვი ამ მუქარების რეალურობაზე?!

**— ეს განცხადებები იმ მიზანს ემსახურება, რომ საპატრიარქოს გიორგი მამალაძის შეწყალების მორალური შესაძლებლობა წაართვან?**

— სხვა, აბა, რა ლოგიკაა ის, რომ, ერთი მხრივ, ვითომ შეწყალებას ითხოვ და, მეორე მხრივ, იმუქრები: არ შემიწყალებ და გამხელო? თუ შეიწყალებენ, რა გამოვა? ის მუქარები რეალური ყოფილა და საპატრიარქოს შეეშინდა?! ეს ერთი. მეორე: თუ მართლა სასულიერო პირია **გიორგი მამალაძე,** ჭეშმარიტი ქრისტიანი და ქრისტეს მსახური, **რას ნიშნავს მუქარა: „თუ ასე არ იზამთ, გამხელთ“? რა, თუ მის მოთხოვნებს დააკმაყოფილებენ, გაჩუმდება?! როგორ შეიძლება, სასულიერო პირი პირობებს აყენებდეს იმისთვის, რომ ცოდვა არ ამხილოს. თუ მას უტყუარი ინფორმაცია და მტკიცებულებები აქვს იმაზე, რომ საპატრიარქოში სოდომური ცოდვით შეპყრობილი ეპისკოპოსები არიან, აქამდე რატომ არ ამხილა?!** კიდევ ვიმეორებ: საპატრიარქო, ალბათ, შეიწყალებდა გიორგი მამალაძეს და, დიდი ალბათობით, უკვე თავისუფალიც იქნებოდა, მაგრამ მამალაძესა და მის უკან მდგომთ არც შეწყალება სჭირდებათ და არც დეკანოზის ბედი არ ადარდებთ.

**«თუ მართლა სასულიერო პირია გიორგი მამალაძე, ჭეშმარიტი ქრისტიანი და ქრისტეს მსახური, რას ნიშნავს მუქარა: «თუ ასე არ იზამთ, გამხელთ»? რა, თუ მის მოთხოვნებს დააკმაყოფილებენ, გაჩუმდება? როგორ შეიძლება, სასულიერო პირი პირობებს აყენებდეს იმისთვის, რომ ცოდვა არ ამხილოს?! თუ მას უტყუარი ინფორმაცია და მტკიცებულებები აქვს, რომ საპატრიარქოში სოდომურ ცოდვას მიცემული ეპისკოპოსები არიან, აქამდე რატომ არ ამხილა?!»**

**— თქვენი აზრით, მაშინ რა მიზანს ემსახურება ეს ყველაფერი?**

— ვფიქრობ, ჩვენ ამ პროცესებს არ უნდა შევხედოთ, როგორც ერთი კონკრეტული ადამიანის ან ადამიანთა ჯგუფის მიერ განხორციელებულ ქმედებებს, რომელთა მიღმაც სხვა არაფერია, გარდა იმისა, რასაც ვხედავთ და გვესმის. რა თქმა უნდა, ეს არის გარედან მართული პროცესი და ის, რომ ეს რაღაც შეთქმულების თეორია არ არის, რომლისაც, მართალი გითხრათ, მე თვითონ არ მჯერა, უკვე ყველასთვის ნათელია.

რაც შეეხება მიზანს, **მიუხედავად იმისა, რომ თანამედროვე დასავლური ნეოლიბერალური დიქტატურა სულს ღაფავს და ამერიკასა თუ ევროპაში იდეოლოგიურ-პოლიტიკური დღის წესრიგი ძირეულად იცვლება, მსოფლიოს გლობალისტური ცენტრების მთავარ მიზნად დღეს მაინც რჩება ქრისტიანობა და განსაკუთრებით მართლმადიდებლობა. რატომ? იმიტომ, რომ სწორედ ქრისტიანული მორალია ძირითადი საფუძველი დღევანდელი დასავლური კონსერვატიზმის და აქედან მოდის ყველანაირი წინააღმდეგობა „ნეოლიბერალური“ პრინციპებისა თუ სტანდარტებისადმი, იქნება ეს მამათმავლობის ნორმად გამოცხადების პროპაგანდა, აბორტების თემა თუ სხვა.** თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ, ყველაფრის მიუხედავად, ყველაზე რეიტინგული და ავტორიტეტული ინსტიტუტი დღეს ქვეყანაში საპატრიარქოა, ცხადია, მათი უპირველესი დაბრკოლება სწორედ საპატრიარქოა. შესაბამისად, მთავარი შეტევა ხორციელდება ზუსტად მასზე და, რა თქმა უნდა, ეს პროცესი მომავალშიც გაგრძელდება. **ამის ნაწილია ის ყბადაღებული „ლიბერალური თეზაც“, რომ თურმე ჩვენ არ ვიცით, თორემ ეკლესია სავსეა ფარული მამათმავლებით... მარტივად რომ ვთქვათ, ადამიანებმა უნდა დაკარგონ ნდობა და სამღვდელოების ავტორიტეტს გაუჩნდეს ბზარი, თუმცა თვალნათლივ ვხედავთ: რაც უფრო ძლიერდება შეტევა ეკლესიაზე, რაც უფრო ბინძურ და აქტიურ ფაზაში გადადის ლიბერალური პროპაგანდა და ამ მიმართულებით, მით მეტად შიშვლდება ეს პროცესი და ფარდა ეხდება ყველაფერს.** ზუსტად ამას ამტკიცებს ეს ე.წ. ციანიდის საქმეც და, რაც უნდა პროვოკაციული განცხადებები აკეთოს მამალაძის ოჯახმა, რაც უნდა აშინოს და აშანტაჟოს ვითომ მისმა ძმამ საპატრიარქო, ამით მხოლოდ თავიანთ ზრახვებს ამხელენ. ისე, მე ადრეც ვთქვი და კიდევ გავიმეორებ, რომ საპატრიარქოში, ალბათ, არიან ადამიანები, რომელთა წესიერება კითხვის ნიშნის ქვეშაა, მაგრამ ეს არავის აძლევს უფლებას, რომ ეკლესიას ტალახი ესროლოს. ქრისტეს 12 მოწაფე ჰყავდა და მათგან ერთი გამცემი იყო. ასე რომ, აპელირება ასე საჯაროდ იმაზე, ვინ სუფთაა და ვინ ცოდვებითა თუ მანკიერებებით შეპყრობილი, რა თქმა უნდა, მხოლოდ ეკლესიის მტრების ინტერესშია.

**— ისე, არ ფიქრობთ, რომ საპატრიარქომ თვითონ უნდა მოახდინოს წმენდა საკუთარ წიაღში, სანამ მასში არსებული არაჯანსაღი ძალებით ეკლესიის მოწინააღმდეგეები ისარგებლებენ?**

— რა თქმა უნდა, ეს განცდა ბევრს უჩნდება, განსაკუთრებით მაშინ, როცა ვხედავთ, რომ დეკანოზ მამალაძის, **მეუფე პეტრეს** (კიდევ **ჭილაძეა** ევროპაში, ვითომ სასულიერო პირი) მსგავსი ადამიანები გამუდმებით ტალახს ესვრიან საპატრიარქოს, მაგრამ ყველაფერი ასე მარტივად არ არის. **პატრიარქმა სიმკაცრე რომ გამოიჩინოს და ყველა განკვეთოს, ვინც, სჯულის კანონის თანამხმად, განსაკვეთია, მან შეიძლება გაცილებით ცუდი პროცესები გამოიწვიოს. შესაძლოა, გაჩნდეს ახალი ბირთვი ე.წ. მამაოებისა, რომლებიც განკვეთილი იქნებიან დედაეკლესიიდან, და მერწმუნეთ, ამ ხალხს საკუთარი მრევლიც ეყოლება,** შეიძლება ბევრი არა, მაგრამ მაინც. ასე მოხდა გახლეჩვა თავის დროზე საბერძნეთში და არაერთ მართლმადიდებელ ქვეყანაში. ასე რომ, საფრთხე, ამ თვალსაზრისით, რა თქმა უნდა, დიდია. მეტსაც გეტყვით, **ზოგჯერ მგონია, რომ ეს ბრალდებები და თავდასხმები საპატრიარქოზე, რომელსაც ხშირად ვისმენთ ზოგიერთი მაღალი იერარქისგან, ემსახურება სწორედ მათ განკვეთას. თვითონ არიან მონდომებულნი და მოწადინებულნი, რომ განკვეთილ იქნენ ეკლესიის წიაღიდან. ეს ხალხი ამას უნებლიეთ, გაუაზრებლად არ აკეთებს.** აი, ამ სიბინძურეს რომ ხედავს, ამიტომაა ფრთხილად პატრიარქი და ბევრს ეს უმოქმედობად ეჩვენება. კიდევ ვიმეორებ: დეკანოზი მამალაძე, მეუფე პეტრე და დანი თუ ძმანი მათნი ჩასაფრებულნი არიან — ერთი სული აქვთ, საპატრიარქომ ისინი განკვეთოს, ეკლესიის ნგრევა და ნგრევის მცდელობები კი მერე ნახეთ...

არ შემიძლია, აქვე მოკლედ არ შევეხო ერთ ძალიან მნიშვნელოვან თემას, რომელიც, ალბათ, ძალიან საყურადღებოა ჩვენს რეალობაში: რამდენიმე დღის წინათ ერგნეთში 95-ე შეხვედრა ჩაიშალა. არათუ მოლაპარაკება ვერ შედგა, კიდევ ერთხელ დადასტურდა, რომ ყოველი ასეთი მცდელობა, ყოველი მსგავსი შეხვედრა ამაოა და არანაირი შედეგის მომტანი არ არის. ადრეც ვთქვი და ახლაც გავიმეორებ; **სანამ რუსეთის ფაქტორი არ იქნება სწორად და რეალობის შესაბამისად გათვალისწინებული, სანამ ჯერ მოსკოვთან არ იქნება სრულფასოვანი პირდაპირი დიალოგი და არ მოგვარდება ურთიერთობები, არანაირ მოლაპარაკებას არც აფხაზებთან და არც ოსებთან აზრი არ აქვს.** მე ახალს არაფერს არ ვამბობ და, ვისაც მიაჩნია, რომ ჩვენ რუსეთის ფაქტორი საერთოდ უნდა გამოვრიცხოთ, ან ბრიყვია, ან საქართველოს მტერი. ეს ერთი და მეორე — რაშიც სრულიად ვეთანხმები **ალექსანდრე ჭაჭიას** პოზიციას, ხაზგასმით მინდა აღვნიშნო: **თუ რუსეთი წავა საქართველოდან, მის ადგილზე მოვა თურქეთი და, არათუ აფხაზეთს ან სამაჩაბლოს ვეღარ დავიბრუნებთ, დავკარგავთ დავითგარეჯსაც, ქვემო ქართლსაც, თბილისსაც და ყველაფერს.** აი, ეს არის რეალობა, რომელიც კი არ გველოდება, ამ რეალობაში უკვე ვიმყოფებით და, რაც დრო გადის, რაც უფრო დროში იწელება პროცესები, ეს უფრო და უფრო რეალური ხდება...

**«სრულიად ვეთანხმები ალექსანდრე ჭაჭიას პოზიციას და ეს ხაზგასმით მინდა აღვნიშნო: თუ რუსეთი წავა საქართველოდან, მოვა თურქეთი და, არათუ აფხაზეთს ან სამაჩაბლოს ვერ დავიბრუნებთ, დავკარგავთ დავითგარეჯსაც, ქვემო ქართლსაც, თბილისსაც და ყველაფერს. აი, ეს არის რეალობა, რომელიც კი არ გველოდება, ამ რეალობაში უკვე ვიმყოფებით და, რაც დრო გადის, რაც უფრო დროში იწელება პროცესები, ეს უფრო და უფრო რეალური ხდება»**

ესაუბრა **ჯაბა ჟვანია**

ქალაქში უამრავი გადაუდებელი პრობლემაა. მაგალითად, წლობით დაუმთავრებელი მშენებლობები, მიტოვებული შენობა-ნაგებობები. როდემდე უნდა უყურონ თბილისელებმა და ქალაქის სტუმრებმა ყოფილი „ზაკვოს“ მიტოვებულ შენობას ან რესპუბლიკურ საავადმყოფოს, ან ჭავჭავაძის პროსპექტზე ბინძურ დოლბანდჩამოფარებულ, გადაფერდებულ, დაუმთავრებელ შენობას („ლიბერთი-ბანკის“ გვერდით), დავით აღმაშენებლის გამზირზე ყოფილი სასტუმრო „რუსთავისა“ და კინოთეატრ „ოქტომბრის“ გამოკეტილ უნიკალურ შენობებს?

თბილისი და თბილისელები
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# პრობლემებით სავსე დედაქალაქი

**გასული საუკუნის სამოცდაათიან წლებში საქართველოს მოსახლეობის (განსაკუთრებით — თბილისელთა) ყურადღება მიიპყრო ცნობილი მწერლის, გურამ ფანჯიკიძის, კრიტიკულმა სტატიამ „თბილისი გუშინ, დღეს, ხვალ“. მწერალი ყურადღებას ამახვილებდა დედაქალაქში არსებულ ნაკლოვანებებზე ობიექტურად, საქმის ღრმა ცოდნით, გულისტკივილით, კეთილმოსურნე თბილისელის პოზიციიდან. სტატიამ, რომელიც ცენტრალურ პრესაში დაიბეჭდა, დიდი გამოხმაურება ჰპოვა საზოგადოებაში, რომელიც იზიარებდა ავტორის კრიტიკულ შეფასებას და იმედოვნებდა, რომ მწერლის მიერ ნასროლი ისარი მიზანს მიაღწევდა. შეგახსენებთ — იმჟამად გაზეთში გამოქვეყნებულ კრიტიკას, სატელევიზიო გადაცემას, ქვეყნის ხელმძღვანელებისთვის მიწერილ წერილს უმალ მოჰყვებოდა ხოლმე საკითხის შესწავლა და გადამჭრელი ზომების მიღება.**



**ტუტუცი სააკაშვილის მეორედ მოსვლას ელოდება ველოსიპედის «მონუმენტი», სხვა ღირსშესანიშნაობები, რომლებითაც დაგვაჯილდოვა «ყველაფრისმცოდნე» (მათ შორის ხუროთმოძღვრების) სააკაშვილმა. დაჟანგული, შიფერმიკრული ბოძის სახეს ტოვებს გმირთა მოედნის შუაგულიდან ამოწვერილი «გაუგებრობა», რომელსაც თბილისელებმა ხუმრობით ფალოსი შეარქვეს**



ხალხისა და ხელისუფლების ურთიერთდამოკიდებულება დავიწყებას მიეცა. არადა, მას სწორედ დამოუკიდებელი ცხოვრების პირობებში უნდა ჰქონოდა მეტი გასაქანი, ვიდრე საბჭოურ პერიოდში. თანამედროვე ცხოვრება გაჯერებულია სუბიექტური ინფორმაციით, ტყუილ-მართლით, ლანძღვა-გინებით, დაუმსახურებელი ქება-დიდებითა და სხვა ნეგატიური ცნობებით, რომელთა გამოც საზოგადოების ყურადღება ისე მოდუნდა, რომ რეაქცია აღარ აქვს. ანალოგიური სენი ხელისუფლებასაც შეეყარა. მას არ აინტერესებს, რას წერენ გაზეთები, რას ამბობს ტელევიზია, რადიო, ინტერნეტი — აქებენ თუ აგინებენ. მოკლედ, ხელისუფლება სრულ ინდიფერენტიზმს ავლენს მედიაში გამოქვეყნებული კრიტიკის მიმართ. მისი დევიზი მარტივია, ისეთი, საუკუნეებს რომ გაუძლო — **„ძაღლი ყეფს, ქარავანი მიდის“.**

საბჭოურ სისტემას, დღეს რომ დაუზოგავად ვლანძღავთ და ვაგინებთ, ბევრი კარგი თვისება ჰქონდა, მაგალითად, მოქალაქეთა მიღება. სკკპ ცენტრალური კომიტეტით დაწყებული, ადგილობრივი ხელმძღვანელი ორგანოებით დამთავრებული, ყოველ ორშაბათს კარს უღებდნენ რიგით მოქალაქეებს, პირადი თუ საზოგადო საქმისთვის მისულთ, უსმენდნენ მათ და უგვარებდნენ პრობლემებს.

ეს „მავნე“ პრაქტიკაც ისტორიას ჩაბარდა. **ხალხი ისე უდგება ხელისუფლებას, როგორც სავაჭრო ობიექტს, დაახლოებით ასე: თუ მომცემ ფულს ან სურსათ-სანოვაგეს, მოგცემ ხმას. ამომრჩეველმა იცის — თუ რამეს წაღლეტს ხელისუფლებას, მხოლოდ არჩევნების წინ, შემდეგ ამომრჩეველი იქცევა პრობლემებით სავსე მასად, რომლისკენაც ხელისუფლებას გახედვაც არ სურს.**

ვატყობ, ხელი გამექცა, დიდი შესავალი გამომივიდა, მაგრამ რეალობა მაიძულებს, ვთქვა ის, რაც ხელისუფლებას არ მოეწონება, თუმცა მაინცდამაინც არც იმის იმედი მაქვს, რომ ამ წერილს წაიკითხავს...

თუ რამ კარგი აქვს თბილისს, ეს არის შესანიშნავი ლანდშაფტი და ძველი უბანი, რომელშიც ისტორიული უძველესი ძეგლები თავს აწონებენ შინაურსა და გარეულს — ნარიყალა, მეტეხი, სიონი, ქარვასლა, ეკლესია-მონასტრები, სინაგოგა, მეჩეთი, რესტორან-ტავერნები, კაფეები... რომელი ერთი ჩამოვთვალო. ძველი ქალაქი მაგნიტივით იზიდავს ტურისტებს. არაერთხელ მინახავს, ამ სილამაზით აღტაცებულნი, გაფაციცებით როგორ აღბეჭდავენ ნანახს ვიდეოკამერებზე. იმასაც შევსწრებივარ, რა გაოცებით შეჰყურებენ ძველ ქალაქში ისარივით შეჭრილ, გაუგებარი დანიშნულებისა და მდარე გემოვნების ორ დაუსრულებელ ნაგებობას — თუნუქით გადახურულ „ტრუბებს“და საჯარო რეესტრის გაუგებარ არქიტექტურას, რომლებსაც ძველ ქალაქში დისონანსი შეაქვს.

ეს „შემოქმედება“ **სააკაშვილის** ნაღრძობი ტვინის პირმშოა. იცვლებიან თბილისის მერები, იცვლება ხელისუფლება. ეს საშინელება უცვლელი რჩება. როგორც ჩანს, „საოცნებო“ ხელისუფლება დიდი რუდუნებით ცდილობს, შეუნახოს არქიტექტურული „შედევრები“ იდეის ავტორ სააკაშვილს.

* ტუტუცი სააკაშვილის მეორედ მოსვლას ელოდება ველოსიპედის „მონუმენტი“, სხვა ღირსშესანიშნაობები, რომლებითაც დაგვაჯილდოვა „ყველაფრისმცოდნე“ (მათ შორის ხუროთმოძღვრების) სააკაშვილმა. დაჟანგული, შიფერმიკრული ბოძის სახეს ტოვებს გმირთა მოედნის შუაგულიდან ამოწვერილი „გაუგებრობა“, რომელსაც თბილისელებმა ხუმრობით ფალოსი შეარქვეს.

მემორიალი სიმშვიდეს, სიწყნარეს, სიწმინდეს, გახსენებას, პატივის მიგებას უკავშირდება, რაც შეუძლებელია ავტომანქანების მოჭარბებულ გუგუნსა და დაბინძურებულ ატმოსფეროში.

* ვაკის პარკში არსებული დიდ სამამულო ომში დაღუპულთა და უცნობი ჯარისკაცის სამარადისო სასუფეველი ფართოდ გაუღებდა კარს გმირთა მოედანზე არსებულ მემორიალს, რომელიც თავისი შინაარსითა და დანიშნულებით, შესანიშნავად შერჩეული ადგილით სწორედ ისაა, აფხაზეთის ომში დაღუპულებს რომ შეეფერება.

* 7 წელიწადია, „ოცნება“ მართავს ქვეყანას, ეს საკმაოდ დიდი დროა იმისთვის, რომ ძველ ქალაქში გადებული „ორი ტრუბა“ დაესრულებინათ, ველოსიპედი, გმირთა მოედნის სვეტი-ფალოსი დაშლილიყო და ძველ ადგილს დაბრუნებოდა დავით აღმაშენებლის ძეგლი.

მერია აცხადებს, რომ ფინანსები არ აქვს. იქნებ ის, რაშიც მერია ფულს ხარჯავს, შეწყდეს და გაკეთდეს ის, რაც აუცილებელია.

* მერიამ გვამცნო, რომ „დედა ენის“ ბაღი და მეორე ბაღი, რომელშიც მხატვრებმა დაიდეს ბინა, მიწისქვეშა გვირაბით დაუკავშირდება ერთმანეთს. არ მგონია, რომ ამ ბაღების ერთმანეთთან დაკავშირება აუცილებლობით იყოს გამოწვეული. **ფული, რომელიც ამ გვირაბის მშენებლობაში იხარჯება, ეყოფოდა თუნდაც ველოსიპედის გადატანას, დავით აღმაშენებლის დაბრუნებას, გმირთა მემორიალის ვაკის პარკში გახსნას და მერიის წინ დაუმთავრებელი შენობის ჩონჩხის დემონტაჟს.**

დღეს ეს ჩონჩხი რეკლამით არის დაფარული. როგორც ჩანს, ყველა მერს მოსწონს ცხვირწინ აფარებული დაუმთავრებელი კარკასი, თორემ შესაბამის თანხებსაც გამოძებნიდა მის დასანგრევად. ცალკე თემაა ქუჩების დავიწროება, ცალმხრივი მოძრაობის გაკეთება, ველობილიკების მოწყობა. თბილისისთვის მსგავსი მშენებლობის წარმოება გრანდიოზულის კატეგორიაში გადის — ცვლის ქალაქის ცხოვრებას, ქალაქელთა ყოფას და ა.შ. პროექტის განხორციელება მოსახლეობასთან, სპეციალისტებთან და არქიტექტორებთან შეთანხმებით უნდა ხდებოდეს.

*** უარესდება ტრანსპორტის მოძრაობა**, მატულობს ავტომანქანების მომწამვლელი გამონაბოლქვი, გაძვირებული საწვავის პირობებში, დანიშნულებამდე მისვლაში იხარჯება ზედმეტი საწვავი. კოსტავასა და პეკინის ქუჩების ცალმხრივად გადაკეთებამ და ამ ქუჩებზე ველობილიკების მოწყობამ ბუდაპეშტის, ვაჟა-ფშაველასა და სხვა პატარა ქუჩებზე მუდმივი საცობები გააჩინა, რაც ჰაერის დაბინძურებას იწვევს და ტრანსპორტით მოსარგებლე ადამიანთა დროის ხარჯვას, ნერვიულობას.

ჩნდება კითხვა: **დღეში რამდენი ადამიანი სარგებლობს ველობილიკით?** — დღიდან გაკეთებისა თითოოროლა. და რატომ?

თბილისი მთაგორიანი ქალაქია და ველოსიპედის ტრანსპორტად გამოყენება შეუძლებელია. გარდა ამისა, ახალგაზრდები, რომლებმაც ველოსიპედით უნდა იარონ, შავი „ჯიპებით“ დადიან. მათ ვერავინ აიძულებს ველოსიპედზე გადაჯდომას.

* ძველი მოძრაობის ახლით შეცვლა მხოლოდ მაშინ არის მიზანშეწონილი, თუ მოქალაქეთა გადაადგილებას პრობლემები არ შეექმნება. ისეთი შთაბეჭდილება მრჩება, მერიის მუშაკები შეგნებულად უმწარებენ ცხოვრებას ავტოტრანსპორტით მოსარგებლეებს.

„ავადსახსენებელ“ საბჭოეთის პერიოდში ვახერხებდით 24-საათიან მუშაობას გარე კომუნიკაციების ან მიწისქვეშა გადასასვლელების მოწყობისას, მაშინ, როცა მუშახელი ძალიან ჭირდა და დღეს რატომ არის რთული სადღეღამისო მუშაობის ორგანიზება, როცა უმუშევართა მრავალრიცხოვანი არმიაა?

* დისტრიბუცია და ნაგვის გატანა შეიძლება რვა საათის შემდეგ განხორციელდეს, როდესაც პიკის საათი დასრულდება.

მერიამ გვაუწყა, რომ ჭავჭავაძის პროსპექტზე ნაგვის ყუთები ავტომატურად მიწაში დაიმალება, რადგან ნაგვის ყუთები არასახარბიელო შესახედავიაო. კეთილი, მაგრამ გაცილებით ცუდი შესახედავია ამ პროსპექტზე არსებული სახლების ფასადები, დაზიანებული საწვიმარი მილებითა და ჩამოცვენილი ბათქაშით, უამრავი მავთულხლართით. კარგა ხანია, თბილისის ცენტრალური ქუჩების შენობებს რემონტი არ ღირსებია. დარწმუნებული ვარ, ნაგვის ყუთების ავტომატური ჩასვლა-ამოსვლა უმალ გამოვა მწყობრიდან და ახალი პრობლემა გაჩნდება.

მეგობრებო, შევეშვათ „ნოვაციას“, ვაკეთოთ ის, რისი გაკეთებაც შეგვიძლია. ასეთი ექსპერიმენტებისთვის მზად არ ვართ, ისევე, როგორც ჭავჭავაძის პროსპექტის შუა ნაწილში ავტობუსებისთვის სავალი გზის მოსაწყობად. მერიას გადაწყვეტილი აქვს, როგორც ჭავჭავაძის, ისე რუსთაველის პროსპექტებზე მსგავსი ნოვაციის განხორციელება. გარდა იმისა, რომ ეს პროექტები დიდძალ ხარჯთან არის დაკავშირებული, პრობლემებს შეუქმნის მოსახლეობას, ტრანსპორტის მოძრაობას, დაანგრევს ისტორიულს, ტრადიციულს, ვოლუნტარისტულად და დაუფიქრებლად.

* ქალაქში უამრავი გადაუდებელი პრობლემაა. მაგალითად, წლობით დაუმთავრებელი მშენებლობები, მიტოვებული შენობა-ნაგებობები. როდემდე უნდა უყურონ თბილისელებმა და ქალაქის სტუმრებმა ყოფილი „ზაკვოს“ მიტოვებულ შენობას ან რესპუბლიკურ საავადმყოფოს, ან ჭავჭავაძის პროსპექტზე ბინძურ დოლბანდჩამოფარებულ, გადაფერდებულ, დაუმთავრებელ შენობას („ლიბერთი-ბანკის“ გვერდით), დავით აღმაშენებლის გამზირზე ყოფილი სასტუმრო „რუსთავის“ და კინოთეატრ „ოქტომბრის“ გამოკეტილ უნიკალურ შენობებს?

დაუმთავრებელ შენობა-ნაგებობებსა და მიტოვებულ შენობებს რა ჩამოთვლის. სწორედ აქ უნდა იგრძნობოდეს ქალაქის მერიის ხელი და არა ჭავჭავაძისა და რუსთაველის პროსპექტების დამახინჯებაში.

* მერიამ, მიუხედავად მრავალი დაპირებისა, თბილისსა და მის შემოგარენში წლების განმავლობაში არც უმკურნალა და არც მოჭრა დაავადებული და გამხმარი ფოთლოვანი და განსაკუთრებით მარადმწვანე წიწვოვანი ხეები, რომლებიც ამახინჯებს თბილისს და აღონებს თბილისელებს; მერიის ხელმძღვანელობა კი, ალბათ, ყოველ საღამოს ფუნიკულიორის რესტორანში სვამს თბილისისა და თბილისელების სადღეგრძელოს.

* მერიამ ვერც ჭავჭავაძის პროსპექტზე არსებული ყოფილი სტუდქალაქის ამორტიზებული შენობების ასაღებად მოიცალა. ვეჭვობ, ისინი ქალაქელთა გულს ან უცხოელთა თვალს ახარებდეს. ქალაქს ბევრი პრობლემა აქვს, მათი ჩამოთვლა შორს წაგვიყვანს. მათი გადაჭრა მხოლოდ პროფესიონალებსა და ქალაქის რთული მეურნეობის მცოდნე სპეციალისტებს ხელეწიფებათ. ნაცვლად იმისა, რომ ქალაქის მესვეურები საქმის ცოდნით, მოქალაქეთა პატივისცემით ეკიდებოდნენ მათ წინაშე არსებულ ურთულეს საკითხებს, ზედაპირულობა აშკარაა, რაც სასიკეთოდ არ წაადგება დედაქალაქს.

სასურველია, მერიის თანამშრომლები შეირჩეს ისეთი კადრებით, რომლებსაც უყვართ დედაქალაქი და პატივს სცემენ თბილისის მოქალაქეებს.

**ომარ მარგველაშვილი**

მსოფლიო

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ევრაზიის ეკონომიკური კავშირი შეიქმნა 2014 წლის 29 მაისს. ამჟამად ამ ორგანიზაციაში გაერთიანებულია 5 სახელმწიფო: რუსეთი, ყაზახეთი, ყირგიზეთი, ბელარუსი და სომხეთი. დამკვირვებლის სტატუსი აქვს მოლდოვას.**



# ევრაზიის ეკონომიკური კავშირი და ინდოეთი თავისუფალ სავაჭრო ზონას ქმნიან

**რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა სერგეი ლავროვმა განაცხადა, რომ დასრულდა ევრაზიის ეკონომიკური კავშირისა და ინდოეთის ოფიციალური მოლაპარაკებებისთვის მზადება თავისუფალი სავაჭრო ზონის შექმნის საკითხზე.**



„სადღეისოდ შესრულებულია ყველა აუცილებელი პროცედურა ოფიციალური მოლაპარაკების დასაწყებად, რათა გაფორმდეს შეთანხმება ევრაზიის ეკონომიკურ კავშირსა და ინდოეთს შორის თავისუფალი სავაჭრო ზონის შექმნის შესახებ. მოლაპარაკებების პროცესის სასწრაფოდ ამოქმედება მნიშვნელოვანი ეტაპი იქნება ევრაზიის ეკონომიკურ კავშირსა და ინდოეთის ურთიერთქმედების გზაზე“, — თქვა ლავროვმა თავის ინდოელ კოლეგა **სუბრამანიამ ჯაიშანკართან** გამართული მოლაპარაკებების შემდეგ.

მინისტრებმა, აგრეთვე, იმსჯელეს საკითხზე, რომ საერთაშორისო სატრანსპორტო დერეფნის — ჩრდილოეთი-სამხრეთის, შესაქმნელად აუცილებელია მუშაობის ინტენსიფიკაცია ფორმატში — რუსეთი, ინდოეთი და ირანი. „ამ თემაზე საგნობრივ კონსულტაციებს გადიან კომპეტენტური უწყებები“, — დასძინა ლავროვმა.

ევრაზიის ეკონომიკური კავშირი შეიქმნა 2014 წლის 29 მაისს. ამჟამად ამ ორგანიზაციაში გაერთიანებულია 5 სახელმწიფო: **რუსეთი, ყაზახეთი, ყირგიზეთი, ბელარუსი** და **სომხეთი.** დამკვირვებლის სტატუსი აქვს **მოლდოვას.**

2015 წელს ევრაზიის ეკონომიკურ კავშირთან თავისუფალი სავაჭრო ზონის შექმნის შესახებ ხელშეკრულება გააფორმა **ვიეტნამმა.** 2018 წლის 17 მაისს თავისუფალი სავაჭრო ზონის შექმნაზე დროებითი შეთანხმება მოიწონა **ირანმა.** 2018 წლის 17 მაისს ხელი მოეწერა სავაჭრო-ეკონომიკური თანამშრომლობის შესახებ შეთანხმებას ევრაზიის ეკონომიკურ კავშირსა და **ჩინეთის სახალხო რესპუბლიკას** შორის.

2018 წლის 31 მაისს გაფორმდა ურთიერთგაგების მემორანდუმი ევრაზიის ეკონომიკურ კომისიასა და **კუბის** მთავრობას შორის. მოლაპარაკებების სტადიაზეა შეთანხმება თავისუფალი სავაჭრო ზონის შექმნის შესახებ **ეგვიპტესთან, ტაილანდთან, მონღოლეთთან, სერბეთთან, ინდოეთსა და სინგაპურთან.**

**„სადღეისოდ შესრულებულია ყველა აუცილებელი პროცედურა ოფიციალური მოლაპარაკების დასაწყებად, რათა გაფორმდეს შეთანხმება ევრაზიის ეკონომიკურ კავშირსა და ინდოეთს შორის თავისუფალი სავაჭრო ზონის შექმნის შესახებ. მოლაპარაკებების პროცესის სასწრაფოდ ამოქმედება მნიშვნელოვანი ეტაპი იქნება ევრაზიის ეკონომიკურ კავშირისა და ინდოეთის ურთიერთქმედების გზაზე“**

მოამზადა
**ნიკა კორინთელმა**

# მაკრონი: დასავლეთის ჰეგემონია დასრულდა

**საფრანგეთის პრეზიდენტმა ემანუელ მაკრონმა განაცხადა, რომ მსოფლიოში დასავლეთის დომინირების ეპოქა დასრულდა.**

„ჩვენ ვხედავთ დასავლეთის ჰეგემონიის დასასრულს მსოფლიოში. ვითარება იცვლება“, — თქვა საფრანგეთის ლიდერმა და დასძინა, რომ ეს ხდება გეოპოლიტიკური ცვლილებების გამო. მაკრონმა, აგრეთვე, აღნიშნა, რომ ამჟამად ჩინეთმა პირველ რიგში გადაინაცვლა, რუსეთი კი დიდ წარმატებებს აღწევს თავისი სტრატეგიით. ცოტა ხნით ადრე Finansial Times-ისთვის მიცემულ ინტერვიუში რუსეთის პრეზიდენტმა **ვლადიმერ პუტინმა** განაცხადა, რომ, მისი აზრით, ლიბერალურმა იდეამ თავისი თავი ამოწურა.

მოამზადა
**გიორგი გაჩეჩილაძემ**

# ბესლანის ტრაგედიიდან 15 წელი გავიდა

**15 წლის წინათ მოხდა ერთ-ერთი საშინელი ტრაგედია თანამედროვე რუსეთის ისტორიაში. ჩრდილოეთ ოსეთის ქალაქ ბესლანის №1 სკოლაში ბოევიკებმა მძევლად აიყვანეს 1128 ადამიანი — მოსწავლეები, მათი მშობლები და მასწავლებლები.**

ტერორისტებს სამი დღის განმავლობაში დანაღმულ შენობაში ჰყავდათ დატყვევებული მძევლები, არ აძლევდნენ მათ არც წყალს და არც საკვებს. შენობა შტურმით აიღეს 3 სექტემბერს, მხოლოდ მას შემდეგ, რაც სკოლის სასპორტო დარბაზში ტერორისტებმა ბომბი ააფეთქეს, გაჩნდა ხანძარი და შენობა ნაწილობრივ ჩამოინგრა. **მიუხედავად იმისა, რომ მძევლების უმრავლესობა გაათავისუფლეს, დაიღუპა 333 ადამიანი, მათ შორის, სპეცრაზმელები. მსხვერპლთა შორის იყო 186 ბავშვი. 800-ზე მეტი ადამიანი სხვადასხვა ხარისხით დაიჭრა.**





ამ ტერორისტულ აქტზე პასუხისმგებლობა დაიკისრა ტერორისტმა **შამილ ბასაევმა.**

მოამზადა
**ნიკოლოზ აბაშიძემ**

**მიუხედავად იმისა, რომ მძევლების უმრავლესობა გაათავისუფლეს, დაიღუპა 333 ადამიანი, მათ შორის, სპეცრაზმელები. მსხვერპლთა შორის იყო 186 ბავშვი. 800-ზე მეტი ადამიანი სხვადასხვა ხარისხით დაიჭრა. ამ ტერორისტულ აქტზე პასუხისმგებლობა დაიკისრა ტერორისტმა შამილ ბასაევმა**





„ნორმანდიული ოთხეულის (გერმანია, საფრანგეთი, რუსეთი და უკრაინა) შეხვედრის ორგანიზების სამუშაოები აქტიურად მიმდინარეობს“, — განაცხადა რუსეთის პრეზიდენტის პრესმდივანმა დიმიტრი პესკოვმა. მანამდე გერმანიის კანცლერმა ანგელამ მერკელმა განაცხადა, რომ გერმანია და საფრანგეთი გეგმავენ, ნორმანდიული ოთხეულის შეხვედრა პარიზში გაიმართოს.

მსოფლიო
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# კრემლმა დაადასტურა, რომ ემზადება ნორმანდიული ოთხეულის სამიტის ჩასატარებლად

## მაკრონის განცხადებით, ნორმანდიული ოთხეულის სამიტი სექტემბერში გაიმართება

**„ნორმანდიული ოთხეულის (გერმანია, საფრანგეთი, რუსეთი და უკრაინა) შეხვედრის ორგანიზების სამუშაოები აქტიურად მიმდინარეობს“, — განაცხადა რუსეთის პრეზიდენტის პრესმდივანმა დიმიტრი პესკოვმა.**

მანამდე გერმანიის კანცლერმა **ანგელამ მერკელმა** განაცხადა, რომ გერმანია და საფრანგეთი გეგმავენ, ნორმანდიული ოთხეულის შეხვედრა პარიზში გაიმართოს.

„ასეთი სამიტის ორგანიზებაზე ნამდვილად ვმუშაობთ, თუმცა ამას წინ უნდა უძღოდეს საკმაოდ ბევრი „საშინაო სამუშაო“, — განაცხადა პესკოვმა.

საფრანგეთის პრეზიდენტ **ემანუელ მაკრონის** განცხადებით, ნორმანდიის ოთხეულის სამიტი უკრაინის საკითხზე სექტემბერში გაიმართება.

„ჩვენ მოვილაპარაკეთ — ეს არის შედეგების შემაჯამებელ მოკლე ტექსტში — სექტემბერში ნორმანდიულ ფორმატში გავმართოთ შეხვედრა უმაღლეს დონეზე სახელმწიფოების მეთაურებს შორის“, — განაცხადა მაკრონმა G7-ის სამიტის შემაჯამებელ პრესკონფერენციაზე.



საფრანგეთის პრეზიდენტმა აღნიშნა, რომ შესაბამის გეგმებზე რუსეთისა და უკრაინის პრეზიდენტებთან იმსჯელა.

„ამ საკითხზე ფორტ ბრეგანსონში ვიმსჯელე რუსეთის პრეზიდენტ ვლადიმერ პუტინთან, მან მხარი დაუჭირა ასეთი შეხვედრის გამართვას. „შვიდეულის“ სამიტის პერიოდში მე ტელეფონით ვესაუბრე უკრაინის პრეზიდენტ ვლადიმერ ზელენსკის, რომელმაც დაადასტურა თავისი მზადყოფნა შეხვედრაში მონაწილეობაზე“.

„ამ საკითხზე ფორტ ბრეგანსონში ვიმსჯელე რუსეთის პრეზიდენტ ვლადიმერ პუტინთან, მან მხარი დაუჭირა ასეთი შეხვედრის გამართვას. „შვიდეულის“ სამიტის პერიოდში ტელეფონით ვესაუბრე უკრაინის პრეზიდენტ ვლადიმერ ზელენსკის, რომელმაც დაადასტურა თავისი მზადყოფნა შეხვედრაში მონაწილეობაზე“.

# პუტინი მერკელს ნორმანდიული ოთხეულის სამიტის მომზადების მნიშვნელობაზე ესაუბრა



**რუსეთის პრეზიდენტმა ვლადიმერ პუტინმა გერმანიის კანცლერ ანგელა მერკელთან სატელეფონო საუბრისას განაცხადა, რომ პოზიტიური შედეგების მისაღებად საჭიროა სერიოზული მომზადება ნორმანდიული სამიტის ჩასატარებლად.**

რუსეთის პრეზიდენტმა ხაზი გაუსვა მოსამზადებელი სამუშაოების მნიშვნელობას ნორმანდიული ოთხეულის მორიგი სამიტის ჩასატარებლად, რათა ამ შეხვედრამ მოიტანოს კონკრეტული პოზიტიური შედეგები.

ამ კონტექსტში მან ხაზი გაუსვა კიევის მიერ იმ შეთანხმებების შესრულებას, რომლებიც მიღწეული იქნა 2015 და 2018 წლებში პარიზსა და ბერლინში ამ ფორმატით გამართულ უმაღლეს დონის შეხვედრებზე.

პუტინმა და მერკელმა აღნიშნეს უალტერნატივობა მინსკის შეთანხმების კომპლექსური ზომებისა, როგორც შიდაუკრაინული კონფლიქტის მოგვარების საფუძვლის. გერმანიისა და რუსეთის ლიდერებმა გამოხატეს საერთო განწყობილება ერთობლივი მუშაობის შესახებ ნორმანდიული ოთხეულის ჩარჩოებში, მათ შორის რუსეთის, გერმანიის, საფრანგეთისა და უკრაინის ლიდერების თანაშემწეთა ხაზით.

# ბერლინში ნორმანდიის ოთხეულის სამიტის მოსამზადებელი შეხვედრა ჩატარდა

**2 სექტემბერს ბერლინში გაიმართა ნორმანდიის ოთხეულის (უკრაინა, რუსეთი, გერმანია, საფრანგეთი) ლიდერების თანაშემწეთა შეხვედრა, რომელზეც შეათანხმეს მომავალი სამიტის დღის წესრიგი და, აქედან გამომდინარე, სამიტის ჩატარების თარიღიც.** ამ ფორმატში ქვეყნების ხელმძღვანელები უკრაინის პრობლემების გადაჭრას ცდილობენ. შეხვედრა მედიისთვის დახურული იყო.

ოფიციალურ კიევს სურს ამ შეხვედრის რაც შეიძლება მალე გამართვა, საფრანგეთი მზად არის, სამიტს თუნდაც სექტემბერში უმასპინძლოს. ოფიციალური მოსკოვი კი აცხადებს, რომ თარიღზე ლაპარაკი ჯერ ადრეა, რადგან მანამდე განსახილველი საკითხები უნდა მომზადდეს.





# «ევროპა ლისაბონიდან ვლადივოსტოკამდე»

## მაკრონმა პუტინთან შეხვედრისას დე გოლის ფილოსოფიას მიმართა

**საფრანგეთის პრეზიდენტმა ემანუელ მაკრონმა რუსეთის ლიდერ ვლადიმერ პუტინის ვიზიტისას რუსეთისა და საფრანგეთის ურთიერთობების გადატვირთვა გამოაცხადა და თქვა, რომ სჯერა „ევროპის ლისაბონიდან ვლადივოსტოკამდე“. მაკრონმა თავისი სახელგანთქმული წინამორბედის — შარლ დე გოლის ნათქვამი გაიმეორა.**

„დიდი ევროპის“ იდეა არახალია. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ **შარლ დე გოლმა** საჯაროდ განაცხადა: „ევროპა ერთიანი უნდა იყოს ატლანტიკიდან ურალამდე“.

შარლ დე გოლი აკრიტიკებდა ნატოს, მოუწოდებდა დასავლეთსა და სსრკ-ს შორის ურთიერთობის დათბობისკენ. მის წარმოდგენაში „დიდ ევროპას“ არ ჰქონდა არანაირი გამყოფი ხაზი, არც დაპირისპირებული ბანაკები და იყო ერთიანი ეკონომიკური, კულტურული და ჰუმანიტარული სივრცე. ამ სქემას უნდა გაეერთიანებინა მთელი კონტინენტი.

საერთო მომავალზე ჯერ კიდევ 5 წლის წინათ ლაპარაკობდა **ვლადიმერ პუტინი**: „რუსეთის თავისებურებები სიღრმისეულად არ განსხვავდება ევროპული ფასეულობებისგან. ჩვენ ერთი ცივილიზაციის ადამიანები ვართ, დიახ, ჩვენ განვსხვავდებით, ჩვენ გვაქვს ჩვენი თავისებურებები, მაგრამ ფასეულობები ერთნაირია. ვფიქრობ, უნდა მივისწრაფოდეთ ლისაბონიდან ვლადივოსტოკამდე ევროპის შექმნისკენ. თუ ჩვენ ამას გავაკეთებთ, გვექნება შანსი, მომავალ მსოფლიოში ღირსეული ადგილი დავიკავოთ, — განაცხადა პუტინმა.

შარლ დე გოლი აკრიტიკებდა ნატოს, მოუწოდებდა დასავლეთსა და სსრკ-ს შორის ურთიერთობის დათბობისკენ. მის წარმოდგენაში „დიდ ევროპას“ არ ჰქონდა არანაირი გამყოფი ხაზი, არც დაპირისპირებული ბანაკები და იყო ერთიანი ეკონომიკური, კულტურული და ჰუმანიტარული სივრცე. ამ სქემას უნდა გაეერთიანებინა მთელი კონტინენტი

# ლუკაშენკო: ბელარუსი იძულებული შეიქნა, უკრაინასთან საზღვარი ჩაეკეტა



**პრეზიდენტმა ალექსანდრე ლუკაშენკომ განაცხადა, რომ ბელარუსი იძულებული შეიქნა, უკრაინასთან საზღვარი ჩაეკეტა. ამის მიზეზი კი უკრაინიდან ქვეყანაში იარაღის დიდი რაოდენობით შეტანა გახდა.**

„ჩვენ იძულებული ვართ, ჩვენს ძმებთან, ახლობელ ადამიანებთან იმაზე უფრო მკაცრად ჩავკეტოთ საზღვარი, ვიდრე ჩრდილოატლანტიკურ ბლოკთან, რომელიც ჩვენთვის, დიდი ხანია, ნომერ პირველ მტრად მიიჩნეოდა“, — განაცხადა ლუკაშენკომ საერთაშორისო კონფერენციაზე, რომელიც ინოვაციური მიდგომებით ტერორიზმთან ბრძოლას მიეძღვნა.

„თუ იარაღი მოხვდება ჩვეულებრივი ადამიანების, განსაკუთრებით კი ნაციონალისტურად განწყობილთა ხელში, ელოდე ტერორიზმს“, — განაცხადა ლუკაშენკომ. ბელარუსის სახელმწიფო სასაზღვრო კომიტეტის ცნობით, უკრაინასთან საზღვარზე შარშან 800-ზე მეტი საბრძოლო მასალა და 76 ერთეული იარაღი ამოიღეს.

გვერდი მოამზადა
**გიორგი გაჩეჩილაძემ**

გრიგოლ ონიანის საავტორო გვერდი

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



**ძვირფასო მკითხველო, ყველამ იცით, რომ ქვეყანა არასწორად მოძრაობს ატორტმანებულ პოლიტიკურ ოკეანეში, მაგრამ ამას, იმის გამო, რომ ოჯახები გვყავს, ხმამაღლა ვერავინ ვამბობთ, რადგან სიმართლის მთქმელს ჯოჯოხეთი ელოდება. ეს მაკავებდა მეც, თუმცა კი ვამბობდი სიმართლეს, მაგრამ ჩემს ნათქვამს ძალა და ჯავარი აკლდა.**

**გამარჯობა, ჩემო ერთგულო მკითხველო! 2-თვიანი გეგმური შესვენების შემდეგ დავუბრუნდი საყვარელ გაზეთ „საქართველო და მსოფლიოს“ და დაგიბრუნდით თქვენც ახალი მასალებით, ახალი შემართებითა და ახალი იდეებით დახუნძლული, რათა ერთად ვიბრძოლოთ საქართველოს გაერთიანება-გაბრწყინებისთვის. დღემდე დაწერილი ჩემი ყველა წერილი თუ შენიშვნა მეტ-ნაკლებად შეზღუდული იყო გარემოებათა გამო.**

# სტალინი — მსოფლიო პროლეტარიატის ბელადი

## სტალინიზმი, რომელმაც გაუძლო მსოფლიო კრიზისებს და გადაარჩინა ცივილიზაცია



**ხალხთა გათავისუფლებისთვის ბრძოლა კავკასიიდან უნდა დაიწყოს, ყველამ ერთად უნდა ვიზრუნოთ, რომ სამუდამოდ ავლაგმოთ უკრაინული ფაშიზმი და უკრაინის, ბელარუსის, რუსეთის, შუა აზიისა და კავკასიის ქვეყნების საძირკვლებზე ავაღორძინოთ ძლევამოსილი სტალინური საბჭოთა კავშირი, რომელსაც შემორჩენილი აქვს პოტენციალი, რომ აღსრულდეს სტალინის მიერ პირველ დიპლომატ ქალბატონ ალექსანდრა კოლონტაისთვის 1939 წელს ნათქვამი**

ერთხელ საერთო საუბარში აკადემიკოსმა როინ მეტრეველმა საყურადღებო რამ თქვა: „გალილეო გალილეის ძმამაც იცოდა, დედამიწა რომ ბრუნავდა, მაგრამ მას ოჯახი ჰყავდაო“.

ძვირფასო მკითხველო, ყველამ იცით, რომ ქვეყანა არასწორად მოძრაობს ატორტმანებულ პოლიტიკურ ოკეანეში, მაგრამ ამას, იმის გამო, რომ ოჯახები გვყავს, ხმამაღლა ვერავინ ვამბობთ, რადგან სიმართლის მთქმელს ჯოჯოხეთი ელოდება. ეს მაკავებდა მეც, თუმცა კი ვამბობდი სიმართლეს, მაგრამ ჩემს ნათქვამს ძალა და ჯავარი აკლდა.

**განვლილმა ორმა თვემ, როდესაც გავარვარებულ თონეში ვიყავი გადაკიდებული და ჯერ კიდევ დაუნაცრავ ნაკვერჩხლებს ვარჩევდი და მაღლა ვისროდი, და კიდევ ბევრმა რამემ დამარწმუნა, რომ უნდა ვიყვირო ხმის ჩახლეჩამდე სიმართლე, რომლის აღსრულებას მე, ალბათ, ვერ მოვესწრები, მაგრამ ჩემს შვილიშვილს, დათუნა ონიანს, საამაყოდ დარჩება ბაბუის რაინდული თავგანწირვა ხალხში სიმართლის თქმისა და გავრცელებისთვის.**

მეც მყავს ოჯახი, მაგრამ საქართველოს გადასარჩენად, ჩვენი მრავალსაუკუნოვანი კულტურის შესანარჩუნებლად ერთი ოჯახის გაწირვა აღელვებულ ოკეანეში ანთებული ასანთის ღერის გადაგდების ტოლფასია.

„ერთი ადამიანის სიცოცხლე უფრო ძვირფასია სამშობლოზე“ — ეს პოსტულატი მტკნარი სიცრუეა, მე ასეთ ტრადიციებზე არ ვარ აღზრდილი. მირჩევნია, **„რომ ვიყო მონა და საქართველოს მედგას ულელი“.**

ჩემი მიზანია, სტალინის გიგანტურ ფიგურას ჩამოვაცილო სრულიად უსარგებლო, დამამძიმებელი ბალასტი და ხალხს მივაწოდო რაციონალური მარცვალი ბიბლიის მიხედვით ადამიანთა მოდგმის მუდმივმოქმედი ათი მცნებისა, რომლებიც ლეგენდარულმა სტალინმა დედამიწაზე დანერგა. გარდა ზოგადსაკაცობრიო იდეალებისა, ცალკე ჩამოაყალიბა და განახორციელა ჰუმანურ-რელიგიურ დოგმებზე დამყარებული ცხოვრების წესები, რომლებიც აოცებს მაღალ მატერიებზე მომუშავე მეცნიერ-მკვლევარებს.

სტალინი — ეს არის ადამიანი, რომელმაც უამრავი სასწაული მოახდინა:

*** შეცვალა დედამიწაზე ცხოვრების ყველა წესი და კანონი, არსებითად გარდაქმნა მსოფლიო;**

* შეცვალა პიროვნების, ერებისა და ხალხების წარმოდგენები, თვალსაზრისი და, საერთოდ, მსოფლმხედველობა;

*** ზესახელმწიფოდ აქცია საბჭოთა კავშირი;**

* შექმნა ამაღლებული ზნეობის, საკაცობრიო იდეალების მოტრფიალე საზოგადოება, რომელშიც დანაშაული გადმონაშთი იყო, რომელშიც ერთხელ და სამუდამოდ აღიკვეცა სეპარატისტული კერები ქვეყნის შიგნით, ერებს შორის „ერთხელ და სამუდამოდ“ დამყარდა ნამდვილი ძმობა და ურთიერთპატივისცემა;

*** დედამიწის საბჭოურ ნაწილში დაამყარა დემოკრატია არსითა და ფორმით, დაამყარა თანასწორობის, სოციალური სამართლიანობისა და ერთსულოვნების პრინციპები;**

* გაათავისუფლა ხალხები კერძო საკუთრების მონოპოლიის დისკრიმინაციისგან;

*** შრომა, ცოდნა და ტალანტი აქცია ყველაზე მნიშვნელოვან ღირსებად, ანუ ნიჭიერება უფრო მაღლა დასვა, ვიდრე ფული და ქონება;**

* გაათავისუფლა რუსეთის ხალხები იმპერიის დიქტატისაგან. ამ ხალხებს შეუქმნა სახელმწიფოებრიობა მოკავშირე თუ ავტონომიური რესპუბლიკების უფლებებში. თანასწორუფლებიანობის საწყისზე შექმნა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირი;

*** შექმნა უპრობლემო ხალხი;**

* გაანელა სხვადასხვა რელიგიური აღსარების ხალხების ისტორიული დაპირისპირებები;

*** შექმნა რაინდული საშინაო და საგარეო პოლიტიკა, რომელიც ზნეობრივ სიწმინდეზე იქნა დაფუძნებული;**

* საერთაშორისო ურთიერთობები ჰუმანურ-დემოკრატიულად აქცია;

*** აპოგეურ მდგომარეობამდე მიიყვანა ადამიანის უფლებების დაცვა;**

* აიძულა კერძო კაპიტალის სახელმწიფოთა მმართველები, სერიოზულად ეფიქრათ თავიანთი მოქალაქეების სოციალურ დაცვაზე;

*** შექმნა ყველა პირობა და მართალი იდეოლოგია ინდივიდისა და საზოგადოების ინტერესების დამთხვევისთვის და პირველად კაცობრიობის ისტორიაში შეძლო ამ ინტერესების დამთხვევა;**

* შექმნა საბჭოთა ხალხების ფორმით ეროვნული და შინაარსით სოციალისტური კულტურა;

*** დააკანონა ერთა შორის ურთიერთპატივისცემის ატმოსფერო, დააახლოვა ეროვნული კულტურები ერთმანეთს;**

* შექმნა საზოგადოება: ერთი — ყველასათვის, ყველა — ერთისთვის;

*** შექმნა კაცობრიობის არსებობის ისტორიაში ყველაზე წმინდა და ამაღლებული ზნეობის საზოგადოება;**

* გაათავისუფლა ადამიანთა გრძნობები;

*** გაანადგურა კერძო კაპიტალის ჰეგემონიის იდეოლოგია; დაამტკიცა, რომ საზოგადოების განვითარების ტრადიციული, კერძო საკუთრების მონოპოლიის კანონები შეცვლას ექვემდებარება;**

* როგორც საბჭოეთში, ასევე მის ფარგლებს გარეთ თანასწორობის, ერთობისა და სოციალური სამართლიანობის იდეალები რეალობად აქცია;

*** გაათავისუფლა ხალხები რელიგიური მომნუსხველობისგან;**

* პირველად დედამიწაზე შექმნა საზოგადოება ხალხების, ერების, პიროვნების ექსპლუატაციის გარეშე;

*** კაცობრიობა პირველად შეაყენა დემოკრატიული განვითარების გზაზე, რადგან კერძო საკუთრების მონოპოლიის სამყაროს გვერდით წარმოიშვა ნაციონალიზებული საკუთრების მონოპოლიის სამყარო, რომელიც სიცოცხლისუნარიანი გამოდგა. სინანულით უნდა აღინიშნოს, რომ სოციალიზმის დივერსიული დამხობით საბჭოთა კავშირში დაიკარგა კაცობრიობის დემოკრატიული განვითარების შესაძლებლობა;**

* გაანადგურა გერმანული ფაშიზმი და იხსნა კაცობრიობა სამუდამო მონობისგან.



ალექსანდრა კოლონტაი

„1917 წლის 25 ოქტომბერს ბოლშევიკური პარტიის დიდი გამარჯვება სულაც არ იყო განპირობებული მარქსიზმის ყოვლისშემძლეობით, იგი არც ლენინიზმის ტრიუმფს ნიშნავდა. ხელისუფლებისთვის მებრძოლ პოლიტიკურ ძალებს შორის ყველაზე ორგანიზებული აღმოჩნდა ბოლშევიკების პარტია, რომლის სტრატეგია და ტაქტიკა ეფუძნებოდა არა მარქსიზმს, არა ლენინიზმს, არამედ სოციალური მოძღვრების ახალ მიმდინარეობას — სტალინიზმს. ბოლშევიკების ლიდერი **ვლადიმერ ლენინი** არც **პეტრე დიდის** როლში გამოდგა და არც **ემელიანე პუგაჩოვის.**

ეს სისტემა თავიდან ბოლომდე **იოსებ ჯუღაშვილის** მიერ იყო აშენებული, მას არაფერი აქვს საერთო **კარლ მარქსის, ფრიდრიხ ენგელსისა** და ვლადიმერ ლენინის იდეებთან. ის მთელი თავისი სიდიადითა თუ ნაკლით მხოლოდ სტალინის კუთვნილებაა“ (ვახტანგ გურული, „მეფე-მამა“).

დღეიდან ჩემს ნაწერებში ვერ შეხვდებით მარქსიზმის, ლენინიზმისა და ტროცკიზმის დებულებებს. **არსებობს ქვეყნის განვითარების მხოლოდ ერთი ფორმა, რომელმაც გაუძლო მსოფლიო კრიზისებს და გადაარჩინა ცივილიზაცია (მეორე მსოფლიო ომში). ეს არის სტალინიზმი სრულიად ახალი ფორმითა და შინაარსით. ღრმად მართლმადიდებლური რწმენით გაჟღენთილი საზოგადოება, რომელიც ქრისტეს თანასწორუფლებიანობისა და მტერთან მოყვრობის იდეოლოგიით მიიკვლევდა გზას ამქვეყნიური სამოთხისკენ, მაგრამ შეფერხდა მისი განვითარება. დიდი ილიას შეგონების მიხედვით, შვილმა კვალში ჩარჩენილი გუთანი ბოლომდე უნდა მიიყვანოს და ნოყიერ ნიადაგს საღი თესლი მიაყაროს. ეს უნდა იყოს ჩვენი შეუცვლელი დევიზი.**

კაპიტრალიზმი უკანასკნელ ძალებს იკრებს, მაგრამ უკვე გვიანაა, მას თავისი დანაშაულების სიმძიმე გასრესს. ასეთია კაპიტალიზმის ბუნება. დააკვირდით, როგორ ჰგავს დღევანდელი კაპიტალიზმის სოციალური თუ პოლიტიკური მდგომარეობა ასი წლისწინანდელ კაპიტალიზმის კრახს, რომელზც სტალინმა პარტიის მეჩვიდმეტე ყრილობაზე ილაპარაკა:

**„გაჭიანურებული ეკონომიკური კრიზისის შედეგი იყო პოლიტიკური მდგომარეობის დღემდე არნახული გამწვავება კაპიტალისტურ ქვეყნებში, როგორც ამ ქვეყნებს შიგნით, ისე მათ შორის. ბრძოლის გაძლიერებამ საგარეო ბაზრებისთვის, თავისუფალი ვაჭრობის უკანასკნელი ნაშთების მოსპობამ, ამკრძალავმა ბაჟებმა, სავაჭრო ომმა, ვალუტების ომმა, დემპინგმა და მრავალმა სხვა ანალოგიურმა ღონისძიებამ, რომლებიც ააშკარავებს უკიდურეს ნაციონალიზმს ეკონომიკურ პოლიტიკაში, უკიდურესობამდე გაამწვავა ურთიერთობა ქვეყნებს შორის, შექმნა ნიადაგი სამხედრო შეტაკებებისთვის, რიგში დააყენა ომი, როგორც საშუალება მსოფლიოზე გავლენის სფეროების ხელახალი გაყოფისა ძლიერი სახელმწიფოების სასარგებლოდ, რაც იმის ნიშანია, რომ მას აღარ შეუძლია, გამოსავალი გამონახოს ახლანდელი მდგომარეობიდან მშვიდობიანი საგარეო პოლიტიკის საფუძველზე, რის გამოც იძულებულია, მიმართოს ომის პოლიტიკას.**

როგორც ხედავთ, საქმე მიდის ახალი იმპერიალისტური

არსებობს ქვეყნის განვითარების მხოლოდ ერთი ფორმა, რომელმაც გაუძლო მსოფლიოს კატასტროფებს და გადაარჩინა ცივილიზაცია (მეორე მსოფლიო ომში) — ეს არის სტალინიზმი სრულიად ახალი ფორმითა და შინაარსით. ღრმად მართლმადიდებლური რწმენით გაჟღენთილი საზოგადოება, რომელიც ქრისტეს თანასწორუფლებიანობისა და მტერთან მოყვრობის იდეოლოგიით მიიკვლევდა გზას ამქვეყნიური სამოთხისკენ, მაგრამ შეფერხდა მისი განვითარება. დიდი ილიას შეგონების მიხედვით, შვილმა კვალში ჩარჩენილი გუთანი ბოლომდე უნდა მიიყვანოს და ნოყიერ ნიადაგს საღი თესლი მიაყაროს. ეს უნდა იყოს ჩვენი შეუცვლელი დევიზი.

გრიგოლ ონიანის საავტორო გვერდი
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ხელისუფლებავ! ბატონო ბიძინა! ეს არ არის უსუსურობა და რევოლუციური გაქანების არქონა, როდესაც დამნაშავე ადანაშაულებს უდანაშაულოს. სწორედ ასეთი მდგომარეობა ქმნის იმის აუცილებლობას, რომ ქვეყნის პატრონმა თქვას და გააკეთოს ის, რაც სტალინმა თქვა და გააკეთა: «ან ჩვენ დავაჩოქებთ მათ, ან ისინი დაგვაჩოქებენ ჩვენ». ჩვენ ისინი თავის დროზე დავაჩოქეთ. ნუთუ ვერ ხვდება «ოცნებაში» ვერავინ, რომ ქვეყანა და ხალხი დამნაშავე, გაუსამართლებელ ბოროტმოქმედებს ჩოქბჯენში ჰყავთ გადაყვანილი და მათ მალე სუფთა გამარჯვებას მიულოცავენ და თავიანთ ჯვაროსნულ დროშას კვლავ მაღლა ააფრიალებენ. თუ ქართულ ხელისუფლებას არ შეუძლია, ქართველმა ხალხმა უნდა მიბაძოს საქართველოს ძველთაძველ სამართალს, რომელიც რომაული სამართლის ხნის და ტოლფარდია და დამნაშავეთა ხროვა განკვეთოს საზოგადოებისგან, — წინა ხელისუფლების რეჟიმის არც ერთი წევრი ხალხის რჩეული არ უნდა გახდეს. არც ერთი ნაციონალი პარლამენტში! — ეს უნდა იყოს ქართველი ხალხის ლოზუნგი მომავალ არჩევნებში.**
**მე ამ ბრძოლის აქტიური მებრძოლი ვიქნები სისხლის ბოლო წვეთამდე. რასაც მოიგებთ, ნაცებო, სტალინის ძეგლების გადაღებვით, არავის გაუყოთ. დედას გიტირებთ!**

ომისკენ, როგორც გამოსავლისკენ ახლანდელი მდგომარეობიდან. რასაკვირველია, არ არსებობს საფუძველი, ვიფიქროთ, რომ ომს შეუძლია აპოვნინოს მათ გამოსავალი. პირიქით — ომი კიდევ უფრო გაართულებს მდგომარეობას. უფრო მეტიც, ის უეჭველად ხელს გაუხსნის რევოლუციას და კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენებს კაპიტალიზმის არსებობას რიგ ქვეყნებში, როგორც ეს მოხდა პირველი იმპერიალისტური ომის მსვლელობისას (ან თუნდაც მეორე მსოფლიო ომში — გრ. ონიანი)

თუ, **მიუხედავად პირველი იმპერიალისტური ომის გამოცდილებისა (მით უმეტეს მეორე მსოფლიო ომისა — გრ. ონიანი), ბურჟუაზიული ქვეყნების პოლიტიკოსები მაინც ებღაუჭებიან ომს, როგორც წყალწაღებული — ხავსს, ეს იმას ნიშნავს, რომ ისინი საბოლოოდ დაიბნენ, ჩიხში მოემწყვდნენ და მზად არიან, თვალდახუჭული გადაეშვან უფსკრულში.**

ზოგიერთი ფიქრობს, რომ ომი უნდა მოეწყოს საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ. **ისინი ფიქრობენ, გაანადგურონ საბჭოთა კავშირი, გაინაწილონ მისი ტერიტორია და ხელი მოითბონ მის ხარჯზე. შეცდომა იქნებოდა, გვევარაუდა, რომ ასე ფიქრობენ მხოლოდ სამხედრო წრეებში. ჩვენ ვიცით, რომ ასეთივე გეგმები მზადდება ევროპის ზოგიერთი სახელმწიფოს პოლიტიკურ ხელმძღვანელ წრეებში. დავუშვათ, რომ ეს ვაჟბატონები სიტყვიდან საქმეზე გადავიდნენ. რა შეიძლება მოჰყვეს ამას? არა მგონია, საეჭვო იყოს, რომ ეს ომი იქნება ბურჟუაზიისთვის ყველაზე საშიში ომი. ის იქნება ყველაზე საშიში არა მხოლოდ იმიტომ, რომ საბჭოთა კავშირის ხალხები სისხლის უკანასკნელ წვეთამდე იბრძოლებენ რევოლუციის მონაპოვრების დასაცავად. ის ყველაზე საშიში იქნება ბურჟუაზიისთვის, აგრეთვე, იმიტომ, რომ ომი იწარმოებს არა მხოლოდ ფრონტებზე, არამედ მოწინააღმდეგის ზურგშიც.** ბურჟუაზიას შეუძლია, ეჭვი არ შეეპაროს, რომ საბჭოთა კავშირის მუშათა კლასის მრავალრიცხოვანი მეგობრები ევროპასა და აზიაში შეეცდებიან, ზურგიდან დაჰკრან თავიანთ მჩაგვრელებს, რომლებმაც დაიწყეს დანაშაულებრივი ომი ყველა ქვეყნის მუშათა კლასის სამშობლოს წინააღმდეგ. და ჩვენ ნუღარ გვისაყვედურებენ ბატონი ბურჟუები, თუ მათ ასეთი ომის მეორე დღეს სათვალავში დააკლდებათ ახლობელი მთავრობები, რომლებიც ამჟამად განცხრომით მეფობენ „წყალობითა ღვთისათა" (როგორც ეს მოხდა მეორე მსოფლიო ომის შემდეგ. — გრ. ონიანი). ასეთია გზააბნეული ბურჟუაზიული პოლიტიკოსების საომარი გეგმები, როგორც ხედავთ, ისინი არ ბრწყინავენ არც ჭკუით, არც მამაცობით".

მკითხველს შეიძლება გაზვიადებულად მოეჩვენოს ის ჩამონათვალი, რომელმაც არა მხოლოდ შექმნა დედამიწის ერთ მეექვსედზე გადაჭიმული სახელმწიფო, არამედ მტკიცე ნიადაგი მოამზადა მსოფლიო პროლეტარიატის გასათავისუფლებლად. მაგრამ იმპერიალისტების მზაკვრული და საბჭოთა ხელისუფლების ზოგიერთი წარმომადგენლის მოღალატეობრივი მოქმედებით საბჭოთა კავშირი დაიშალა. საბჭოთა კავშირის დაშლა-დანგრევა ტრაგედია რომ იყო ამ სახელმწიფოში მცხოვრები ბევრი ხალხისთვის, მოწმობს 1990-იან წლებიდან საქართველოში, უკრაინაში, მოლდოვაში, სომხეთში, აზერბაიჯანსა და ტაჯიკეთში დღემდე განვითარებული მოვლენებიც.

**საბჭოთა კავშირი დაინგრა ამერიკის შეერთებული შტატებისა და მის მიერ მოსყიდული საბჭოთა ხელისუფლების წარმომადგენელთა ერთობლივი ძალისხმევით, რომელთაგან ზოგმა ჰეროსტრატეს მიბაძვით, ზოგმაც, უბრალოდ, დოლარების სიყვარულით გაყიდა კაცობრიობის სანიმუშო ქვეყანა.**

ჩემს ხუთტომეულში („სტალინი") საკმარისად მოვიყვანე საარქივო მასალა იმის გასაბათილებლად, თუ რა სისაძაგლეები და ურცხვი ბრალდებები წაუყენეს სტალინს მისმა ყოფილმა თანამებრძოლებმა.

ამიტომ ჩემს მომავალ პუბლიკაციებში ადამიანები შეძლებისდაგვარად უნდა დავარწმუნო, **რომ მსგავსად ისრებისა, რომლებიც გიორგი სააკაძემ თავის შვილ პაატას მიაწოდა, ბავშვმა კი ძალდაუტანებლად დაამტვრია ცალ-ცალკე ისრების მთელი კონა, ყველა ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკაც ასევე დაიმტვრევა და განადგურდება, თუ არ გავერთიანდით და ერთ კონად არ ვიქეცით დიდი რუსი ხალხის მეთაურობით.**

**ხალხთა გათავისუფლების ბრძოლა კავკასიიდან უნდა დაიწყოს, ყველამ ერთად უნდა ვიზრუნოთ, რომ სამუდამოდ ავლაგმოთ უკრაინული ფაშიზმი და უკრაინის, ბელარუსის, რუსეთის, შუა აზიისა და კავკასიის ქვეყნების საძირკვლებზე ავაღორძინოთ ძლევამოსილი სტალინური საბჭოთა კავშირი, რომელსაც შემორჩენილი აქვს პოტენციალი, რომ აღსრულდეს სტალინის მიერ პირველ დიპლომატ ქალბატონ ალექსანდრა კოლონტაისთვის 1939 წელს ნათქვამი:**

„ჩვენი პარტიისა და ხალხის ბევრ საქმეს დაამახინჯებენ, შერყვნიან და მიაფურთხებენ, უწინარესად, საზღვარგარეთ, აგრეთვე, ჩვენს ქვეყანაშიც.


Копия.

Народный Комиссар
по Иностранным Делам
Г.В.Чичерин. 2.XI.26 г.

Тов. Сталину.

Уважаемый товарищ,

Вам не передали мою вчерашнюю записку, в которой я Вам указывал, что вся заграница и пресса, и правительства, считает Вас руководящим лицом СССР и каждое Ваше слово расценивает как правительственный манифест; поэтому крайне неудобно в Ваших устах такие выражения как "или мы их поколотим, или они нас поколотят" о других государствах. Или мы готовим войну? Где наша мирная политика?

С товарищеским приветом

Чичерин


გიორგი ჩიჩერინი

სიონიზმი, რომელიც მიისწრაფვის მსოფლიო ბატონობისკენ, შეეცდება, სასტიკად იძიოს შური ჩვენზე ჩვენი წარმატებებისა და მიღწევებისთვის. ის კვლავ განიხილავს რუსეთს, როგორც ბარბაროსების ქვეყანას, როგორც სანედლეულე დანამატს. ჩემს სახელსაც შეურაცხყოფენ და ჩირქს მოსცხებენ, ბევრ ბოროტმოქმედებას მომაწერენ.

მსოფლიო სიონიზმი ყველა ხერხის გამოყენებით შეეცდება ჩვენი კავშირის განადგურებას, რათა რუსეთი ველარასოდეს წამოდგეს ფეხზე. სსრკ-ის ძალა ხალხთა მეგობრობაშია. საბრძოლო მახვილი, უწინარესად, მიმართული იქნება ამ მეგობრობის გაწყვეტისკენ, უკრაინისა და რუსეთის დაშორებისკენ. აქ, უნდა ვაღიაროთ, ბევრი რამ ჯერ კიდევ არ გაგვიკეთებია, აქ უზარმაზარი სამუშაოებია ჩასატარებელი.

განსაკუთრებული ძალით წამოყოფს თავს ნაციონალიზმი. ის რაღაც პერიოდის განმავლობაში დაჩაგრავს ინტერნაციონალიზმსა და პატრიოტიზმს, ოღონდ რაღაც პერიოდის განმავლობაში. ერებს შიგნით აღმოცენდებიან ნაციონალური ჯგუფები და დაიწყება კონფლიქტები. გაჩნდებიან ბელადი-პიგმეები, თავიანთი ერების გამყიდველები.

მთლიანობაში, სამომავლოდ, განვითარება იქნება უფრო რთული და სწრაფტემპიანი, მკვეთრი მოსახვევებით. განსაკუთრებით აფორიაქდება აღმოსავლეთი. დაიწყება მკვეთრი დაპირისპირება დასავლეთთან.

და მაინც, როგორც უნდა განვითარდეს მოვლენები, გავა დრო და ახალი თაობა მზერას მიაპყრობს ჩვენი სოციალისტური სამშობლოს საქმეებსა და წარმატებებს. ახალი თაობები კვლავ და კვლავ ააფრიალებენ თავიანთი მამებისა და პაპების დროშებს, ჩვენ კი კუთვნილ პატივს მოგვაგებენ. ისინი თავიანთ მომავალს ჩვენს წარსულზე ააგებენ".

მე ამ ანდერძის შესრულების ბრძოლაში დავასრულებ ჩემს შეგნებულ ცხოვრებას, შემდგომ კი დროშას ჩემი გვარისა და საქმის გამგრძელებელს, ჩემს შვილიშვილს — **დავით ონიანს** გადავცემ.

„ახალი ქვეყნის მშენებლობას სრულიად ახალი ტიპის ადამიანი სჭირდება, — წერს სტალინი თავის ისტორიულ ნაშრომში „ლენინიზმის საკითხები". — იგი უნდა იყოს რევოლუციური გაქანების და ამერიკული საქმიანობის".

მან განმარტა, რას ნიშნავს „რევოლუციური გაქანება" და „ამერიკული საქმიანობა", მაგრამ ამას უფრო ვრცლად შემდგონში მოგახსენებთ. აქ უნდა განვმარტოთ, თუ რა დოზით იყო სტალინში რევოლუციური გაქანება, რაც სტალინის შემდგომდროინდელ პოლიტიკოსებში ან სრულიად არ მოიპოვება, ან ძალზედ მცირე დოზითაა.

1926 წლის 2 ნოემბერს საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა კომისარმა გიორგი **ჩიჩერინმა** წერილი (იხ. წერილი) მისწერა სტალინს.

ჩიჩერინი აღშფოთებას გამოთქვამდა იმის გამო, რომ სტალინი, რომელიც საზღვარგარეთის ქვეყნებში ცნობილია, როგორც საბჭოთა კავშირის ხელმძღვანელი პირი და მისი სიტყვა უცხოეთს მიაჩნია, როგორც რუსეთის მთავრობის მანიფესტი, ამბობთ სიტყვებს:

**„ან ჩვენ დავაჩოქებთ მათ, ან ისინი დაგვაჩოქებენ ჩვენ"** (საზღვარგარეთის ქვეყნები). სად არის აქ ჩვენი სამშვიდობო პოლიტიკა? — ასკვნის ჩიჩერინი.

როდესაც ამ ფრაზას ვწერდი, ტელეფონმა დარეკა, დილის 9 საათი იყო.

„წუხელ ტელევიზიით გადმოსცეს, რომ სხვადასხვა რაიონში სტალინის ძეგლი გადაუღებავთ ოკუპაციის საპროტესტოდ", — გაისმა ყურმილში.

გუშინ მეც მოვისმინე რადიოინფორმაცია, რომელშიც „ნაცმოძრაობის" ლიდერები კატეგორიულად მოითხოვდნენ „ოცნების" ხელისუფლების დასჯას ჩვენი ტერიტორიების ოკუპაციის გამო.

ხელისუფლებავ! ბატონო ბიძინა! ეს არ არის უსუსურობა და რევოლუციური გაქანების არქონა, როდესაც დამნაშავე ადანაშაულებს უდანაშაულოს. სწორედ ასეთი მდგომარეობა ქმნის იმის აუცილებლობას, რომ ქვეყნის პატრონმა თქვას და გააკეთოს ის, რაც სტალინმა თქვა და გააკეთა: **„ან ჩვენ დავაჩოქებთ მათ, ან ისინი დაგვაჩოქებენ ჩვენ".** ჩვენ ისინი თავის დროზე დავაჩოქეთ. ნუთუ ვერ ხვდება „ოცნებაში" ვერავინ, რომ ქვეყანა და ხალხი დამნაშავე, გაუსამართლებელ ბოროტმოქმედებს ჩოქბჯენში ჰყავთ გადაყვანილი და მათ მალე სუფთა გამარჯვებას მიულოცავენ და თავიანთ ჯვაროსნულ დროშას კვლავ მაღლა ააფრიალებენ.

თუ ქართულ ხელისუფლებას არ შეუძლია, ქართველმა ხალხმა უნდა მიბაძოს საქართველოს ძველთაძველ სამართალს, რომელიც რომაული სამართლის ხნის და ტოლფარდია, და დამნაშავეთა ხროვა განკვეთოს საზოგადოებისგან, წინა ხელისუფლების რეჟიმის არც ერთი წევრი ხალხის რჩეული არ უნდა გახდეს.

არც ერთი ნაციონალი პარლამენტში! — ეს უნდა იყოს ქართველი ხალხის ლოზუნგი მომავალ არჩევნებში. მე ამ ბრძოლის აქტიური მებრძოლი ვიქნები სისხლის ბოლო წვეთამდე.

რასაც მოიგებთ, ნაცებო, სტალინის ძეგლების გადაღებვით, არავის გაუყოთ. დედას გიტირებთ!

**(გაგრძელება იქნება)**

თარიღი
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**პოლონეთის მთავრობას, ვარშავაში დარჩენის შემთხვევაში, კაპიტულაციის პირობებშიც კი შეეძლო შეენარჩუნებინა პოლონეთის ტერიტორიის მაქსიმუმი და დაებრუნებინა პოლონეთში ყველა ტყვე და ინტერნირებული პირი, მაგრამ პოლონეთის მთავრობამ, გააჩაღა რა საომარი მოქმედებები, არჩია, მალევე მიეტოვებინა ომში ჩაბმული საკუთარი ხალხი და არმიის სარდლობასთან ერთად გაქცეულიყო რუმინეთში. გერმანელები ვილას უნდა დალაპარაკებოდნენ გერმანია-პოლონეთის სამშვიდობო მორიგების პირობებზე და იძულებულნი შეიქნენ, პოლონეთის ადგილზე გენერალ-საგუბერნატორო შეექმნათ.**

## ნაწილი პირველი

# 1939 წლის პოლონური სირცხვილი

## მეორე მსოფლიო ომის დაწყების წინ

### პოლონეთის შენარჩუნების მცდელობა

**დღეს ისტორიის დამახინჯების მოყვარულნი არწმუნებენ მოსახლეობას, რომ სტალინმა და ჰიტლერმა პოლონეთი გაიყვეს საიდუმლო ოქმით და მისი განადგურების მიზნით მეორე მსოფლიო ომი დაიწყეს. ეს თავხედური ტყუილია. გარდა ამისა, ეს ისტორიკოსები მკითხველს არწმუნებენ, რომ გერმანიას ძლიერი ჯარი ჰყავდა, ხოლო პოლონეთის შეიარაღებული ძალები ძალიან სუსტი იყო. ეს ასე არ არის. 1939 წლის პოლონური ჯარი ფრანგულ ყაიდაზე იყო მოწყობილი და ევროპაში ერთ-ერთ უძლიერეს ჯარად ითვლებოდა, როგორც იარაღითა და საბრძოლო ტექნიკით, ისე ორგანიზებულობით.**

პოლონეთმა მობილიზაცია ომის დაწყებამდე რამდენიმე თვით ადრე გამოაცხადა, 27 აგვისტოს კი იგი მზად იყო გერმანიის ჯარის დასახვედრად. პოლონეთის ფრონტზე გერმანიისა და პოლონეთის ჯარების თანაფარდობა 1,5/3,5 იყო (გერმანია ვალდებული იყო, თავისი ჯარების ძირითადი ბირთვი საფრანგეთის საზღვართან ჰყოლოდა). შემთხვევითი არ იყო, რომ პოლონეთის მთავარსარდალმა **ედვარდ რიდზ-სმიგლიმ** ომის დასაწყისში დაიწყო მხატვართან პოზირება ნახატისთვის, რომელზეც გამოსახულია, როგორ შედის იგი პოლონეთის ჯარის მიერ დამხობილ ბერლინში თეთრ ცხენზე ამხედრებული. დღეს ეს ანეკდოტს ჰგავს, მაგრამ 1939 წლის აგვისტოში ყველა ევროპელი დამაჯერებლად თვლიდა ომის ასეთ დასასრულს.

მაგრამ სსრკ-ში არ იყვნენ დარწმუნებულნი პოლონელების სიძლიერეში, ამიტომ გერმანელებთან ერთად ხელი მოაწერეს საიდუმლო ოქმს, რომელიც დღეს ფალსიფიცირებულია მახინჯი გარდამქმნელების მიერ. **ეს ოქმი სსრკ-ისა და გერმანიის ინტერესების სფეროს ხაზს უსვამს, ამ ინტერესების საზღვრებს პრაქტიკულად პოლონეთის ტერიტორიის შუაგულში ატარებს და სსრკ-ის მიერ პოლონეთის სახელმწიფოებრივი მთლიანობის შენარჩუნების მცდელობას წარმოაჩენს. თავის მხრივ, გერმანიას, რომელმაც სსრკ-თან ერთად ხელი მოაწერა ამ ოქმს და 1939 წლის 1 სექტემბერს პოლონეთთან ომი დაიწყო, განზრახული არ ჰქონია პოლონეთის, როგორც სახელმწიფოს, განადგურება.**

შეიძლება ითქვას ასეც: პოლონეთმა თვითლიკვიდაცია მოახდინა იმის შედეგად, რომ მისი მთავრობა, ნაცვლად იმისა, რომ ეომა, საზღვარგარეთ გაიქცა.

ომის დაწყებით გერმანელებს მხოლოდ პირველი მსოფლიო ომის შედეგად პოლონეთისთვის მიერთებული გერმანული ტერიტორიების დაბრუნება უნდოდათ. პოლონეთს გერმანელების გეგმის მიხედვითაც უნდა შეენარჩუნებინა თავისი სახელმწიფოებრიობა. პოლონეთის მთავრობა თავადაზნაურობასთან ერთად რომ არ გაიქცეულიყო ქვეყნიდან 17 სექტემბერს, პოლონეთი დამოუკიდებლობას შეინარჩუნებდა. გარდა ამისა, მოგვიანებით სსრკ-ში შესული უკრაინისა და ბელორუსიის დასავლეთ ოლქებიც მის შემადგელობაში დარჩებოდა. შეაფასეთ? პოლონეთის მთავრობა თავად-აზნაურებთან ერთად რომ არ გაქცეულიყო ქვეყნიდან!

1939 წლის 7 სექტემბერს პოლონეთის ჯარი უკვე ყველა ფრონტზე „მამაცურად“ გაურბოდა მომხდურს და ლოგიკა არწმუნებდა გერმანელებს, რომ პოლონეთის მთავრობა ზავს მოითხოვდა, რათა შეენარჩუნებინა პოლონეთი, როგორც სახელმწიფო. სწორედ მაშინ **წინდახედულმა გერმანელებმა დაიწყეს პირობების მომზადება პოლონეთთან სამშვიდობო მოლაპარაკებისთვის. ამ პირობებში ლაპარაკიც არ იყო პოლონეთის, როგორც სახელმწიფოს, ლიკვიდაციაზე არც გერმანიის მიერ და არც სსრკ-თან ერთად.** გერმანიის სახმელეთო ჯარების შტაბის უფროსი **ფრანც ჰალდერი** თავის დღიურებში წერდა, რომ გერმანელები მზად იყვნენ პოლონეთთან მოლაპარაკებაზე შემდეგი პირობებით: „პოლონეთის მიერ კავშირის გაწყვეტა ინგლისთან და საფრანგეთთან; პოლონეთის დარჩენილი ნაწილის შენარჩუნება; ვარშავისა და ნარევის რაიონები — პოლონეთს; სამრეწველო რაიონი — ჩვენ; კრაკოვი — პოლონეთს; ბესკიდების ჩრდილოეთის განაპირა ნაწილი — ჩვენ; უკრაინის (დასავლეთი) ნაწილი — დამოუკიდებელი“.

როგორც ვხედავთ, **გერმანელები 7 სექტემბრისთვისაც კი არ ვარაუდობდნენ პოლონეთის ლიკვიდაციას. მაგალითად, მათ უკვე დაკავებული ჰქონდათ კრაკოვი, მაგრამ გეგმავდნენ პოლონეთისთვის მის დაბრუნებას.**

რატომ წავიდნენ გერმანელები ასეთ დათმობაზე პოლონეთთან?

იმიტომ, რომ, გერმანელთა შტაბების ვარაუდით, პოლონელები გარბოდნენ სსრკ-ისა და გერმანიის ინტერესების გამყოფი ზოლის მიღმა პოლონეთის ტერიტორიის იმ ნაწილში, რომელიც შედიოდა სსრკ-ის ინტერესთა სფეროში და გერმანელებს, მოლოტოვ-რიბენტროპის პაქტის თანახმად, არ ჰქონდათ ჯარების შეყვანის უფლება. სხვათა შორის, გერმანელი გენერლების აზრით, ამ ზოლის გადალახვა არც შეიარაღებული გზით არ იქნებოდა მარტივი.

სსრკ-მა, მოლოტოვ-რიბენტროპის პაქტის საიდუმლო ოქმის თანახმად, დაიცვა ის დარჩენილი ტერიტორია, რომელზეც შენარჩუნდებოდა პოლონეთის სახელმწიფო გერმანიასთან ომის ყველაზე ცუდი შედეგების პირობებშიც კი. გერმანელებისთვის რთული იყო არა მხოლოდ შეიარაღებული გზით ამ ზოლის გადალახვა, ეს შეუძლებელი იქნებოდა სსრკ-თან ურთიერთობების გამწვავების გარეშეც, ვინაიდან ეს საკითხი სსრკ-ის ინტერესების სფეროს მიეკუთვნებოდა. მეტიც, **28 აგვისტოს, პოლონეთზე გერმანიის თავდასხმამდე 4 დღით ადრე, სსრკ-მა დაიწყო თავისი ჯარების გაყვანა პოლონეთის აღმოსავლეთ საზღვრიდან, რაც ნიშნავდა იმას, რომ პოლონეთს შეეძლო მოეხსნა ამ საზღვრებიდან ჯარები და გადაესროლა დასავლეთის მიმართულებით, გერმანელების საპირისპიროდ. გერმანელებმა მყისვე დაინახეს საფრთხე და თხოვნით მიმართეს სსრკ-ს, რომ გაეკეთებინა განცხადება ჯარების გადასროლის შესახებ პოლონეთის საზღვრებთან. სსრკ-მა ეს თხოვნა არად ჩააგდო.**

როგორც ვხედავთ, სსრკ ყველაფერს აკეთებდა, რათა პოლონეთს გაეძლო ამ ომში.

კითხვაზე — რატომ აკეთებდა **სტალინი** ყველაფერს პოლონეთის სუვერენიტეტის შესანარჩუნებლად? — არსებობს მარტივი პასუხი, რომელიც ყველას არ ესმის. საქმე ის არის, რომ საზღვრის ამ ნაწილის სუვერენული სახელმწიფოს ტერიტორიის დაცვა გაცილებით იაფი ჯდებოდა, ვიდრე მასთან კავშირში ყოფნა და მის სახელმწიფოებრივ მოწყობასა და უსაფრთხოებაზე ზრუნვა, ამის შემდეგ კი მის „მეხუთე კოლონასთან“ (რომელიმე „სოლიდარობასთან“, რომელიც ასეთ სახელმწიფოში აუცილებლად წარმოიქმნება) ბრძოლაში დანაკარგების განცდა. სწორედ ამიტომ აკეთებდა სტალინი ყველაფერს, რათა პოლონეთს შეენარჩუნებინა დამოუკიდებლობა და სუვერენიტეტი. **ინგლისმა და საფრანგეთმა 1 სექტემბერს გამოაცხადეს მობილიზაცია, 3 სექტემბერს კი ჩაებნენ ომში პოლონეთის დასაცავად. 5 სექტემბერს საფრანგეთმა, პოლონეთთან შეთანხმების თანახმად, განახორციელა შეტევითი ოპერაცია. პოლონელებს უნდა გაეძლოთ მხოლოდ 15 დღე, სანამ ფრანგები დაიწყებდნენ შეტევას დასავლეთიდან გერმანიის სიღრმისკენ. პოლონელებიც უძლებდნენ,** მაგრამ ომის პირველივე დღეს ვარშავიდან გაიპარა პოლონეთის პრეზიდენტი **იგნაციი მოსციცკი,** ხოლო 5 სექტემბერს გაიქცა მთავრობა სრული შემადგენლობით. პოლონეთის არმია სამი დღის განმავლობაში საკმაოდ მხნედ იბრძოდა და არა მხოლოდ ებრძოდა გერმანელ ჯარისკაცებს, მშვიდობიანი გერმანელი მოსახლეობის ხოცვა-ჟლეტაც დაიწყო ქალაქებში ბიდგოშჩსა (ყოფილი გერმანული ბრომბერგი) და შულიტცეში, რომლებიც იმხანად პოლონეთს ეკუთვნოდა. ამასთანავე, პოლონეთის შეიარაღებული ძალების მთავარსარდალმა, მარშალმა ედვარდ რიდზ-სმიგლმა 5 სექტემბერს გასცა უკანდახევის ბრძანება არა ნარევ-ვისლა-სანამდე, როგორც თავდაცვის ბუნებრივ საზღვრამდე, არამედ რუმინეთში გაქცევის. თვითონ მან კი 10 სექტემბერს მიატოვა ყველაფერი და გაიქცა „დალოცვილ“ რუმინეთში, სადაც ციხეში ჩაჯდომა არჩია. მარშალთან ერთად თავქუდმოგლეჯილი გაიქცა პოლონეთის არმიაც. პოლონელებიდან ვიღაც კი იბრძოდა, მაგრამ პოლონეთის არმია უკანმოუხედავად და სრული შემადგენლობით გაექცა გერმანელებს. ჰიტლერმა პოლონეთთან ომი შეაფასა, როგორც „მანევრების თანაზომადი“. პოლონეთის მთავრობას, ვარშავაში დარჩენის შემთხვევაში, კაპიტულაციის პირობებშიც კი შეეძლო პოლონეთის ტერიტორიის მაქსიმუმის შენარჩუნება და პოლონეთში ყველა ტყვე და ინტერნირებული პირის დაბრუნება, მაგრამ პოლონეთის მთავრობამ, გააჩაღა რა საომარი მოქმედებები, არჩია, მალევე მიეტოვებინა ომში ჩაბმული საკუთარი ხალხი და არმიის სარდლობასთან ერთად გაქცეულიყო რუმინეთში. გერმანელები ვეღარავის დაელაპარაკებოდნენ გერმანია-პოლონეთის სამშვიდობო მორიგების პირობებზე და იძულებული შეიქნენ, პოლონეთის ადგილზე გენერალ-საგუბერნატორო შეექმნათ. გაკვირვებული საბჭოთა კავშირი ომის დაწყებიდან მხოლოდ ორი კვირის შემდეგ შეფხიზლდა და განგაშით მოუხმო დასავლეთის სამხედრო ოლქების ჯარებს, რომლებიც ომის დაწყებიდან მე-17 დღეს შეიყვანა პოლონეთში იქ მცხოვრები უკრაინელებისა და ბელორუსების დასაცავად. **მოლოტოვ-რიბენტროპის პაქტის მიხედვით, განსაზღვრული ინტერესების სფერო, რომელშიც ასევე შედიოდა პოლონეთის დედაქალაქი ვარშავა, სსრკ-ს ესაჭიროებოდა პოლონეთის, როგორც სახელმწიფოს დასაცავად, მაგრამ, რაკი პოლონეთი, როგორც სახელმწიფო, აღარ არსებობდა, არ არსებობდა აღარც ადრინდელი ინტერესთა სფეროს საზღვრებიც. საბჭოთა კავშირმა დადო ახალი ხელშეკრულება გერმანიასთან, რომლის მიხედვით მასთან საზღვარმა გადაიწია აღმოსავლეთით — კერზონის ხაზამდე, რომელიც განუსაზღვრეს სსრკ-ს პირველი მსოფლიო ომის შედეგების მიხედვით და 1920 წელს პოლონეთმა მიიტაცა. ანუ, სსრკ-მა დაიკავა თავისი კანონიერი მიწები, რომლებზეც უკრაინელები და ბელორუსები სახლობდნენ.** წარმოიდგინეთ, რა მოხდებოდა, თუ სსრკ არ დაიკავებდა პოლონეთის აღმოსავლეთ ნაწილს. ის, რა, საერთოდ უპატრონოდ დარჩებოდა?! არა, რა თქმა უნდა — მას ყოველგვარი ეჭვის გარეშე დაიკავებდა ჰიტლერი. არა მხოლოდ სსრკ-ის, არამედ ჰიტლერის მძვინვარე მტერი **უინსტონ ჩერჩილი** თავის ნაშრომში „მეორე მსოფლიო ომი“ ამ პაქტს ასე აფასებს:

**„საბჭოთა კავშირის სასარგებლოდ უნდა ითქვას, რომ საბჭოთა კავშირისთვის სასიცოცხლო მნიშვნელობა ჰქონდა გერმანული არმიის საწყისი პოზიციების მაქსიმალურად დასავლეთით გადაწევას, რათა რუსებს მისცემოდათ დრო თავიანთი კოლოსალური იმპერიის ყველა კუთხიდან ძალების შესაკრებად. მათ ძალადობით ან მოტყუებით სჭირდებოდათ ბალტიისპირეთის ქვეყნებისა და პოლონეთის უმეტესი ნაწილის დაკავება, სანამ თავს სხვები დაესხმებოდნენ. თუ მათი პოლიტიკა იყო ცივი გონებით ნაკარნახევი, მაშინ ის იმ მომენტისთვის იყო ასევე ძალიან რეალისტური“.**

შესაბამისად, ეს გაიძვერები, რომლებიც ერთმანეთს ადარებენ სტალინსა და ჰიტლერს, თავიანთი პოლიტიკური არსით არიან ჰიტლერის თანამზრახველები, რომლებსაც მეორე მსოფლიო ომის შემდეგ სახრჩობელაზე ჰკიდებდნენ და ანადგურებდნენ სსრკ და მისი მოკავშირეები.

**(დასასრული შემდეგ ნომერში)**

**მომზადებულია YMUHIN.RU-ს მიხედვით**



ჰიტლერი დაპყრობილ პოლონეთში

**პოლონეთის შეიარაღებული ძალების მთავარსარდალმა, მარშალმა ედვარდ რიდზ-სმიგლიმ 5 სექტემბერს გასცა უკან დახევის ბრძანება არა ნარევ-ვისლა-სანამდე, როგორც თავდაცვის ბუნებრივ საზღვრამდე, არამედ რუმინეთში გაქცევის. თვითონ მან კი 10 სექტემბერს მიატოვა ყველაფერი და გაიქცა «დალოცვილ» რუმინეთში, სადაც ციხეში ჩაჯდომა არჩია. მარშალთან ერთად თავქუდმოგლეჯილი გაიქცა პოლონეთის არმიაც**

როგორც წმინდა მამები აღნიშნავენ, ეშმაკისეულით შეპყრობა სულაც არ არის რაღაც ექსტრაორდინარული ცოდვების შედეგი. სულში დემონის ჩასახლება ხშირად გამოწვეულია ქვალ-რბილში გაჯდომით ისეთი ყოველდღიური, გავრცელებული, ბანალური ცოდვებისა, როგორიცაა: მრისხანება, შური, გაღიზიანება, ავსიტყვაობა... ცოდვა სულში არა მყისიერად, არამედ ეტაპობრივად იჭრება. და ადამიანის სულში ცოდვის შეჭრის ეტაპების ცოდნა ძალიან მნიშვნელოვანია. იმიტომ, რომ აქ გადის ცბიერ ძალასთან ბრძოლის ხაზი, რომელიც მიჯნავს ჩვენს სულს ეშმაკეულის დამღუპველი ზემოქმედებისგან. და, სხვათა შორის, ეს არის ხაზი ადამიანის პასუხისმგებლობისა იმაზე, რასაც აკეთებს.

ცოდვის ანატომია

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# ცდუნების გზა

## მბრდღვინავი ლომი

„ჩვენი შინაგანი ყოველთვის დამწყვდეულია, ჩაკეტილი, — წერდა ადამიანის სულზე მღვდელმთავარი თეოფანე განდეგილი, — თვით უფალი კი დგას შიგნით და აკაკუნებს, რომ გაუღონ. რით იღება ჩვენი შინაგანი? თანაგრძნობით, მიახლოებით, თანხმობით. ვისაც ეს აქვს, სატანის მხარეს იხრება, მასში შედის ის... სატანა რომ შედის და არა უფალი, ამაში დამნაშავე თვითონ ადამიანია“.

ეს ადამიანის ნებაა: გააღოს თავისი გული უფლისთვის ან დემონის საქმეებისადმი მიდრეკილების გამო ის შევუშვათ სულში სამბრძანებლოდ. მოციქულ პეტრეს სიტყვებით, ჩვენი მოწინააღმდეგე „დემონი დადის, როგორც მბრდღვინავი ლომი, და ეძებს, ვინ შთანთქას“, ამიტომ, მოგვიწოდებს მოციქული, „იფხიზლეთ და იმოქმედეთ!“

რადგან ეშმაკისეულ ძალებთან დაპირისპირება ერთ-ერთი მთავარი თემაა წმინდა მამების შემოქმედებაში, ქრისტიანობის 2000 წლის განმავლობაში ამ თემაზე დაგროვდა ყველა ჩვენგანისთვის ფასდაუდებელი გამოცდილება. თვით ბრძოლას ძალასთან, რომელიც ეწინააღმდეგება კაცის განღმერთებას („ღმერთი განკაცდა, რათა შემდეგ კაცი განღმერთებულიყო“), ეწოდება „სულიერი ომი“ ან „უხილავი ომი“, იმიტომ, რომ ის უხილავია ჩვენი ჩვეულებრივი მხედველობისთვის, ის მისაწვდომია მხოლოდ სულიერი მზერისთვის.

ინფორმაცია იმის შესახებ, როგორ აღწევს ეშმაკეული სულში, როგორია ამ შეღწევის მექანიზმები და შეუძლია თუ არა ადამიანს რამე დაუპირისპიროს ამ დამღუპველ აგრესიას, სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია თითოეული ჩვენგანისთვის. მაშ ასე, წმინდა მამების სწავლებათა დაიჯესტი უხილავ ომზე კაცობრიობის დაუძინებელ მტერთან:

## მიახლოება, შეთავსება, მოსურვება

**პირველი:** ჩვენ მიერ ჩადენილი ცოდვა ჩვენს სულს ხსნის, აღებს ეშმაკის ზემოქმედებისთვის. ეშმაკი ფეხს იკიდებს ჩვენს სულში იმის შესაბამისად, თუ როგორ ვეფლობით ცოდვაში. **როგორც წმინდა მამები აღნიშნავენ, ეშმაკისეულით შეპყრობა სულაც არ არის რაღაც ექსტრაორდინარული ცოდვების შედეგი. სულში დემონის ჩასახლება ხშირად გამოწვეულია ძვალ-რბილში გაჯდომით ისეთი ყოველდღიური, გავრცელებული, ბანალური ცოდვებისა, როგორიცაა: მრისხანება, შური, გაღიზიანება, ავსიტყვაობა...**

**მეორე:** ცოდვა სულში არა მყისიერად, არამედ ეტაპობრივად იჭრება. ადამიანის სულში ცოდვის შეჭრის ეტაპების ცოდნა ძალიან მნიშვნელოვანია იმიტომ, რომ აქ გადის ცბიერ ძალასთან ბრძოლის ხაზი, რომელიც მიჯნავს ჩვენს სულს ეშმაკეულის დამღუპველი ზემოქმედებისგან. სხვათა შორის, ეს არის ხაზი ადამიანის პასუხისმგებლობისა იმაზე, რასაც აკეთებს.

## როგორია ჩვენში ცოდვის შემოჭრის ეტაპები?

**პირველ** ეტაპს ჰქვია **მიახლოება.** ადამიანს უჩნდება მსუბუქი, ხშირად გაუაზრებელი და კონკრეტული სურვილი, ცდუნება, ზრახვა, გულისთქმა: „ახ, რა ფიგურა აქვს ამ ქალს...“ ან: „შესანიშნავი მანქანაა!..“, „როდის შეწყვეტს ეს ბავშვი ღრიალს?..“ ვარიანტი ბევრია.

მიახლოება — ეს არის აზრით გაუფორმებელი სურვილი, ცდუნება, რომელიც წარმოიშვა მომხიბვლელი ქალის, შესანიშნავი ავტომობილის ან კუპიურების სქელი შეკვრების დანახვისას ან პირიქით — მასწავლებლის მოთხოვნით თავგაბეზრებული ბავშვის გამაღიზიანებელი ტირილით.

ადამიანი, როგორც გვასწავლიან წმინდა მამები, პასუხს არ აგებს მიახლოებაზე. ეს ადამიანის ბრალი არ არის — ეს გარეგნულია, გარედან მოტანილი ზრახვაა, ეშმაკეულისგან.

**ამბობენ, რომ თვით წმინდანებიც კი სიცოცხლის ბოლომდე განიცდიდნენ ცდუნებას. მიახლოება ცოდვა არ არის და, სხვათა შორის, საჭიროც არ არის აღსარებაზე ამის თქმა. ეს არის ადამიანის სულის მხოლოდ პირველი, მსუბუქი შეხება ცოდვასთან და ყველა, ვინც შესანიშნავ მანქანას აღტაცებით ათვალიერებს, არ გაიფიქრებს: „კარგი იქნებოდა, ეს მანქანა გამეტაცებინა“.**

ამ აზრის თავში გაჩენა იქნება ადამიანში ცოდვის შეღწევის შემდეგი ეტაპი. ამ ეტაპს ეწოდება **შეთავსება.** ადამიანი ითავსებს ცოდვის



„კოშმარი“, იოჰან ჰენრიხ ფიუსლი (1841-1825). შექმნის წელი — 1781. ეს ნახატი ეკიდა ზიგმუნდ ფროიდის მისაღებში

**თუ ადამიანი დახმარებისთვის არ მიმართავს ღმერთს, თუ ვერ ხედავს თავის ცოდვას, ხელს არ უშლის და აქეზებს თავის ცოდვიან მისწრაფებებს, მაშინ მასში ვითარდება ცოდვის ჩვევა. სულს, რომელსაც აქვს ცოდვის ჩადენის ჩვევა, ცოდვა უბრძოლველად მყისიერად იმორჩილებს. თუ ადამიანი ხელს არ უშლის მრისხანების ცოდვას, მაშინ მისი სული მყისვე ჩავარდება აფექტის მდგომარეობაში და დროის ამ მონაკვეთში ცოდვის ვნება იბატონებს მრისხანებით დაბრმავებულ ადამიანზე. ადამიანი უკვე აღარ იქნება თავისი თავის უფროსი**

ზრახვებს, შიგნით მას უშვებს ადამიანის ნება, ვერ ამჩნევს ცბიერ გადამთიელს და უშვებს მას გულის სიღრმეში.

აზრი, რომელიც არ აჩერებს **ყურადღებას** იმაზე, როგორი ზრახვები გიჩნდება, განვითარებას განაგრძობს. ცდუნებაშეპყრობილი იწყებს განხილვას ვარიანტებისა: როგორ სჯობს მანქანის გატაცება, მისი გრძნობები კი ამ დროს ხატავს მაცდუნებელ სურათებს: „როგორ გავაქროლებ ამ ახალ ავტოს!“ ან, მაგალითად, „რა კარგად ვიცხოვრებ ამ ბინაში, როცა ეს ბებერი მოკვდება...“

ადამიანის სულში ცოდვის შეღწევის შემდეგ ეტაპს ეწოდება **მოსურვება.**

მოსურვება, იმიტომ, რომ **ამ ეტაპზე ადამიანი დათანხმდა ცოდვის ზრახვას, მისი ნება უკვე დამონებულია ცოდვის სურვილს, ცოდვა გადაიქცა რეალურ მიზნად, ტვინი ეძებს მისი განხორციელების ვარიანტებს და ადამიანი ტკბება ნანატრის შესრულების შესაძლებლობით.**

**და, თუ ცოდვის შეღწევის წინა (მიახლოებისა და შეთავსების) ეტაპებზე ცოდვის აღკვეთა, შეჩერება, სულის სიღრმეებიდან მისი გამოშვება ძნელი არ არის თუნდაც ყურადღების გადატანით უფრო მნიშვნელოვანზე, მოსურვების სტადიაზე ცოდვის შეჩერება გაცილებით რთულია, იმიტომ, რომ მან უკვე დაიმონა ადამიანის აზრებიცა და გრძნობებიც.**

## ცოდვიდან ვნებამდე

შემდეგი ეტაპია ბრძოლა. **ცხოვრების ამ დრამატული ეტაპის გარშემო უდიდესი ლიტერატურული ნაწარმოებები შეიქმნა. წმინდა მამები წერენ, რომ ბრძოლის ამ ეტაპზე თვითონ ადამიანი უკვე თითქმის ველარ ეწინააღმდეგება მის სულში ჩათესლილ ცოდვას. ბრძოლა შეიძლება იყოს ხანგრძლივი, მტანჯველი ან ხანმოკლე, მაგრამ ამ სტადიამდე მისული ცოდვა აუცილებლად გაიმარჯვებს. ის უთუოდ იქნება რეალიზებული, როგორც საქციელი. იმიტომ, რომ წარმოიქმნება ცოდვისადმი მონობის მდგომარეობა და თვითონ ადამიანი ღმერთის დაუხმარებლად ამ მდგომარეობიდან თავის დაღწევას ვერ შეძლებს.** მხოლოდ უფლის წყალობით შეიძლება ცოდვით დაზიანებული სულის განკურნება.

მაგრამ, **თუ ადამიანი დახმარებისთვის არ მიმართავს ღმერთს, თუ ვერ ხედავს თავის ცოდვას, ხელს არ უშლის და აქეზებს თავის ცოდვიან მისწრაფებებს, მაშინ მასში ვითარდება ცოდვის ჩვევა. სულს, რომელსაც აქვს ცოდვის ჩადენის ჩვევა, ცოდვა უბრძოლველად, მყისიერად იმორჩილებს. თუ ადამიანი ხელს არ უშლის მრისხანების ცოდვას, მაშინ მისი სული მყისვე ჩავარდება აფექტის მდგომარეობაში და დროის ამ მონაკვეთში ცოდვის ვნება იბატონებს მრისხანებით დაბრმავებულ ადამიანზე. ადამიანი უკვე აღარ იქნება საკუთარი თავის უფროსი.** და, როგორ ფიქრობთ, ვინ იქნება ამ დროს მისი ბატონი? ჩაბუდებული ცოდვა ვნებად იქცევა. ცოდვის ვნებისგან განკურნება კი ადამიანს ღვთის დაუხმარებლად დამოუკიდებლად არ შეუძლია. ნიშნავს თუ არა ეს, რომ მას არ ეკისრება ცოდვის გამო პასუხისმგებლობა? რა თქმა უნდა, ეკისრება! მაგრამ რამდენად მძიმეა ეს ტვირთი თვითონ ადამიანისთვის?

აქ პრობლემა არის შემდეგში: თუ ადამიანი ჩამოყალიბებული არ არის, როგორც პიროვნება, თუ მას აღრეული აქვს კეთილისა და ბოროტის ცნებები, თუკი არ შეუძლია შეიგნოს თავისი სურვილები, შეაფასოს ისინი, დაინახოს ზოგიერთი მათგანის დამღუპველობა, თუკი მისი ნებისყოფა მტკიცე არ არის და არ შეუძლია თქვას „არა“, თუკი ცოდვა მისი სულის ჩვეული მდგომარეობაა, ისეთი, რომ მან მიაძინა სინდისი (სინდისი კი ღმერთის ხმაა ადამიანში), თუკი ადამიანი ვერ ხვდება, რომ რთულ მომენტებში შეუძლია ზეციურ მამას მიმართოს, თუკი ადამიანი იმყოფება სულიერი განვითარების ასეთ სტადიაზე, ის ჩვენი გამალებული საუკუნის ღირსი სიჩქარით გაფრინდება A წერტილიდან — მიახლოების გამოვლენიდან, B წერტილამდე — ადგილამდე, სადაც ის თვითონ კი აღარ არის თავის თავის უფროსი, არამედ სათამაშოა დემონის ხელში.

**მარია გოროდოვას**
**წიგნიდან „ქარი სინაზე“.**

მოამზადა
**გიორგი გაჩეჩილაძე**

**თუ ადამიანი ჩამოყალიბებული არ არის, როგორც პიროვნება, თუ მას აღრეული აქვს კეთილისა და ბოროტის ცნებები, თუკი არ შეუძლია შეიგნოს თავისი სურვილები, შეაფასოს ისინი, დაინახოს ზოგიერთი მათგანის დამღუპველობა, თუკი მისი ნებისყოფა მტკიცე არ არის და არ შეუძლია, თქვას «არა», თუკი ცოდვა მისი სულის ჩვეული მდგომარეობაა, ისეთი, რომ მან მიაძინა სინდისი (სინდისი კი ღმერთის ხმაა ადამიანში), თუკი ადამიანი ვერ ხვდება, რომ რთულ მომენტებში შეუძლია ზეციურ მამას მიმართოს, თუკი ადამიანი იმყოფება სულიერი განვითარების ასეთ სტადიაზე, ის ჩვენი გამალებული საუკუნის ღირსი სიჩქარით გაფრინდება A წერტილიდან — მიახლოების გამოვლენიდან, B წერტილამდე — ადგილამდე, სადაც ის თვითონ კი აღარ არის თავის თავის უფროსი, არამედ სათამაშოა დემონის ხელში**

ინტერვიუ გაგრძელებით
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„ხალხი ძალიან ცუდ დღეშია. ორი-სამი წელიწადი ბანკების კრედიტებით აშენებდნენ და აწყობდნენ კერძო სასტუმროებს, ბინებს არემონტებდნენ და ჩამოსული რუსი ტურისტების ფულით თანდათან ისტუმრებდნენ უზარმაზარ ვალებს. ახლა აღარ მოსწონთ ნაციონალებს რუსი ტურისტები?! ვითომ აღარ ახსოვთ მიშას სატელევიზიო განცხადებები, ლარსზე ავდიოდი და რუს ტურისტებს იქ ვხვდებოდიო? სიყვარულს ეფიცებოდა — თქვენი ჭირიმეო"**

# ათი დღე, რომლებსაც მსოფლიო არ შეუძრავს

**წლევანდელ აგვისტოზე ვამბობ, ათ დღეზე, როცა გაზეთი „საქართველო და მსოფლიო" „შვებულებაში" გავიდა და ჟურნალისტებისთვის, რაც მოგესურვება, იმ მასალების დაწერის დრო დადგა.**
**იმ ათი დღიდან ცხრა მოღრუბლული და წვიმიანი იყო. ზღვას არ სჭირდებოდა სამიტინგო-გამამხნევებელი შეძახილი: აღელდი, აამთაგორე ტალღები, ნაპირებს გადმოაცილეო და ა.შ. ბობოქრობდა, ქუხდა, გრიალებდა და დავით აღმაშენებლის ქუჩაზე განდაგანასავით გვერდულად გასულ რესტორან „ადმირალში" შეკედლებული ბენდის დაგვიანებული მყვირალობის მაქსიმებს ისე ფარავდა, როგორც სამზარეულოში ღიად დატოვებული ონკანის წვეთ-წვეთობას ქუჩის კოკისპირული.**


პაბლო პიკასო, „დორა მაარი კატით". 1941 წ.
ბიძინა ივანიშვილის კოლექციიდან


პაბლო პიკასო, „შიშველი ქალი, მწვანე ფოთლები და ბიუსტი". 1932 წ.
სავარაუდოდ — ბიძინა ივანიშვილის კოლექციიდან

დასვენების, გართობისა და გარუჯვის მოყვარულთათვის ამაზე უარესი დღეების წარმოდგენაც კი ძნელი იყო.

სამაგიეროდ, ქალაქში ტრიალისა და იქაურების გაცნობის თვალსაზრისით, უკეთესს ვერ ინატრებდი...

ინტერნაციონალური ქალაქია ქობულეთი, საინტერესო ადამიანები ცხოვრობენ აქ. მათგან ერთ-ერთმა ჩემი ყურადღება მიიპყრო იმით, რომ მთელი დღის განმავლობაში თავისი „ფოლკსვაგენი", სუფთა და კრიალა, კაპოტახდილი და კარებგაღებული, ქალაქის საკრებულოს წინა მოედანზე უყურადღებოდ ჰყავდა დატოვებული.

სამუშაო საათებშიც და შემდეგაც.

გამაცნეს.

### კაცი, რომელიც დღესაც დადის კინოთეატრში

და იცის, რომ **ბიძინა ივანიშვილი** ფერწერის მსოფლიო შედევრების თვალსაჩინო კოლექციონერია. საუბარი **ლევან ჩიმაკაძესთან** იმით დაიწყო, რომ კატეგორიული უარი მითხრა ინტერვიუს გამოქვეყნებაზე.

— ისე კი, ვილაპარაკოთ რამდენიც გაგეხარდებათო. თუნდაც იმ ბიბლიოთეკაზე, აი, ამ შენობის მეორე სართულზე რომ არისო, — **მამია ხარაზის** უნიკალურ ბიბლიოთეკაზე მიმანიშნა.

— 20 ათას ტომზე მეტია. მათ შორის **ალექსანდრე პუშკინის** მიერ სიცოცხლეში გამოქვეყნებული შედევრებით. მოსკოვში გამართულ გამოფენებში მონაწილეობდა. რა თქმა უნდა, საბჭოთა კავშირის პერიოდში.

**— მამია ხარაზი?**

— ცნობილი პიროვნება გახლდათ, ბიბლიოფილი. ქობულეთის პარტიის რაიკომის მეორე მდივნად მუშაობდა, თამბაქოს ფაბრიკის დირექტორიც იყო. ამ ბიბლიოთეკაზე უფრო საინტერესოს ჩვენს ქალაქში ვერაფერს იპოვით.

მაგრამ ხალხს არ აინტერესებს, განსაკუთრებით, ჩამოსულებს.

ივიწყებს ხალხი თუნდაც გუშინ მომხდარ ტრაგედიას. მალე ივიწყებს.

გავრილოვის ღამე რომ გაიძახიან და გადაგვაყოლეს ნაციონალებმა, **გახსოვთ, ქუთაისში მემორიალი („მეჯაბუკი") რომ ააფეთქებინა მიხეილ სააკაშვილმა, დედა-შვილი რომ დაიღუპა? ის დავიწყებული აქვს (ხალხზე ვამბობ), თორემ მიშისტებს, ნაციონალებს თავიანთი ისტორიის ნიშანსვეტად მიაჩნიათ.**

მე ვინმეს, რომელიმე მთავრობის ქომაგობას არ ვაპირებ, მაგრამ, **„გავრილოვის ღამეს" პარლამენტში რომ მირბიხარ და სახელმწიფო გადატრიალების მოწყობას ცდილობ, ეგ განა ის შუბია, ხალთაში რომ შეიძლება დაიმალოს?! მიტინგს რომ მართავ, გავრილოვისთვის აწყობ?! იმ ღამის აქტივისტებმა და მათმა ლიდერებმა იცით რა გაჭირვებაში ჩააგდო აჭარა — ხალხს კრედიტები აქვს გადასახდელი.**

მე არ ვაქირავებ ბინას, ჩემზე არ ვლაპარაკობ, ხალხი ძალიან ცუდ დღეშია. ორი-სამი წელიწადი ბანკების კრედიტებით აშენებდნენ და აწყობდნენ კერძო სასტუმროებს, ბინებს არემონტებდნენ და ჩამოსული რუსი ტურისტების ფულით თანდათან ისტუმრებდნენ უზარმაზარ ვალებს. **ახლა აღარ მოსწონთ ნაციონალებს რუსი ტურისტები?! ვითომ აღარ ახსოვთ მიშას სატელევიზიო განცხადებები: ლარსზე ავდიოდი და რუს ტურისტებს იქ ვხვდებოდიო? სიყვარულს ეფიცებოდა — თქვენი ჭირიმეო.**

**ონისე ონიანი** ხომ იცით?

**— მსახიობზე მელაპარაკებით?**

— დიახ. ონისე ონიანს ისეთი „პოსტი" ედო, გამეორებაც კი სათაკილოა: გააჯვით, რუსებოო! ბოდიშს გიხდით, თქვენ და თქვენი გაზეთის მკითხველებს. ზრდილობას თავი დავანებოთ, მაგრამ ცოტა ხომ უნდა ვიაზროვნოთ, ადამიანებო!

ბათუმში რომ ყიდულობდნენ „ორბი თაუერებს" და მსგავს ობიექტებს აშენებდნენ, რუსები იყვნენ. ახლა ყველაფერი გაჩერდა.

ქართველი იყიდის?!

**რუსი ტურისტი არ გვინდაო, რომ გაიძახი, ვის ებრძვი? ბოდიში, მაგრამ გვარამია, თავისი აყროლებული ეფირით კახელებს ღვინის წაილეწვით რომ ემუქრება, ვის წინააღმდეგ გამოდის? ქართველს ებრძვის, საკუთარი ქვეყნის მეწარმეს.**

კახეთი იმითაა დასაქმებული, რომ ყველაზე მომგებიან ბაზარზე ასაღებს ღვინის ნაწარმს. ეს ყველა ნორმალურად მოაზროვნე ადამიანმა იცის. უკრაინაში გავყიდოთ ჩვენი ღვინოო, რომ გაიძახიან, ჯერ ერთი, მათ იმდენი ფული სად აქვთ, რუსეთი რომ ხარჯავდეს და, მეორეც — არც ღვინის სმის კულტურა აქვთ უკრაინელებს, ისევე, როგორც თურქეთში არ აქვთ, ჩინეთში და ა.შ.

რუსეთი სტაბილური ბაზარია!

**შეიძლება 10-15 წლის შემდეგ შეიცვალოს ბაზრების მოთხოვნა და იმავე ჩინელებსა და თურქებს იმდენი ღვინო დასჭირდეთ, რომ დავაკმაყოფილოთ... მაგრამ დღეს განა შეიძლება ვებრძოლოთ იმას, რითაც პრაქტიკულად სული გვიდგას?!**

არ მოგწონს პოლიტიკა, რომელსაც რუსეთის ხელისუფლება ახორციელებს? გააკრიტიკე, ვინ გიშლის?! მაგრამ უაზრო, ხელოვნურად გაზვიადებული, ცრუპატრიოტული მოწოდებებით შენი ქვეყნის ეკონომიკას რომ საძირკველს უთხრი და ცარიელზე ტოვებ, თუ ეს ეროვნულობას ნიშნავს, მაშინ მე ასეთი ეროვნული პოლიტიკის მოწინააღმდეგეთა ბანაკში მიგულეთ!

ტურისტს რას ერჩი?!

ვაჟკაცი თუ ხარ, შეებრძოლე პუტინს! მაგრამ მე არც ერთი ქართველი პრეზიდენტი არ მინახავს რუსეთის პრეზიდენტთან მორკინალი.

რომელი მენდელეევის ტაბულა ჩვენ გვაქვს, წიაღისეული სიმდიდრეები, ღვინის რომ ჩავანაცვლოთ?!

**ელენე ხოშტარია** თუ არ გამოვიდა ტელევიზიით და არ მოგვიწოდა, აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის გასათავისუფლებლად რომ უნდა ვიბრძოლოთ, ეს ჩვენ თურმე არ ვიცით. რა მჭირს საამისო?! ელენე ხოშტარიაზე ნაკლები წიგნი მაქვს წაკითხული, ნაკლები განათლება და აზროვნების უნარი მაქვს თუ რა ხდება?!

ნაციონალებს პარლამენტში ჯდომა უნდათ და ეგაა!

**— და გაუთავებელი ლაპარაკი ოკუპაციაზე.**

— ხელფასები აქვთ დიდი, ბიზნესები, ჩემო ბატონო. ლაპარაკში კი ფულს არ ახდევინებენ.

**— პირიქით — აფინანსებენ!**

— ტრამპს რამდენიც გინდა აგინო, ის პირად შეურაცხყოფად არ მიიღებს, არც რომელიმე სხვა სახელმწიფოს ლიდერი. პუტინი კი პირად შეურაცხყოფად იღებს და არავის აპატიებს.

ეს ჩვენი ცრუქაქუცები კი ისე იჩეჯებიან, რომ, მგონი, გოლიათთან მებრძოლ დავითად წარმოუდგენიათ საკუთარი თავი! უზრდელური, ხეპრული და შეურაცხმყოფელი გამოხდომებით კი რუსეთთან ურთიერთობა სულ უფრო მწვავდება. რამდენი ხანია, ვერა და ვერ გამოვსულვართ დაძაბულობის იმ ჩიხიდან, რომელშიც სააკაშვილმა შეიყვანა საქართველო.

**— დიპლომატიისკენ რომ მოუწოდო, რუსეთის აგენტად გამოგაცხადებენ.**

— ედუარდ შევარდნაძეს იმდენს ლანძღავდნენ, ბენზინი უნდა გადაესხა და თავი დაეწვა...

თავი არ გაუყიდია.

მე ვიზრდებოდი ქობულეთში, სადაც მეოთხე მთავარი სამმართველოს სანატორიუმი იყო, **ჟუნიას** სასტუმრო სადაცაა დღეს. **ჩემი თვალით მყავს ნანახი ძველი თაობის კორიფეები. ვერიკო ანჯაფარიძე მინახავს, ეროსი მანჯგალაძე... „ნივა" ჰყავდა, თეთრი. მახსოვს, ერთხელ მანქანით რომ გამოდიოდა ქობულეთიდან, უცებ გაჩერა, ხელი ასწია და „ხო, ისა, კაცო!", — თქვა. ეტყობა, რაღაც გაახსენდა და შებრუნდა.**

სუხიშვილები მახსოვს — ქალბატონი **ნინო რამიშვილი**, ბატონი **ილიკო სუხიშვილი**. დედაჩემი სანატორიუმ „საქართველოში" ბიბლიოთეკის გამგე იყო. ქართველ ინტელიგენტთა იმ დიდი თაობის შთამომავალი რომ ვარ, არ მავიწყდება. „ინოსტრანნაია ლიტერატურის" არც ერთი ნომერი არ გამომიტოვებია, ვკითხულობდი. ნავაგა რამე? თავს არავის ვადარებ, მაგრამ გულახდილად გეტყვით, რასაც ახლა ვგრძნობ: სამწუხაროდ, ნაკლებობა გვაქვს ინტელექტის — **პიკასოსა და ვან გოგს** ვერ გაარჩევენ, იმათი ნახატები რომ დაუდო წინ.

**— „ესაა, პიკასოს ბიჭი?!", — ქუთაისის თეთრი ხიდის მოაჯირზე მჯდარ**

**«გავრილოვის ღამეს» პარლამენტში რომ მირბიხარ და სახელმწიფო გადატრიალების მოწყობას ცდილობ, ეგ განა ის შუბია, ხალთაში რომ შეიძლება დაიმალოს?! მიტინგს რომ მართავ, გავრილოვისთვის აწყობ?! იმ ღამის აქტივისტებმა და მათმა ლიდერებმა აჭარა გაანულეს»**

## „ეს ჩვენი ცრუქაქუცები კი ისე ირჯებიან, რომ, მგონი, გოლიათთან მებრძოლ დავითად წარმოუდგენიათ საკუთარი თავი! უზრდელური, ხეპრული და შეურაცხმყოფელი გამოხდომებით კი რუსეთთან ურთიერთობა სულ უფრო მწვავდება. რამდენი ხანია, ვერა და ვერ გამოვსულვართ დაქაბულობის იმ ჩიხიდან, რომელშიც სააკაშვილმა შეიყვანა საქართველო“.

ინტერვიუ გაგრძელებით
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**◀ ბიჭზე რომ ეტყვის აღშფოთებული დოდო აბაშიძე ლორთქიას, ქუდებს რომ მოხდის ორივეს და რიონში რომ გადახტება...** *(გვახსენდება ელდარ შენგელაიასა და რეზო გაბრიაძის ფილმის „არაჩვეულებრივი გამოფენის“ ეს მხიარული კადრი. ვიცინით. არადა, სამწუხაროზე ვლაპარაკობთ, ინტელექტის ნაკლებობაზე).*

— აგერ, ბიძინისტები რომ არიან, თუ იციან, პიკასოს რომელი ტილო აქვს შეძენილი ბიძინა ივანიშვილს?

— **მეც არ ვიცი, ვაღიარებ.**

— „დორა მაარი კატით,“ 96 მილიონი დოლარი აქვს გადახდილი „კრისტის“ თუ „სოთბის“ აუქციონზე... ამბობენ, რომ მეორეც აქვს, მაგრამ ის ოფიციალურად არ არის დამტკიცებული. პიკასოს ჰყავდა ერთი საყვარელი, ახალგაზრდა **მარი-ტერეზ ვოლტერი.** „შიშველი ქალი, მწვანე ფოთლები და ბიუსტი“, — ასე ჰქვია ამ ტილოს 106 თუ 119 მილიონი ამერიკული დოლარი აქვს გადახდილი, 2011 წელს ყველაზე ძვირად გაყიდული ნახატი იყო. **ეგონ შილე** არის ბიძინას საყვარელი მხატვარი. ბევრს, ბიძინისტები რომ ვართო, ვკითხე, თუ იცით რამემეთქი ამის შესახებ?

— **?!**

— თქვენც არ მომიკვდეთ!.. **რობერტ სტურუას** სპექტაკლზე დასასწრებად სპეციალურად ვარ ჩამოსული თბილისში მანქანით — ძმაკაცმა ჩამირიცხა ბენზინის ფული. თეატრალურ სარდაფში დავდიოდი ხშირად, **წულაძის** ცნობილ სპექტაკლებზე... მეუბნებიან, რომ შემთხვევით ვარ პოლიციაში. რა გითხრათ... ის კი ვიცი, რომ დღეს ერთადერთი კაცი ვარ, რომელიც ბათუმისა და ქობულეთის კინოთეატრებში დადის ფილმების სანახავად.

არ აინტერესებთ... მაგრამ სახლში ყურება ერთია, კინოში — სულ სხვა. ვეპატიჟები, მოდით, მე გიყიდით ბილეთებს, რამდენსაც გავწვდები... ვერ წავიყვანე.

— **ადამიანი კარგავს საზოგადოებრივი არსების ფუნქციას?**

— რა გიპასუხოთ, არ ვიცი. აქ პლანის მოწევით არიან დაკავებულნი, მარიხუანის, *(და ხელის წრიული მოვლებით ქობულეთის გამგეობის წინა მოედანზე მიმანიშნებს. რომლის ერთ კუთხეში, ჩეროში ვსხედვართ. აქვე, ორ ნაბიჯში, იეღოველთა დესანტი უსაქმურობით ცდება, ისევე, როგორც უამინდობაში უფუნქციოდ დარჩენილი შადრევან I-ის დროინდელი მრგვალი აუზი).*

— ატანა არ მაქვს პლანაქეშების. რუსეთში რომ ვსწავლობდი, იმ დროს ჩემთან ერთად 80 ქართველიდან 65-70 მორფინისტი გახდა.

— **ეს როდის იყო?**

— გასული საუკუნის 88-90-იან წლებში. ნოვოჩერკასკში ვსწავლობდი, დონის კაზაკთა დედაქალაქის ინსტიტუტის სოფლის მეურნეობის მექანიზაციის ფაკულტეტზე. არ დამიმთავრებია. ამჟამად შს სამინისტროში სამეურნეო მომარაგების განხრით ვმუშაობ.

— **სწავლის გაგრძელება რატომ ვერ შეძელით?**

— კუპონობია იყო, შიმშილობა იყო, ბათუმში ჩამოსვლა და სწავლა არ გამოდიოდა. იმასაც გეტყვით, რომ პროტესტის განცდაც გამიჩნდა, შინაგანი. ყველა ორღობეში ინსტიტუტი იყო გახსნილი, ისეთებს აქვთ უმაღლესი განათლების დიპლომები, რომ ვერც წარმოიდგენთ... „ასლანის დაცვაში“ ვმუშაობდი, ასე ერქვა, თორემ ჩვენი ძირითადი საქმე აკურის ღვინის ქარხნის კურატორობა იყო.

თავდაპირველად კოსტიუმი ვიყიდე, ჰალსტუხი. გამოვეწყვე. შემდეგ, რომ დავაკვირდი, დავინახე, რომ ყველას ჩემსავით ეცვა, ჰალსტუხით დადიოდა სამი ათასი კაცი, ისეთები, რომ შემეზიზღა ეს ბუტაფორია და მას შემდეგ ჰალსტუხი არასოდეს გამიკეთებია. ასეთივე განცდა გამიჩნდა იმდროინდელი „უმაღლესი სასწავლებლების“ მიმართ და წამოვედი ნოვოჩერკასკიდან.

— **ასლან აბაშიძეზე იტყვით რამეს?**

— ტყუილია, რომ ამბობდნენ, ასლანი ტირანი და კაციჭამია იყოო. მასთან ურთიერთობის თუნდაც რამდენიმე ფაქტი ამის თქმის უფლებას მაძლევს.

**ამ თემაზე საუბარი, სამწუხაროდ, აღარ გაგვიგრძელებია, თუმცა საინტერესოა, რატომ შეიძლებოდა კოაბიტაცია მიხეილ სააკაშვილის რეჟიმის ოდიოზურ პიროვნებებთან და არ შეიძლებოდა ასლან აბაშიძესთან, რომლის ჩართულობითა და მონაწილეობით, ალბათ, აქამდე გადაწყვეტილი იქნებოდა საქართველოს ტერიტორიული გამთლიანების უმწვავესი პრობლემა.**

ესაუბრა
**არმაზ სანებლიძე**



„ — ესაა პიკასოს ბიჭი?!“ კადრი ელდარ შენგელაიას და რეზო გაბრიაძის ფილმიდან „არაჩვეულებრივი გამოფენა“

### რატომ შეიძლებოდა კოაბიტაცია მიხეილ სააკაშვილის რეჟიმის ოდიოზურ პიროვნებებთან და არ შეიძლებოდა ასლან აბაშიძესთან, რომლის ჩართულობითა და მონაწილეობით, ალბათ, აქამდე გადაწყვეტილი იქნებოდა საქართველოს ტერიტორიული გამთლიანების უმწვავესი პრობლემა

**P.S. უცნაური თვისება შევამჩნიე ქობულეთელებს — ძალიან არ უყვართ სურათის გადაღება. ვერ დაითანხმებ. არც ლევან ჩიმაკაძე აღმოჩნდა გამონაკლისი. არაო.**

**არ დამიძალებია: ინტერნეტში მოვძებნი-მეთქი. ვეძებე, ვერ ვიპოვე და ნუ დამძრახავთ.**

**ერთადერთი რესპონდენტი, რომელთანაც ეს პრობლემა არ შემქმნია, ქობულეთელი ქალბატონი ლუბოვ აბიკეევა იყო.**

**მასთან საუბარს გაზეთის მომდევნო ნომერში შემოგთავაზებთ.**

**ა.ს.**

### «გახსოვთ, ქუთაისში მემორიალი («მზეჭაბუკი») რომ ააფეთქებინა მიხეილ სააკაშვილმა, დედა-შვილი რომ დაიღუპა? ის უკვე დავიწყებული აქვს (ხალხზე ვამბობ), თორემ მიშისტებს ისტორიის ნიშანსვეტად მიაჩნიათ... «გავრილოვის ღამეს» პარლამენტში რომ მირბიხარ და სახელმწიფო გადატრიალების მოწყობას ცდილობ, ეგ განა ის შუბია, ხალთაში რომ შეიძლება დაიმალოს?! მიტინგს რომ მართავ, გავრილოვისთვის აწყობ?! იმ ღამის აქტივისტებმა და მათმა ლიდერებმა, იცით რა გაჭირვებაში ჩააგდო აჭარა — ხალხს კრედიტები აქვს გადასახდელი»

## ცვლილებები საქართველოს მთავრობაში

### პრემიერმინისტრად გიორგი გახარია წარადგინეს, შს მინისტრად — ვახტანგ გომელაური, თავდაცვის მინისტრად — ირაკლი ღარიბაშვილი



3 სექტემბერს „ქართულმა ოცნებამ“ პრემიერმინისტრის პოსტზე შს მინისტრი გიორგი გახარია წარადგინა. შესაბამისი განცხადება პარტიის ოფისში „ქართული ოცნების“ თავმჯდომარე ბიძინა ივანიშვილმა გააკეთა.

**გიორგი გახარიას** მთავრობის მეთაურად დანიშვნის თაობაზე გადაწყვეტილება „ქართული ოცნების“ პოლიტსაბჭოსა და უმრავლესობის სხდომებზე შეთანხმდა.

პრემიერმინისტრობის კანდიდატმა გიორგი გახარიამ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრად **ვახტანგ გომელაური,** თავდაცვის მინისტრად კი **ირაკლი ღარიბაშვილი** წარადგინა. რაც შეეხება თავდაცვის ყოფილ მინისტრ **ლევან იზორიას**, ის უშიშროების საბჭოს მდივნის თანამდებობაზეა წარდგენილი.

ვახტანგ გომელაური სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურს (სუს) ხელმძღვანელობდა, ხოლო ირაკლი ღარიბაშვილი „ქართული ოცნების“ პოლიტიკური მდივნის თანამდებობას იკავებს. ირაკლი ღარიბაშვილი „ქართული ოცნების“ ხელისუფლებაში მოსვლიდან 2013 წლის 20 ნოემბრამდე შსს-ს ხელმძღვანელობდა, შემდეგ კი პრემიერმინისტრად დაინიშნა. რაც შეეხება გომელაურს, ის შინაგან საქმეთა მინისტრის პოსტს 2015 წლის იანვარ-აგვისტოში იკავებდა, შემდეგ კი სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის უფროსად დაინიშნა.

პარლამენტი მინისტრობის კანდიდატების მოსმენას 4 სექტემბრიდან დაიწყებს, სესიაზე კი კენჭს 8 სექტემბერს უყრის.



## სამსახურებრივი ავტომობილების გამოყენება დაიბეგრება. რა შემთხვევაში დაიშვება გამონაკლისი

**საგადასახადო კოდექსში შესული ცვლილებების მიხედვით, სამსახურებრივი ავტომობილების გამოყენება დაიბეგრება. კანონი 2019 წლის 1 სექტემბრიდან შევიდა ძალაში. კოდექსის მიხედვით, დაქირავებულის მიერ დამქირავებლის ავტომობილის პირადი სარგებლობისთვის გამოყენებით მიღებული სარგებელი ხელფასად მიიჩნევა და იბეგრება საშემოსავლო გადასახადით შემდეგი ოდენობით (თანხის მოცულობა ავტომობილის ძრავის მოცულობაზე იქნება დამოკიდებული):**

* 3500 კუბურ სმ მოცულობის ძრავის მქონე ავტომობილი — თვეში 300 ლარი;

* 2500-3500 კუბურ სმ მოცულობის ძრავის მქონე ავტომობილი — თვეში 200 ლარი;

* 2500 კუბურ სმ ნაკლები მოცულობის ძრავის მქონე ავტომობილი — თვეში 100 ლარი;

* ჰიბრიდული ავტომობილის შემთხვევაში, ნებისმიერი ძრავის მოცულობა — თვეში 60 ლარი.

ახალი წესი არ ეხება ელექტრომობილებს. დაქირავებულის მიერ დამქირავებლის ელექტრომობილის პირადი სარგებლობისთვის გამოყენება საშემოსავლო გადასახადით არ დაიბეგრება.

დაქირავებულის მიერ პირადი სარგებლობისთვის გამოყენებული დამქირავებლის ავტომობილის აღრიცხვისა და საგადასახადო ორგანოსთვის ასეთი ავტომობილის შესახებ ინფორმაციის მიწოდების წესი განისაზღვრება საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანებით. აღნიშნული თანხის გადახდის ვალდებულება დამქირავებელს ეკისრება. როგორც ავტორები განმარტავენ, ამ ცვლილების მიღების მთავარი მიზეზი — დამქირავებლის ავტომობილის მოხმარებით მიღებული სარგებელი — ხელფასად მიიჩნევა, რის გამოც ის საშემოსავლო გადასახადით დაიბეგრება.

საკითხავი აი ეს არის

www.geworld.ge

თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**რა უშველის ჩვენს ქვეყანას დღეს? „დღეს ცარიელი მკლავი იმოდენად ვეღარა სჭრის, რაც სავსე ჯიბე; დღეს იგია უძლეველი, ვინც უფრო დიდ ხანს და ხანგრძლივ გაუძლებს საომარს ხარჯსა, ომის შემმუსვრელს ჭირსა და ვაგლახსა. დღეს ინგლისი რომ გულზვიადად არის, რომ გაბედულად და კადნიერად ეტანება ყოველს საქმეს ევროპის საერთო პოლიტიკისას და საითაც გაიწევს, თითქმის იქით გააქვს სვე დღევანდელის სამკალისა, ამის მიზეზი ჯართა სიმრავლე კი არ არის, არამედ გატენილი ჯიბეა“.**

რუბრიკას უძღვება დარეჯან ანდრიაძე

**რა უშველის ჩვენს ქვეყანას დღეს? ურთიერთდამუნათებით რას მიაღწევენ ქვეყნის გულშემატკივრის მანტიაში გახვეული ვაიპოლიტიკოსები?**

**რა ეშველება ქვეყანას, სადაც შეგულიანებული პიდარასტი თავზე დაგვჩხავის, — მოძალადე ხარო; სადაც ემიგრანტმა ლამის თავი სტუმრად გვაგრძნობინოს; სადაც ეკლესიის მასხრად აგდება და წმინდანების შეურაცხყოფა პოპულარობის მოპოვების საშუალებაა; სადაც ქვეყნის გაბრწყინება მავანს ცალკეული ადამიანების „ბლუჟა დოლარებით“ სავსე ჯიბე ჰგონია; სადაც უპოვარი ადამიანები საზრდოს ნაგვის ურნებში ეძებენ?..**

**რა უშველის ასეთ ქვეყანას?**

**ნუთუ მხოლოდ უფლის სასწაული?!**

**ჰოდა, რწმუნდები, რომ სულმნათი ილიას „ბედნიერი ერი“ დღევანდელობას უფრო შეეფერება, ვიდრე იმ ეპოქას, რომელშიც დაიწერა.**

**მართლაც, დღეს „ჩვენისთანა ბედნიერი განა არის სადმე ერი?!“ „მტვერწაყრილი, თავდახრილი, ყოვლად უქმი, უდიერი; უზლუდონი, გზამრუდონი, არგამტანი და ცბიერი; მტრის არმცნობი, მოყვრის მგმობი, გარეთ მხდალი, შინ ძლიერი; არრის მქონე, არრის მცოდნე, უზრუნველი და მშიერი.**

**ჩვენისთანა ბედნიერი კიდევ არის სადმე ერი?“**

**როცა ეს მწარე ფიქრები სულმნათმა ილიამ ხმამაღლა თქვა, იქვე გაისმა მისი მტკიცე ხმაც: „ჩვენი საქმე საქართველოს ხალხის ცხოვრებაა; მისი გამჯობინება ჩვენი პირველი და უკანასკნელი სურვილია“. და ეს „ჩვენ“ იყვნენ ნიკო ნიკოლაძე, დიმიტრი ყიფიანი, აკაკი წერეთელი... — ერის სასიქადულო შვილების მთელი პლეადა.**

**მაგრამ საკითხავია: დღეს „საქართველოს ხალხის ცხოვრების გამჯობინება“ რომელი პოლიტიკური პარტიისთვის არის უპირველესი სურვილი?**

**მკითხველს ვთავაზობთ ამონარიდებს ილია ჭავჭავაძის წერილებიდან თუ ნაწარმოებებიდან, რომლებიც გვიჩვენებს გზას ხსნისას. მისი აზრით, ქართველი ერის ქონებრივი გაღონიერებაა სწორედ ის, რაც უშველის ჩვენს ქვეყანას დღეს.**

**„დღევანდელი ფარ-ხმალი ცხოვრებისა ქონებააო“, — ასე მიაჩნდა ერის მამას, რადგან „ქონებრივი სიმდიდრე და სიღარიბე ერის წინ წაწევის, წარმატების, შინ და გარეთ დამოუკიდებლობის ხარისხის ნიშანია“. „სიღარიბე თუმცა არაა ბედნიერება, მაგრამ არც მწიკვლია“, ხოლო „ქონებრივი სიმდიდრე სახელმწიფოსი შესდგება მომქმედთა და ნამოქმედარის მხმარებელთა სიმდიდრისაგანო“. „რასაკვირველია, რამდენადაც ცხოვრება ძლიერია და ღონიერი, იმდენად მოსავალი და ნაჭირნახულევი დიდია და უხვი“.**

# დღევანდელი ფარ-ხმალი ცხოვრებისა ქონებაა

## დღეს «საქართველოს ხალხის ცხოვრების გამჯობინება» რომელი პოლიტიკური პარტიისთვის არის უპირველესი სურვილი?

თი-სამად უკეთესად მოწყობილი, მაგრამ-კი ინგლისს ქვეყნის საქმეთა დალაგებასა და განკითხვაში სხვაზედ თუ არ მეტი, ნაკლები ხმა არა აქვს მარტო იმით, რომ ძლიერია ჯიბითა“ *(„სატამოჟნო პოლიტიკა ევროპაში, ფრიტრედერობა და პროტექციონობა“ 1887 წ. 5 ივნისი).*

* **„დღევანდელი ტოკვა თვითეულის სახელმწიფოსი, შიგნეული რომ კარგად გავუსინჯოთ, სხვა არა არის რა, თუ არ ის, რომ საპოლიტიკო ეკონომიის ბრძოლის მოედანზედ რაც შეიძლება მომეტებული ადგილი დაიჭიროს, ფართო გზა გაიკაფოს, დიდი არხები გასჭრას სიმდიდრის მოსადინებლად, სხვისი იეფად და ცოტა იყიდოს და თავისი ძვირად და ბლომად გაასაღოს“** *(„სატამოჟნო პოლიტიკა ევროპაში, ფრიტრედერობა და პროტექციონობა“. 1887 წ. 5 ივნისი).*

* „ვერავინ ვერ იტყვის, რომ

* „დღევანდელი ფარ-ხმალი ცხოვრებისა ქონებაა. კარგია თუ ცუდი ეს ასეთი ყოფა, ჩვენ ამაზედ თვალი უნდა ავახილოთ, ამაზედ ვიფიქროთ“ *(„კახეთის სოფლის მეურნეთა კავშირი“. 1895 წ. 4 ნოემბერი).*

* „საქმე ის არის, რომ დღევანდელმა დღემ კაცობრიობა იქამდე მიიყვანა, რომ თუ ერს ქონება შეძენილი არა აქვს და მის გაძლიერების გზაზე არა სდგას, იგი ღონემიხდილი ლომია, უხორთუმო სპილოა იმ მწვავს და დაუნდობელ ომში, რომელსაც არსებობისათვის ბრძოლას ეძახიან“ *(„კახეთის სოფლის მეურნეთა კავშირი“. 1895 წ. 4 ნოემბერი).*

* „ამ ბრძოლაში „ყურთმაჯთ ბრიალი, ხმალთა ტრიალი, ცხენიდამ ხტომა და კვლავ შეხტომა“ ვერაფერი თამასუქია გამარჯვებისა, ვერაფერი ღონეა“ *(„კახეთის სოფლის მეურნეთა კავშირი“. 1895 წ. 4 ნოემბერი).*

* „ეკონომიური ბუნება ქო-

საძლოდ და დღეგრძელად ჰქმნას არსებობა თვით საზოგადოებისა. ერთიცა და მეორე ნაწილიც ცოტად თუ ბევრად თვის საბუთსა ჰპოულობს იმაში, რომ თვით ადამიანიც ბუნებითად ორს მხარეს წარმოადგენს. ერთის მხრით იგი ცალკე სულიერია, რომელსაც თვისი პირადი, საკუთარი საგანი აქვს ცხოვრებისა და სხვაზედ დამოუკიდებლად მიეზიდე ბა ამ საგნისაკენ, და მეორეს მხრით ზოგადი სულიერია, რომელიც მრავალგვარად გადაბმულია, დამოკიდებულია სხვა თვის მსგავს სულიერებზედ იმ აუცილებელ საჭიროების გამო, რომ მარტოდ ცხოვრება ბუნებითად არ უწერია და უნდა უსათუოდ სცხოვრობდეს თვისთა მსგავსთა შორის“ *(„ხიზნების საქმე“. 1886 წ.).*

* „რომელი ერიც გინდა აიღეთ მთელს ქვეყნიერობაზედ, ჰნახავთ, რომ ყველა ერის ეკონომიური ცხოვრება

ორთა-შუა ბრძოლაა და სხვა არა-რა“ *(„ხიზნების საქმე“. 1886 წ.).*

* „კერძო საკუთრება ჯერ კიდევ ქვაკუთხედად უდევს არამცთუ მთელს სახელმწიფურს და საზოგადოებურ წყობას რუსეთისას, არამედ მთელს ცხოვრებას დაწინაურებულ ქვეყნებისას მთელ დედამიწის ზურგზე“ *(„ნუთუ“. 1905 წ.).*

* „აბა უკიდურეს სიღატაკიდან უდიდეს სიმდიდრემდე რამდენი საფეხურია, რამდენი კიბეა, რამდენი ერთმანეთზე მეტია, და მოდით და გაარჩიეთ, რომელმა რომელი უნდა სწეწოს და ჰგლიჯოს მთელ ამ დიდს მანძილზე“ *(„ნუთუ“. 1905 წ.).*

* „კერძო საკუთრება, სამართლიანად თუ უსამართლოდ, ჩვენდა საბედნიეროდ თუ საუბედუროდ, ჯერ კიდევ დიდ ხანს იქნება დიდს პატივში და მის სარბიელზე ძალმომრეობა, ერთმანეთზე მისევა, ვინც გინდ იყოს, იაფად არ დაუჯდება“ *(„ნუთუ“. 1905 წ.).*

* „პირველყოფილ დროს, როცა თავდაპირველ დაეწყვნენ კაცთა საზოგადოებანი, ზოგადს ელემენტს საკუთრებისას, თუ არ განსაკუთრებით, გადაჭარბებით მაინც, მეტი და უპირატესი ადგილი ეჭირა კაცთა ცხოვრებაში სხვადასხვა საეკონომიო და საპოლიტიკო თვისების მიზეზთა გამო, მაგ ზოგადმა ელემენტმა საკუთრებისამ თანდათან გზა დაუთმო პირადსა, და პირადის ელემენტის გამარჯვება მთლად და უნაკლოდ გამოისახა მთელის თავისის სასტიკობითა ფეოდალობაში, რომელმაც შემოიტანა ბატონ-ყმობა, ესე იგი იმისთანა წყობა, რომელიც მარტო უფლებაა უმოვალეობო, უსაზღვრო, პირობადაუდებელი, და რომელსაც სხვა საგანი არა ჰქონდარა, გარდა ცალკე კაცის პირადის კეთილდღეობისა“. *(„ხიზნების საქმ“. 1886 წ.).*

* „საზღვარდაუდებელმა უფლებამ საკუთრების პირადის ელემენტისამ მოუყარა თავი მამულებს კერძო კაცთა ხელში ცალ-ცალ- ►

**«დღევანდელმა დღემ კაცობრიობა იქამდე მიიყვანა, რომ თუ ერს ქონება შეძენილი არა აქვს და მის გაძლიერების გზაზე არა სდგას, იგი ღონემიხდილი ლომია, უხორთუმო სპილოა იმ მწვავს და დაუნდობელ ომში, რომელსაც არსებობისათვის ბრძოლას ეძახიან»**

* „დღეს ძლიერი სახელმწიფო იგია, ვინც მდიდარია და ვისაც, მაშასადამე, მეტი შეძლება აქვს ბევრი გასწიროს და მაინც სახსარი შერჩეს ცხოვრებისა. დღეს ცარიელი მკლავი იმოდენად ვეღარა სჭრის, რაც სავსე ჯიბე; დღეს იგია უძლეველი, ვინც უფრო დიდ ხანს და ხანგრძლივ გაუძლებს საომარს ხარჯსა, ომის შემმუსვრელს ჭირსა და ვაგლახსა. დღეს ინგლისი რომ გულზვიადად არის, რომ გაბედულად და კადნიერად ეტანება ყოველს საქმეს ევროპის საერთო პოლიტიკისას და საითაც გაიწევს, თითქმის იქით გააქვს სვე დღევანდელის სამკალისა, ამის მიზეზი ჯართა სიმრავლე კი არ არის, არამედ გატენილი ჯიბეა“ *(„სატამოჟნო პოლიტიკა ევროპაში, ფრიტრედერობა და პროტექციონობა“. 1887 წ. 5 ივნისი).*

* **„საქმეა ყოველისფერის გამომცდელი. ჩვენ წინადვე ვერას ვიტყვით ამის მეტსა, რომ აწინდელის ცხოვრების წრეში ჩადგომა გვინდა, მისგან ყრუდ ჩაძახილის ამოძახნა, მისის ვითარების ცნობაში მოყვანა, მოძრაობისათვის გზის გახსნა“.** *(„საქართველოს მოამბეზედ“ 1862 წ.)*

* „ჩვენშიაც ყმაწვილ-კაცობა ორ ბანაკად გაიყო... მეორეები დააკვირდნენ ჩვენის ქვეყნის ვითარებასა და ნახეს, რომ ჩვენ ქვეყანას სულ სხვა ტკივილი აქვს, სულ სხვა ფათერაკი სდევს. სცნეს, რომ ჩვენებური დღე სულ სხვასა თხოულობს, სულ სხვასა ჰღაღადებს და, მაშასადამე, ჩვენებური ლიბერალობა სულ სხვა რასმეზედ უნდა მიიქცეს მთელის თავისის ძალ-ღონითა. და თუ აქაც ბედისწერას ისე არ გადავურჩებოდით, რომ „მამა-შვილობა“ არ გამართულიყო, მძღოლის საგნად ის „სხვა რამე“ უნდა ყოფილიყო და „მამებსა და შვილებს“ შუა მიჯნად დადებულიყო. ის სხვა რამე იყო – ჩვენის დაცემულის ვინაობის აღდგენა, ფეხზედ დაყენება და დაცვა ყოველის მოსალოდნელის ფათერაკისაგან“ *(„შინაური მიმოხილვა“. 1881 წ. მაისი).*

* **„ჩვენს დროში ქვეყნის საქმეებმა ისეთი ძირი გაიკეთა, ისეთი მიმართულება და ხასიათი დაიჭირა, რომ დღეს ყოველს ცალკე სახელმწიფოს შეუძლიან თავისი მოპირისპირე, სამტროდ მოცილე სახელმწიფო უომრად ომზედ არა ნაკლებ დააზიანოს. თუ გნებავთ, ეს ახალი სამტრო სახსარი იგივ ომია და ზოგჯერ ომზედაც უარესი, მაგრამ სისხლდაუღვრელი ომი კია, იმისთანა ომი, საცა არც ზარბაზნის გრიალია, არც ხმალის ტრიალი“** *(„სატამოჟნო პოლიტიკა ევროპაში, ფრიტრედერობა და პროტექციონობა“ 1887 წ. 5 ივნისი).*

* „ამისთანა ომის მოედნად საეკონომიო ყოფა-ცხოვრებაა, ესე იგი იმისთანა განსხვავებული ვითარება და გარემოებანი, რომელთა საერთო კრებული ჰქმნის მეტნაკლებობას სიმდიდრისას ერისას და ქვეყნისას“ *(„სატამოჟნო პოლიტიკა ევროპაში, ფრიტრედერობა და პროტექციონობა“. 1887 წ. 5 ივნისი).*

* „არც ერთი დიდი სახელმწიფო არ არის ევროპაში, რომ ჯარი ინგლისზედ ერთიორად და ერთი-სამად მეტი არა ჰყვანდეს და ერთი-ორად, ერ-

ვაჭრობა, როგორც ერთი ძლიერი ღონე ერის ეკონომიურად წარმატებისა, ღირსი არ იყოს შემწეობისა და შველისა. ხოლო არ შეიძლება სახეში არ იქონიოს სახელმწიფომ, თუ საზოგადოებამ, რომ **მარტო ვაჭრობა, რაც გინდ ბევრი ფული მიადინოთ, უღონოა სასურველ ზომამდე გაძლიერდეს. თუ მასთან ერთად არ აღორძინდება და წარიმატებს სხვა მრეწველობაცა, რომელიც ჰქმნის სიმდიდრეს ერისას და თვით ვაჭრობასაც ჰკვებავს და ასაზრდოებს“** *(„თბილისის საურთიერთო სამეურნეო კრედიტის საზოგადოება“. 1893 წ. 4 ნოემბერი).*

ნებისა ის არის, — უძრავი ქონებაა თუ მოძრავი, — რომ უხერხო და უმცდელო კაცისაგან ხერხიან და მცდელ კაცის ხელში გადადის. ამ კანონს ეკონომიურ ბუნებისას წინ ვერავინ დაუდგება, როგორც საერთო ბუნებურ კანონსა“ *(„კახეთის სოფლის მეურნეთა კავშირი“. 1895 წ. 4 ნოემბერი).*

* „საკუთრებას ორი ნაწილი შეადგენს: ერთი — პირადი, მეორე — ზოგადი. რადგანაც იგი არსებობს არა მარტო ცალკე კაცის სარგებლობისათვის, რომ ნაამაგარი მისის შრომისა მასვე მოახმაროს, არამედ საზოგადოების სარგებლობისათვისაც, რომ შე-

იმის ბრძოლაში დალეულა და ილევა დღესაც, რომ ან ერთი ნაწილი საკუთრებისა აუფლოს ქვეყანაზედ, და ან მეორე. მთელი არსება მიწათმფლობელობის საქმისა, რომელიც შეადგენს დღევანდელს ტკივილს ყველა ერისას და ყველა სახელმწიფოებისას, იმაში მდგომარეობს თუ, — რომელი ნაწილი საკუთრებისა გაძლიერდეს და გაუფლდეს კაცთა ეკონომიურს ცხოვრებაში: პირადი თუ ზოგადი. ეს ორი ელემენტი იბრძვის დღეს ქვეყნიერობაზედ და ეგრეთწოდებული საადგილმამულო, სამიწაწყლო საქმე (თგპთპნძღ ვრაპრყ) მარტო ეგ

**«დღეს ყველამ იცის, რომ თავი და ბოლო წინ წაწევისა, წარმატებისა, გაძლიერებისა, შინა და გარეთ დამოუკიდებლობისა მაძღრობაა, სიმდიდრეა, ეკონომიური ძალღონიერებაა ერისა. აქ ხელცარიელად დარჩენილი, როგორც ჩვენა ვართ, დღეს ერთს ბიჭსაც წინ ვერ გადასდგამს, რაც გინდ სავსე ჰქონდეს გული დიდებულ აზრთა და გრძნობათათვის»**

საქითხავი აი ეს არის
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# „რა არის სიღარიბე და სიმდიდრე? ვხედავ, ერთს ბევრი აქვს, მეორეს ცოტა, მაგრამ, ჩემის ფიქრით, ამითი არ უნდა ირჩეოდეს ღარიბი მდიდრისაგან. საქმე ის არის, სურვილი ქონებას არ გადაამეტო. მე მგონია, — ღარიბი არ არის, ვინც ნდომობს იმას, რაც ეშოვება და არა მეტსა. მეტის მდომი მდიდარიც ღარიბია“.

კე, განაშორა მუშახელი სამოქმედო საგანს — მიწასა, განაცალკევა მუშა და სამუშაო საგანი. მაგ განშორებამ და განცალკევებამ დიდად შეარყია და შეშალა ბუნებრივი მდინარეობა ეკონომიურის ცხოვრებისა, იმიტომ რომ, ერთ მხრივ დარჩა მუშახელი უმიწოდ და მეორე მხრივ — მიწა უმუშახელოდ“. *(„ხიზნების საქმე“. 1886 წ.).*

* „სწორედ ამაში აქვს დასაწყისი ყოველგვარს სახეს სხვისა მიწის ხმარებისას მთელს ქვეყნიერობაზედ. ამაშივეა სათავეც და დასაწყისი ხიზნობისა ჩვენში“. *(„ხიზნების საქმე“. 1886 წ.).*

* „ჩვენი ეკონომიური ყოფა-ცხოვრება ყველაზედ ნაკლებ ხელხლებულია ჩვენს მიერ. ყველაზედ მეტად ყურადღების და ზრუნვის გარეთ დარჩენილია, თითქო სხვა ყოველთა საჭიროებათა შორის ამ ეკონომიურ ყოფა-ცხოვრებას დღეს უპირველესი ადგილი არ ეჭიროს ყველგან და ჩვენში რაღა თქმა უნდა“.

* **„დღეს ყველამ იცის, რომ თავი და ბოლო წინ წაწევისა, წარმატებისა, გაძლიერებისა, შინა და გარეთ დამოუკიდებლობისა, მაძღრობაა, სიმდიდრეა, ეკონომიური ძალღონიერებაა ერისა. აქ ხელცარიელად დარჩენილი, როგორც ჩვენა ვართ, დღეს ერთს ბიჯსაც წინ ვერ გადასდგამს, რაც გინდ სავსე ჰქონდეს გული დიდებულ აზრთა და გრძნობათათვის“.** *(„კახეთის სოფლის მეურნეთა კავშირი“. 1895 წ. 4 ნოემბერი).*

* „ან თვით დიდებულნი აზრნი და გრძნობანი მოივლინებიან-კი იქ, საცა ადამიანი მშიერ-მწყურვალი, შიშველ-ტიტველი, მგელსავით პირღია დაიარება და ერთი წუთი ვერ გადაურჩენია, რომ ჭამა-სმის გარეითად სხვა რაზედმე იფიქროს, სხვა უმაღლესს საგანს ადამიანის წყურვილისას თავი და გული მოანდომოს? ეს თუ შეუძლებელი არ არის, დიდად საეჭვოა მაინც იქ, საცა ერი ღატაკია, უძლური და მარტო დღიურ ლუკმის საშოვნელად გაწირული“. *(„კახეთის სოფლის მეურნეთა კავშირი“. 1895 წ. 4 ნოემბერი).*

* „რა საძრახისია სიღარიბე, თუმცა-კი არც ბედნიერებაა? რუსები იტყვიან: ქელნრყიტნე არპრკ. განა კაცს კაცად ჰხდის მარტო სიმდიდრე და სხვა არაფერი? იესო ქრისტე ღარიბი იყო, თავშიშველი და ფეხშიშველი დადიოდა, ღმერთად-კი იწამა მთელმა განათლებულმა კაცობრიობამ“. *(„ქვათა ღაღადი“. 1899 წ.).*

* „ღვთის მადლით, ჩვენ ჯერ ამ განწირულებამდე არ მივსულვართ, მაგრამ ჩვენდა სამწუხაროდ უნდა ვთქვათ, რომ დღესა თუ ხვალე ამ დღეში ჩავცვივით, თუ მინამ დროა, თავს არ ვუშველეთ“. *(„კახეთის სოფლის მეურნეთა კავშირი“. 1895 წ.).*

* „ღირსება და სახელოვანება მარტო სიმდიდრე არა ყოფილა. სხვაც რამ სდომებია კაცის თავმოწონებას, სახელოვანებას, სახელდობრ ის, რაც, კაცთა საუბედუროდ, ბევრს თავმოწონებულს მდიდარს აკლია“. *(„ქვათა ღაღადი“. 1899 წ.).*

* „სიღარიბე მწიკვლი არ არის, ცოდვა არ არის. მწიკვლი და ცოდვა სხვისაგან გამომცხვარის პურის ჭამაა, სხვისა ოფლის სმაა, და ვისაც ეს ანდერძად და ცნებად გულში ჩაუწერია, იმან შეინანოს ეს ცოდვა, იმან ჩამოირეცხოს ეს მწიკვლი. ხმელის პურის ჭამა სჯობია სხვისის ოფლით დამბალსა და დასველებულს“. *(„ქვათა ღაღადი“. 1899 წ.).*

* „ჩვენ ამითი იმის თქმა კი არ გვინდა, რომ რაკი მთავრობა ამისთანებში მოვალეა და ყოვლადშემძლებელი, ჩვენ გულ-ხელი დავიკრიბოთ და გულგრილად ვუყუროთ ჩვენი ძმების უბედურებას, გულგრილად და თუნდ ცარიელის გულის-ტკივილითაც შევყურებდეთ, როგორ თრთის და იკრუნჩხება შიშველი ბავშვი სიცივისაგან, როგორ უკვდება კალთაში შიმშილისაგან ძუძუგამშრალს დედას, როგორ ტყის ნადირივით დაძრწის ღონემიხდილი, დამშეული მამა, იმედ-დანთქმული, რომ რითამე მიეშველოს შიმშილისაგან სულთმობრძავს ოჯახსა. გარბის ამ ოჯახიდამ შორს, რომ თავისის თვალით არ დაინახოს გულსაკლავი სურათი კარზედ მოდგომილის სულთამხუთავისა, არ დაინახოს თავისის ცოლის, თავისის შვილის, თავისის ძმის, დის, თვისისა და ტომის სასოწარკვეთილი ყოფა, არ გაიგონოს თავისის ყურით ამაო ძახილი ცოლისა: „კაცო, გვიშველე, ვიხოცებით“, საცოდავი კნავილი ბავშვისა „მამავ, პური, მამავ, პური“... გარბის თითონაც დამწვარი და დადაგული შიმშილისაგან, გარბის შორს, შორს... გარბის და ჰგრძნობს, რომ სამუდამოდ ეცლება ხელიდამ ყოველივე ის, რისთვისაც სცხოვრობდა, რისთვისაც სულდგულობდა, რისთვისაც იღვწოდა.. ყოველივე ის, რაც მისთვის ყველაზე უძვირფასესია... ჰგრძნობს და გულს უბზარავს მწვავე ტკივილი სასოწარკვეთილებისა, უიმედობისა და უღონობისა. ან არა და დგას ამ საშინელის სურათის წინ — უღონო, უილაჯო, თვალებ-ჩაცვივნული, ნაწლებ-ამომწვარი შიმშილისაგან, დგას და უყურებს, რომ თვალწინ უკვდება ცოლი, უკვდება შვილი, უყურებს და იწვის, იდაგვის, რომ არსაიდამ ხსნა არ არის, არსაიდამ შველა, და თუ რამ ნუგეში აქვს, ის ნუგეშია, რომ მეც შიმშილი დღესა თუ ხვალე ამომხდის დაუძლურებულს სულსო და ჩემს ცოლ-შვილს საიქიოს შევეყრებიო“ *(„შინაური მიმოხილვა“. 1879 წ. თებერვალი).*

* „ღარიბნი ვართო, ვიძახით, მაგრამ ქვეყანაზედ მარტო ღარიბმა იცის — რა არის შველა, რა არის ძმობა გაჭირვებაში“. *(„შინაური მიმოხილვა“. 1879 წ. თებერვალი).*

* „ღმერთო! ღარიბი კაცის გაჩენაში (არ) რეულა შენი მოწყალება! დაგვბადე და გვიბრძანე: ოფლითა თქვენითა მოიპოვეთ პური თქვენი! მინამ შემეძლო, შემომიჩივლია განა შენთვის, მაღალო ღმერთო, ჩემი სიღარიბე? დავბერდ, თვალთ დამაკლდა და ხელი მიკანკალებს, ჯანში ღონე არ შემრჩა. მინამ შემეძლო და ჩემი პატარა კატო იყო ინსტიტუტში, პურის ცხობით ვინახამდი ჩემს თავსა. ეხლა აღარა შემიძლიან-რა, ეხლა ჩემი საწყალი კატო დღე და ღამეს ასწორებს ჩემის შენახვისთვის, მე კი, როგორც ბატონი, ხელგაუნძრევლად, ჩემის ქალის თითების ნაშოვარს და მონაგარს ვჭამ და ვსვამ. ტყუილია, რომ შვილმა ხელზედ ერბოკვერცხი მაიწვასო და ისე გამოზარდოს მშობელი დედაო, მაინც იმის ამაგს ვერ გადიხდისო, ეგ ბედნიერმა უნდა თქვას, რომელმაც არ იცის, რა არის შრომა, რომელსაც არ გამოუცდია დღე შრომითა და ღამე იმ ფიქრითა, რომ ხვალეც ეს დღე დღე იქნება, ღამეც — იგივე ღამე“ *(„კატო“. 1861-1863 წ.).*



ქართული ლურჯი მოცვი



ქართული ლურჯი მოცვის პლანტაცია

## წლებია, ჩვენს ქვეყანაში მდიდრდებიან მსხვილი უცხოური კომპანიები. დღეს ჩვენ გვჭირდება „საშინაო მრეწველობა იმაზე მიქცეული, რომ ქვეყანამ შინ იქონიოს ყველაფერი“



შპს „ჰერბიას“ სასოფლო-სამეურნეო პროდუქტები უკვე პოპულარულია უცხოეთში

**«მარტო ვაჭრობა, რაც გინდ ბევრი ფული მიადინოთ, უღონოა სასურველ ზომამდე გაძლიერდეს. თუ მასთან ერთად არ აღორძინდება და წარიმატებს სხვა მრეწველობაცა, რომელიც ჰქმნის სიმდიდრეს ერისას და თვით ვაჭრობასაც ჰკვებავს და ასაზრდოებს»**

* „სავსე თარო წიგნებითა და ცარიელი მუცელი — არა მგონია, ბევრს რასმე შველოდნენ ერთმანეთსა“ *(„უცნაური ამბავი“. 1893 წ.).*

* **„რა არის სიღარიბე და სიმდიდრე? ვხედავ, ერთს ბევრი აქვს, მეორეს ცოტა, მაგრამ, ჩემის ფიქრით, ამითი არ უნდა ირჩეოდეს ღარიბი მდიდრისაგან. საქმე ის არის, სურვილი ქონებას არ გადაამეტო. მე მგონია, — ღარიბი არ არის, ვინც ნდომობს იმას, რაც ეშოვება და არა მეტსა. მეტის მდომი მდიდარიც ღარიბია“** *(უცნაური ამბავი. 1893 წ.).*

* „ნუ დაგვავიწყდება, რომ მოსწავლენი მეტი ნაწილი ღარიბნი არიან. თქმა არ უნდა, რომ სიღარიბე უფრო იღვწის ამ შემთხვევაში, ვიდრე სიმდიდრე. სიმდიდრეს რა უჭირს? ცა ყოველთვის ქუდადა აქვს, დედამიწა ქალამნადა. მას ჯერ არ აეშლება საღერღელი სწავლისა და ცოდნისა, და თუ აეშალა, ვარდით დაფენილ გზაზედ მიდის. სიღარიბეს წინ ეკლიანი გზა უდევს, იგი მიდის და ეკალი ჰშაშრავს მის შიშველს ფეხსა და ტანსა. აქ სვლა მსხვერპლია, თავის გაწირვაა, თავის გამომეტებაა. რამდენს დაულევია უდღეოდ სიცოცხლე, მშობელთა და მახლობელთაგან დაუტირებელს, მარტო იმის გამო, რომ შიმშილით დაუძლურებულს ხორცს ველარ უტარებია ღონიერი სული ჭაბუკისა სწავლის ეკლიან გზაზედ? რამდენს დედას გამოსცლია ამ გზით ხელიდამ შვილი, რამდენს დას — ძმა, რამდენს მეგობარს — მეგობარი და რამდენი საიმედო შვილი დაჰკარგვია ქვეყანას“ *(„ქართველი სტუდენტობა რუსეთში“, 1886 წ. 4 თებერვალი).*

* „სიღარიბე, რომელიც ჩვენ მოგველის, ისე საშიში არ არის, როგორც ჩვენა და ათას სხვათ ჰგონიათ. სიღარიბე ბრძოლაა, სიმდიდრე განცხრომაა, — და განცხრომა, ჩემის მოხევისა არ იყოს, საფლავშიაც გვეყოფა. მინამა ვართ, კაცად და ცოცხლად ვიყვნეთ, და როცა არ ვიქნებით, მაშინ განვისვენოთ შეურყეველის მშვიდობიანობითა“ *(„წერილები ილია ჭავჭავაძისა ოლღა თადეოზის ასულ გურამიშვილისადმი“, 1873 წ. 23 ოკტომბერი).*

* **„ბევრმა მაგალითებმა წინადაც და ნამეტნავად ამ უკანასკნელ ხანების ღირსსახსოვარმა ამბებმა თვალნათლივ დაგვანახა, რომ ცხოვრების მოედანზე ძლიერი ისა ყოფილა, ვინც მდიდარია, და მდიდარიც იგია, ვისაც ბევრი ფული ჰქონია“** *(„ჩვენი ქვეყნის ეკონომიური ცხოვრების საზრუნავი“. 1893 წ. 17 ივლისი).*

* „სიმდიდრე სახელმწიფოსი შესდგება ვაჭრების სიმდიდრისაგან კი არა, არამედ მომქმედთა და ნამოქმედარის მხმარებელთა სიმდიდრისაგან. ინგლისი იმითი კი არ არის მდიდარი, რომ მდიდარი სოვდაგრები ჰყავს, არამედ იმითი, რომ მდიდარი წარმოება აქვს და კარგად გაწყობილი სოფლის-მეურნეობა“ *(„შინაური მიმოხილვა“. 1882 წ. ნოემბერი).*

* „საფაბრიკო და საქარხნო წარმოების მოედანი, თუმცა დღეს ჩვენში საგრძნობელად ხელთ არავის ჩაუგდია, მაგრამ ამაებისათვის ჩვენ არამც თუ ქონება არა გვაქვს, არამც თუ საჭირო ცოდნა და გამოცდილება, — აზრადაც არავის მოსვლია ამაებისაკენ მიიხედოს და ეს დღეს მოცლილი და სხვისაგან დაუჭერელი ადგილი მაინც დაიჭიროს“ *(„კახეთის სოფლის მეურნეთა კავშირი“. 1895 წ. 4 ნოემბერი).*

* „ამ გარემოების ძალმომრეობით ჩვენი მართლა და მდიდრად შემკული ქვეყანა იძულებული იყო, რაც საცხოვრებლად ადამიანისათვის საჭიროა, შინ თვითონვე ეკეთებინა და მიწისაგან ამოელო, თუ არა და, მშიერი და შიშველი დარჩებოდა. მაშინ არამცთუ საჭირო იყო ჩვენი საკუთარი პური გვქონოდა და სხვა საჭირო მარცვლეულობა, არამედ სამოსელიც-კი. გავიხსენოთ მარტო ის ამბავი, რომ ამ ოც თუ ოცდაათ წლის წინათ ერთს სოფელს ისე არ გაივლიდით, რომ ქსელი და მაქო ფეიქრისა არ დაგენახოთ, მატყლის საჩეჩელი საშალე ძაფისათვის არა ყოფილიყო გამართული თითქმის თვითეულის მცხოვრების დერეფანში, ხშირად არ შეგხვედროდათ სამღებროები ნაქსოვის თუ ნაკეთების საღებავად, და სხვა ამისთანა წვრილმანი საოჯახო, საშინაო მრეწველობა იმაზე მიქცეული, რომ ქვეყანამ შინ იქონიოს ყველაფერი“ *(„ჩვენი სარჩიელი სოფლის მეურნეობის ძვირფას დარგებზე“. 1894 წ. 18 სექტემბერი).*

* „აღებ-მიცემობის მოწყალებით ეს წვრილმანი საოჯახო და საშინაო მრეწველობანი გაუქმდა, რადგანაც დამშვიდებამ ჩვენის ქვეყნისამ, კარგმა გზებმა სამეზობლოდ მისვლა-მოსვლისამ, აღებ-მიცემობის სახსარი მისცა უფრო იეფის, უფრო კარგი საქონლის მოტანისა, და შინაურმა წვრილმანმა მრეწველობამ მოტანილს საქონელს ვერც ფასში და ვერც სიკეთეში ცილობა ვერ გაუწია. დაანება ჩვენმა ქვეყანამ ამ წვრილმანს მრეწველობას თავი და ირჩია ნაწარმოებთა ყიდვა სხვისაგან, იმიტომ, რომ საეკონომიო სფეროში წინამძღვრობს მარტო სიიეფე და სიკეთე სასყიდელ საქონლისა და სხვა არარა“ *(„ჩვენი სარჩიელი სოფლის მეურნეობის ძვირფას დარგებზე“. 1894 წ. 18 სექტემბერი).*

**«სიმდიდრე სახელმწიფოსი შესდგება ვაჭრების სიმდიდრისაგან კი არა, არამედ მომქმედთა და ნამოქმედარის მხმარებელთა სიმდიდრისაგან. ინგლისი იმითი კი არ არის მდიდარი, რომ მდიდარი სოვდაგრები ჰყავს, არამედ იმითი, რომ მდიდარი წარმოება აქვს და კარგად გაწყობილი სოფლის-მეურნეობა»**

ეს უნდა ვიცოდეთ
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

აღვსილნი არიან ყოველგვარი უსამართლობით, ბოროტებით, ანგარებითა და სიავით, სავსენი შურით, მკვლელობით, შუღლით, ვერაგობით, უზნეობითა და მაბეზღარობით. ცილისმწამებელნი, ღვთის მოძულენი, შეურაცხმყოფელნი, ამპარტავანნი, მკვეხარნი, ბოროტგამზრახველნი, მშობლების ურჩნი.

*(მოციქულ პავლეს წერილი რომაელთა მიმართ, 1,29-30)*



# კევინ სპეისი მამათმავალია

**ბოლო ორი წელიწადი სპეისისთვის უმძიმესი აღმოჩნდა. ოსკაროსანი მსახიობი ჰოლივუდში პერსონა ნონ-გრატად შერაცხეს რამდენიმე სექსსკანდალის გამო.**

„ბანქოს პატარა სახლის“ ვარსკვლავი უარყოფს მისთვის წაყენებულ ბრალდებებს, მაგრამ, როგორც TMZ წერს, სულ ახლახან ცნობილი გახდა უტყუარი მტკიცებულებანი, რომლებიც მსახიობის ბრალდებას ადასტურებს. კერძოდ — სამაუწყებლო სკრინები, რომლებსაც ახალგაზრდა კაცი უგზავნიდა თავის რჩეულს იმ დროს, როცა მას კეისი ბარში ებღლარძუნებოდა.

ყმაწვილი დაწვრილებით აღუწერს თავის შეყვარებულს, როგორ ცდილობდა სახელგანთქმული მსახიობი მის დათრობას და გენიტალიებზე ხელის წავლებას. „იგი მერვედ მწვდა, — ჩივის დაზარალებული, — ცდილობს, ჩამხადოს შარვალი“. „კევინ სპეისი გეია“, — წერს თავზარდაცემული ახალგაზრდა კაცი.

იგი დაწვრილებით ყვება, თუ როგორ გაიცნო კაცი, რომელიც ჰგავდა სპეისს და აღმოჩნდა, რომ მართლაც ცნობილი პიროვნება იყო: მან ტელეფონის ნომერი სთხოვა, შემდეგ კი შესთავაზა, ერთად წასულიყვნენ. უარი რომ მიიღო, შემდეგ დაუწყო ბღლარძუნი.

დაზარალებულმა შეტყობინება გაუგზავნა თავის შეყვარებულსა და მეგობრებს. „სერიოზულად გწერთ. წამიც და ვურეკავ დედას. სერიოზულად, ძალიან სერიოზულად გეუბნებით. ყველაფერს გეფიცებით... დავთვერი, მაგრამ მასთან დაწოლა არ მსურს“.

კინოვარსკვლავის ადვოკატები აცხადებენ, რომ მიმოწერა ყალბია. ესემესების უმრავლესობას მიწერილი არ აქვს გაგზავნის თარიღი. დაცვა ვარაუდობს, რომ ბრალმდებელმა წაშალა სხვა ცნობები. სპეისი ჯიუტად იმეორებს, რომ უდანაშაულოა და ახალგაზრდა კაცის მიმართ არაკანონიერი არაფერი არ ჩაუდენია 2016 წელს მასაჩუსეტში. გაფუჭებული რეპუტაციის გამო „ამერიკული სილამაზის“ ვარსკვლავს არც ერთი სამომავლო სერიოზული პროექტი არ აქვს.

# ნეოლიბერალური ზნეობა

## ეს შეშლილი, შეშლილი კაცობრიობა

## სექსუალური იდენტიფიკაციის 50 ვარიანტი

**Associated Press იუწყება, რომ აშშ-ში „ფეისბუკის“ მოსარგებლე 159 მილიონ მოქალაქეს თავისი სექსუალური კუთვნილების დასადგენად შეუძლია 50 ვარიანტიდან ერთ-ერთი აირჩიოს.**



ცოტა ხნის წინათ ზოგიერთ ადამიანს შეეძლო ესაუბრა ლეგალიზაციის ქორწინების 30 ვარიანტის უმოკლეს დროში ლეგალიზაციის შესახებ. ეს აღიქმებოდა ფანტასტიკად, უმეტესობა კი შეშლილი ადამიანის ბოდვად, ელემენტარულ გიჟობად მიიჩნევდა.

მაგრამ გადის დრო და დღეს ვიგებთ, რომ „ფეისბუკი“ ლგბტ თემთან კონსულტაციისა და ორიენტაციაარეულებთან ერთობლივი მუშაობის შედეგად, ინტერნეტქსელების მომხმარებლებს სთავაზობს ახალ შესაძლებლობას — 50-დან აირჩიეს ერთ-ერთი, რომლის ხოშიც აქვს და ოფიციალურად განაცხადოს, რომ ამა და ამ გენდერული სახეობის წარმომადგენელია. ცოტა ხნის წინათ ინტერნეტში ჩასახლებულებს მიაჩნდათ, რომ არჩევანი ისეთივე უმარტივესი პროცედურა იყო, როგორც ნებისმიერი თამაშის (ბავშვების, ყმაწვილების) მონაწილე გუნდებისთვის შემადგენლობის შერჩევა: არჩევანი — მე, არადანი — შენ, შენ — ქალი და მე — კაცი. დღეს, ანუ დემოკრატიის განვითარების პიკზე აკაუნტის მფლობელ მოქალაქეს შეუძლია თავის პროფილში შეცვალოს ეს სტრიქონი.

დღეს გენდერული თვითინდიფიკაციის კლასიკურ შესაძლებლობათა სიაში დამატებულია ახალი ვარიანტები. ეს ინფორმაცია ფართო საზოგადოებას „ფეისბუკის“ ოფიციალურ გვერდზე შესთავაზეს.

„თუ „ფეისბუკზე“ შედიხარ იმ მიზნით, რომ ურთიერთობა დაამყარო იმ ადამიანებთან და საზოგადოებებთან, რომლებიც თქვენთვის საინტერესოა, კომფორტულად იგრძნო თავი და, ამასთანავე, დარჩე ისეთად, როგორიც ხარ, ეს დასაძრახი არ არის. ასეთი ურთიერთობის დამყარების პროცესის მნიშვნელოვან ნაწილთა თვითინდიფიკაცია, მათ შორის, სექსუალური ნიშნითაც, განსაკუთრებით მაშინ, როცა იგი სცილდება „ქალის ან მამაკაცის“ ალტერნატივის ჩარჩოებს“, — ნათქვამია ინტერნეტგიგანტის განცხადებაში.

„ფეისბუკის“ თანამშრომლის — **ბრიელ ჰარისონის** განცხადებით, რომელიც წარმოგვიდგება ტრანსექსუალად, ეს სიახლეები მნიშვნელოვანი მიჯნა იქნება მომხმარებლებისთვის, რომლებიც მანამდე უყურადღებოდ იყვნენ მიტოვებულები, უფლებააყრილ ადამიანებად თვლიდნენ თავს, რადგან არ ჰქონდათ უფლება, აერჩიათ ის სქესი, რომელიც, მათი აზრით, უკეთესად ასახავს მათ შინაგან ბუნებას.

„უამრავი ადამიანისთვის ეს შეუმჩნევლად გაივლის, მაგრამ ზოგისთვის ეს ნამდვილი გარღვევაა“, — შენიშნა ჰარისონმა.

# ამერიკელი «ბიზნესკონსულტანტი» 10 წლის განმავლობაში იღებდა პორნოს რუსი ბავშვების მონაწილეობით



**ჩელიაბინსკის საოლქო სასამართლომ უცვლელად დატოვა რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება აშშ-ის მოქალაქისა და ჩელიაბინსკში მცხოვრები ქალის მიმართ, რომლებიც შარშან შემოდგომაზე აღიარეს პორნოგრაფიული მასალების დამამზადებლად, რომლებშიც არასრულწლოვანები მონაწილეობდნენ.**

გამოძიებამ დაადგინა, რომ აშშ-ის მოქალაქე **დევიდ აირა ლენგი** ჩელიაბინსკში ჩავიდა 2001 წელს ბიზნესკონსულტანტად.

2005 წელს ამ კაცმა ნაქირავებ ბინაში გახსნა თავისი გახრწნილი მინიჰოლივუდი, რომელშიც იღებდა პორნოგრაფიულ ფოტო და ვიდეომასალებს, მის „მსახიობთა“ შორის იყვნენ 14 წლის ასაკს მიუღწეველი ბავშვებიც.

გამოძიებისას გაირკვა, რომ იგი პორნოპროდუქციას აგზავნიდა აშშ-ში და ჰონორარს იღებდა თავის საბანკო ანგარიშზე. 2014 წლიდან მან აქტიურად დაიწყო ინტერნეტის გამოყენება პორნომასალების გასავრცელებლად. 2015 წელს სამართალდამცველებმა აღკვეთეს მისი საქმიანობა და ეს გარყვნილი „ხელოვანი“ დააკავეს.

გამოძიების მონაცემებით, ამ საქმის მეორე ფიგურანტი იყო ქალი — ჩალიაბინსკის მკვიდრი **ეკატერინა იასინა**, ლენგის თანაშემწე და თარჯიმანი. იგი აწარმოებდა გასაუბრებას და სატელეფონო მოლაპარაკებას „მოდელებთან“, ამზადებდა მათ პორნოგადაღებებისთვის. მის მოვალეობაში შედიოდა განცხადებების განთავსება გაზეთებში.

2018 წლის ნოემბერში ჩელიაბინსკის საქალაქო სასამართლომ ამერიკელი რამდენიმე ეპიზოდში დამნაშავედ სცნო. დაადასტურა, რომ იგი უკანონოდ ამზადებდა და ინტერნეტქსელში განათავსებდა პორნოგრაფიულ მასალებს, მათ შორის, არასრულწლოვანების მონაწილეობით. ლენგს მაშინ 7,5 წლით პატიმრობა მიესაჯა.

გამოძიების ვერსიით, ლენგი არაერთხელ ამყარებდა სექსუალურ ურთიერთობას არასრულწლოვან მოდელებთან. მაგრამ დანაშაულის დამადასტურებელი ბაზის უკმარობის გამო ბრალდება შედარებით იოლ მუხლებზე გადაუკვალიფირდა. უტყუარად დაუდასტურდა არასრულწლოვანთან სექსუალური ურთიერთობის დამყარების მხოლოდ ერთი ფაქტი, თუმცა ამ ერთადერთი ეპიზოდის გამოც ვერ დასაჯა იგი სასამართლომ (ხანდაზმულობის გამო). იოლად გადარჩა იასინაც. სასამართლომ გაითვალისწინა შემამსუბუქებელი გარემოებები, კერძოდ ის, რომ მის კმაყოფაზე იყო არასრულწლოვანი შვილი და ორი წლით თავისუფლების აღკვეთა დაუწესა პირობით.

ლენგის დაცვა შეეცადა, გაესაჩივრებინა განაჩენი, მაგრამ სააპელაციო ინსტანციამ იგი უცვლელად დატოვა. სასამართლოს გადაწყვეტილება კანონიერ ძალაში შევიდა.

სასამართლო განხილვის პერიოდში ლენგს აღკვეთილი ჰქონდა თავისუფლება, მაგრამ შემდეგ შეეცვალა გაუსვლელობის ხელწერილით. იგი უცხოელი მოქალაქეების ჩელებიანსკის დროებით თავშესაფარში გადაიყვანეს, რადგან მას ქალაქ ჩელიაბინსკში კერძო ბინა არ ჰქონდა.

**PURDUE PHARMA სინთეტიკური ოპიოიდების საფუძველზე აწარმოებს ტკივილგამაყუჩებელ პრეპარატ OXYCONTIN-ს, რომელიც აშშ-ში რეცეპტით იყიდება. ოპიოიდური კრიზისი დაკავშირებულია სიკვდილიანობის მატებასთან ანალგეტიკური ოპიოიდების უკონტროლო გამოყენების გამო. 2017 წელს ოპიოიდებმა 50 ათასზე მეტი ადამიანი გამოასალმა სიცოცხლეს.**

უცხოეთის ამბები
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# თანამედროვე ფარმაციის ნამდვილი სახე




## PURDUE PHARMA მზად არის, 10-12 მლრდ დოლარი გადაიხადოს ოპიოიდური კრიზისის გამოწვევის გამო

**ტელეარხ NBC News-ის მიერ გავრცელებული ინფორმაციით, კომპანია Purdue Pharma, რომელიც მილიარდერი საკლერების ოჯახს ეკუთვნის, მზად არის, გადაიხადოს 10-12 მლრდ დოლარი 2 ათასზე მეტი სარჩელის დასაკმაყოფილებლად ოპიოიდური კრიზისის საქმეზე. ამ სკანდალურ საქმეზე ჩვენი გაზეთი ამა წლის თებერვალში წერდა (იხ. წერილი „როგორ და ვის მიერ არის ორგანიზებული ლეგალური ნარკომანია აშშ-ში და რას ნიშნავს სინამდვილეში ჩანაცვლებითი თერაპია". „საქართველო და მსოფლიო" №5, 2019 წ.).**



დევიდ საკლერი

ტელეარხის რესპონდენტთა თქმით, აგვისტოში კლივლენდში (ოჰაიოს შტატი) შტატების ათამდე გენერალური პროკურორი და ადვოკატები შეიკრიბნენ პოტენციურ გარიგებაზე სამსჯელოდ.

შეხვედრაზე Purdue-ს, აგრეთვე, შესთავაზეს გაკოტრების პროცედურა ერთ-ერთი პირობის შესაბამისად, რომელიც ითვალისწინებს კომპანიის გადაცემას სანდო მმართველებისთვის.

სარჩელებში, რომლებიც სასამართლოში შეიტანეს შტატებმა, ქალაქებმა და ოლქებმა, მოსარჩელეები ამტკიცებენ, რომ საკლერების ოჯახის კომპანია პასუხისმგებელია ოპიოიდური კრიზისის დაწყებაზე. NBC აღნიშნავს, რომ **დევიდ საკლერი,** რომელიც იყო კომპანიის დირექტორთა საბჭოს წევრი, ახლა, ფაქტობრივად, ოჯახის წარმომადგენელია კომპანიაში.

„საკლერების ოჯახმა შექმნა მრავალმილიარდიანი ნარკოიმპერია, რომლის საფუძველშიც დევს დამოკიდებულება", — განაცხადა ამა წლის მაისში ნიუ-ჯერსის გენერალურმა პროკურორმა **გურბირ გრევალმა.** მასაჩუსეტსის შტატის გენერალური პროკურორი **მაურა ჰილი** კი პირველი იყო, რომელმაც სარჩელში საკლერების ოჯახის წევრების სახელები მიუთითა.

ალსანიშნავია, რომ 2017 წელს Purdue-ს სასამართლოში უჩივლა სამხრეთ კაროლინის გენპროკურორმა **ალან უილსონმა.** მან განაცხადა, რომ კომპანია აქეზებდა ექიმებს, რომლებიც პაციენტებს რეცეპტურულ ტკივილგამაყუჩებლებს უწერდნენ, აგრეთვე, ამცირებდა პრეპარატის უკონტროლოდ გამოყენების რისკს. 2018 წლის მარტში Purdue Pharma-მ ოკლაჰომას 270 მლნ გადაუხადა. შტატის ხელისუფლებამ განაცხადა, რომ თანხის დიდი ნაწილი (200 მლნ) დაიხარჯებოდა ნარკომანიის შესასწავლი და სამკურნალო ცენტრის ასაშენებლად.

Purdue Pharma სინთეტიკური ოპიოიდების საფუძველზე აწარმოებს ტკივილგამაყუჩებელ პრეპარატ OxyContin-ს, რომელიც აშშ-ში რეცეპტით იყიდება.

ოპიოიდური კრიზისი დაკავშირებულია სიკვდილიანობის მატებასთან ანალგეტიკური ოპიოიდების უკონტროლო გამოყენების გამო.

2017 წელს ოპიოიდებმა 50 ათასზე მეტი ადამიანი გამოასალმა სიცოცხლეს.

**სარჩელებში, რომლებიც სასამართლოში შეიტანეს შტატებმა, ქალაქებმა და ოლქებმა, მოსარჩელეები ამტკიცებენ, რომ საკლერების ოჯახის კომპანია პასუხისმგებელია ოპიოიდური კრიზისის დაწყებაზე. NBC აღნიშნავს, რომ დევიდ საკლერი, რომელიც იყო კომპანიის დირექტორთა საბჭოს წევრი, ახლა, ფაქტობრივად, ოჯახის წარმომადგენელია კომპანიაში**

# ახალი ერა კოსმოსის ათვისებაში: შორეულ მოგზაურობაში ადამიანებს ხელოვნური ინტელექტის მქონე რობოტები შეცვლიან



**რუსული „სოიუზ MC-14"-ის ბორტზე რობოტი ფეოდორი მეორე ცდის შემდეგ შეუპირაპირდა საერთაშორისო კოსმოსურ სადგურს. სადგურისკენ მიმავალ გზაზე შეფერხებისთვის ფეოდორმა ბოდიში მოიხადა თავის გვერდზე სოციალურ ქსელ „ტვიტერში". კოსმოსური აპარატების სამომავლო მუშაობაში პირველ რიგში აამოქმედებენ რობოტებს, ოღონდ მათ არ აქვთ ისეთი ადამიანური სახე, როგორიც ფეოდორს.**

საერთაშორისო კოსმოსურ სადგურზე რობოტი იმუშავებს ავატარის რეჟიმში. მას სპეციალური კოსტიუმის დახმარებით მართავს კოსმონავტი **ალექსანდრე სკვორცოვი.**

**ფეოდორისგან ელიან სერიოზულ მიღწევებს. ეს მიღწევები დაკავშირებულია იმასთან, რომ ბევრ ოპერაციას, რომლებსაც ასრულებს ადამიანი, შეასრულებს ხელოვნური ინტელექტის მქონე რობოტი.** ბევრ ექსპერიმენტში ადამიანი სუსტი რგოლი აღმოჩნდა, რობოტი კი — გაცილებით საიმედო. რობოტები შეუცვლელი იქნებიან შორეული მოგზაურობისას, მაგალითად, მარსზე.



# ხანდაზმულ მოსკოველებს პენსია მოუმატეს

**მოსკოვის მერმა სერგეი სობიანინმა მოსკოველების პენსიებს 2000 რუბლი დაუმატა. ამჟამად ხანდაზმული მოსკოველების პენსია 19,5 ათას რუბლს, დაახლოებით 900 ლარს შეადგენს. ცვლილება ამოქმედდა 1 სექტემბრიდან.**



# მოსკოვში მასწავლებელთა საშუალო ხელფასი 114 ათასი რუბლია

**2019 წლის პირველი ნახევრის შედეგების მიხედვით, მოსკოვის სკოლების მასწავლებელთა საშუალო ხელფასმა 114 ათასი რუბლი (დაახლოებით 5 ათასი ლარი) შეადგინა.**



# რატომ ეძახიან ამერიკელებს «პინდოსებს»?

**საბერძნეთის დასავლეთსა და ალბანეთში არის მთათა სისტემა პინდი — ბერძნულად პინდოსი. თვით ბერძნები, აგრეთვე, მათი მეზობლები იმ ადგილიდან გამოსულთ გონებაჩლუნგ, ხარბ და მშიშარა ადამიანებად მიიჩნევდნენ.**

არსებობს ვერსია, რომ ბერძნებმა ეს სიტყვა სრულიად ბალკანეთში გაავრცელეს, კერძოდ, გაიტანეს იუგოსლავიაში, სადაც ქვეყნის დაშლისა და გაუთავებელი ომის პერიოდში აიტაცეს და ამერიკელ „მშვიდობისმყოფელებს" მიაკერეს.

გვერდი მოამზადა **ნიკა კორინთელმა**

ყველაზე ყველაზე...
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



კაცობრიობის ისტორიაში ყველაზე დიდი საგანძური იპოვეს 2011 წელს ინდოეთში პადმანამბჰასვამის ტაძარში, რომელიც აგებულია XVI საუკუნეში და მდებარეობს ინდოეთის სამხრეთ-დასავლეთით — შტატ კერალში. ნაპოვნი განძეულის ღირებულება დაახლოებით 22 მლრდ დოლარია.

ვინ არ ოცნებობს ისეთი განძის პოვნაზე, რომელიც უზრუნველყოფილი ცხოვრების საშუალებას მისცემს და იმით დაკავდება, რაც მართლა აინტერესებს? ყოველთვის, როცა არქეოლოგის ან ექსკავატორის ნიჩაბი მიწას თხრის, არის შანსი უძველესი საგანძურის პოვნისა. და ზოგჯერ იღბლიანები ყველასთვის მოულოდნელ ადგილას აღმოაჩენენ ხოლმე უზარმაზარ საგანძურს.

# 8 ყველაზე ძვირფასი საგანძური, რომლებიც შემთხვევით იპოვეს



## შრი პადმანამბჰასვამის განძი

კაცობრიობის ისტორიაში ყველაზე დიდი საგანძური იპოვეს 2011 წელს ინდოეთში პადმანამბჰასვამის ტაძარში, რომელიც აგებულია XVI საუკუნეში და მდებარეობს ინდოეთის სამხრეთ-დასავლეთით — შტატ კერალში. ნაპოვნი განძეულის ღირებულება დაახლოებით 22 მლრდ დოლარია.



## უცნობის ოქროს ზოდები

სიდიდით მეორე განძი 2005 წელს იპოვეს ჩილეში. მაძიებლებმა ზღვაში, 50 მ-ის სიღრმეში ოქროს ზოდებით სავსე 600 კასრი იპოვეს. განძის საერთო ღირებულებამ 10 მლრდ დოლარი შეადგინა. მიუხედავად იმისა, რომ განძი იოლად იპოვეს, მის ამოღებას რამდენიმე წელი მოუნდნენ. ვის ეკუთვნოდა ეს ოქროს ზოდები, დღემდე დაუდგენელია.



## საძავო განძი

2009 წელს მყვინთავებმა სამხრეთ ამერიკის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში მდებარე სახელმწიფო გაიანის სანაპიროსთან ახლოს, ოკეანის ფსკერზე, იპოვეს უზარმაზარი განძი, რომლის ღირებულებაც 3 მლრდ დოლარია. მეორე მსოფლიო ომის პერიოდში ამ ადგილას ჩაიძირა გემი, რომლის ტრიუმიც სავსე იყო ოქროთი, პლატინითა და ბრილიანტებით. ამ ძვირფასი ტვირთის მფლობელები იყვნენ საბჭოთა კავშირი და დიდი ბრიტანეთი, მაგრამ ამერიკულ კომპანიასთან დღესაც მიმდინარეობს დავა ამ განძის განაწილებაზე.



## კონკისტადორების ოქრო

2015 წლის დეკემბერში კოლუმბიის სანაპიროსთან აღმოაჩინეს ძვირფასეულობით დატვირთული ესპანური ხომალდი, რომელიც კარიბის ზღვის ფსკერზე 300 წლის განმავლობაში იყო ჩაძირული. განძის მფლობელობაზე პრეტენზია განაცხადა კოლუმბიამ, რომელსაც ფსკერიდან ამოღების შემდეგ გადაეცემა კიდეც 1 მლრდად შეფასებული ოქრო, ვერცხლი და ალმასები.





## ოქროს გალიონი

ცნობილი ესპანური გალიონი Nuestra Senora de Las Mersedes-ი, რომელიც ოქროთი იყო დატვირთული, მყვინთავებმა 2007 წელს აღმოაჩინეს პორტუგალიის სანაპიროსთან ახლოს. ნაპოვნი სრულად (ჯილდოს გარდა) წაიღო ესპანეთის სახელმწიფომ, თუმცა საგანძურის დიდი ნაწილი, რომელიც 1,7 მლრდ დოლარად არის შეფასებული, ისევ ფსკერზეა — ესპანეთს ჯერჯერობით არ აქვს ამ განძის ამოღების რესურსი.







## Nuestra Senora de Atocha

კიდევ ერთი ესპანური გალიონი სამწუხარო ბედითა და განძით, რომელმაც ზღვის ფსკერზე 5 საუკუნე გაატარა. თავის დროზე ამ ხომალდით გადაჰქონდათ ესპანელებს ოქრო და ძვირფასი ქვები. მყვინთავებმა გემის ტრიუმში იპოვეს 500 ათასზე მეტი არტეფაქტი, მხოლოდ ზურმუხტი — 4 ათასი ცალი. საგანძური შეფასებულია 450 მლნ დოლარად.



## მეკობრეთა ხომალდის ზარბაზნები, მონეტები და ზარი

Whydah-ი მეკობრეთა ერთადერთი ჩაძირული ხომალდია, რომელიც იპოვეს. ეს იყო მეკობრეთა ცნობილი კაპიტნის — **სემ ბელამის** ფლაგმანი ხომალდი, რომელიც 1984 წელს აღმოაჩინა ბარი კლიფორდმა. საგანძური კი ამ ხომალდიდან დღემდე ამოაქვთ ხმელეთზე. უკვე ამოღებულია 200 ათასი ექსპონატი, მათ შორის ზარბაზნები, მონეტები, ოქროს სამკაულები და გემის ზარი. საგანძური შეფასებულია 400 მლნ დოლარად.

## დიდი ბრიტანეთის ვერცხლი

ბრიტანული ხომალდი SS Gairsoppa, რომელიც დატვირთული იყო ვერცხლის ზოდებით, მეორე მსოფლიო ომის პერიოდში, 1941 წელს, ჩაძირა გერმანულმა წყალქვეშა ნავმა. ხომალდზე ნაპოვნი განძი 200 მლნ აშშ დოლარად არის შეფასებული.

მოამზადა **ნიკა კორინთელმა**

„მიშა ქორქია გუნდში ყველას უყვარდა. ხშირად ხუმრობდა. დარწმუნებული იყო, რომ მიუნხენის ოლიმპიადაზე გავიმარჯვებდით. განსაკუთრებული ადამიანი იყო. საბჭოთა კავშირის ჩემპიონატების თბილისის ტურები ყოველთვის მთავრდებოდა ქორქიების ოჯახში გაშლილი სუფრით. მასპინძლობას მიშას მეუღლე, ქალბატონი მანანა, გვიწევდა“.

სპორტი
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# მიხეილ ქორქია — ლეგენდარული დინასტიის ბრწყინვალე წარმომადგენელი

**გამორჩენილ ქართველ კალათბურთელს, სსრკ-ის სპორტის დამსახურებულ ოსტატს, XX ოლიმპიური თამაშების (1972 წ. მიუნხენი) ჩემპიონს, ევროპისა და სსრკ-ის ჩემპიონ მიხეილ ქორქიას 10 სექტემბერს 71 წელი შეუსრულდებოდა.**

2013 წელს გამოცემულ „ქართული სპორტის ოქროს წიგნში“ **მიხეილ ქორქიაზე** ამოიკითხავთ შემდეგ ფრაზას: „კალათბურთის ძველი გულშემატკივრები, ისინი, ვისაც სხვადასხვა თაობის ქართული გუნდების მატჩები უნახავთ, ერთხმად ადასტურებენ, რომ ბრძოლის ჟინითა და სპორტული აზარტით ის ყველას აღემატებოდა. ის იყო ლიდერი, მოედანზე ცეცხლის დამნთები, თანაგუნდელებისა და გულშემატკივრების ამყოლიებელი, შეტევის ორგანიზატორი და დამაგვირგვინებელი და ამ დაუოკებელ ჟინსა და თავგამოდებას საფუძვლად ედო მაღალი ოსტატობა, საmagალითო ტექნიკა და შეუმცდარი სათამაშო ინტუიცია. მან თითქმის 15 წელი ითამაშა თბილისის „დინამოში“ და გუნდში მისვლის პირველი დღეებიდანვე შეუცვლელ მოთამაშედ იქცა. სწორედ ეს თვისებები განაპირობებდა მის განსაკუთრებულ პოპულარობას საქართველოში თუ მის ფარგლებს გარეთ. სწორედ ამიტომ აღიარეს ის ყველა დროის ერთ-ერთ გამორჩეულ კალათბურთელად“.

მიხეილ ქორქია 1948 წლის 10 სექტემბერს დაიბადა ქუთაისში. ბავშვობაში ბევრი რამის ნიჭი გამოავლინა — კარგად ხატავდა, ცეკვავდა, უკრავდა ფორტეპიანოზე, შესანიშნავად აითვისა მათემატიკა... მაგრამ ბიძის, გამორჩენილი ქართველი კალათბურთელის — **ოთარ ქორქიასა** და მამის გავლენით კალათბურთში დაიწყო ვარჯიში მწვრთნელ **სულიკო თორთლაძესთან.** აქვე აღვნიშნავთ, რომ სულიკო თორთლაძის აღზრდილია, აგრეთვე, ქართული კალათბურთის ბრწყინვალე წარმომადგენელი, ოლიმპიადისა და მსოფლიო ჩემპიონი **ზურაბ საკანდელიძე**, მსოფლიოსა და ევროპის **ჩემპიონი ნიკოლოზ დერუგინი,** 1990-იანი წლების გამორჩენილი ქართველი კალათბურთელი **გელა დარსაძე** და სხვ.

ქორქიები რამდენიმე ათეული წლის განმავლობაში ბრწყინავდნენ საკალათბურთო მოედნებზე. **ოთარი, მიხეილი** და **ნოდარი ქორქიების** შესანიშნავი საკალათბურთო დინასტიის წარმომადგენლები არიან. მათ ბევრი ბრწყინვალე ფურცელი ჩაწერეს ქართული სპორტის ისტორიაში.

**ოთარ ქორქია** 1952 წლის ოლიმპიადის ვერცხლის პრიზიორი, სსრკ-ისა და თბილისის „დინამოს“ უცვლელი კაპიტანი იყო, რომელსაც ერთ-ერთმა ჩეხურმა გამოცემამ „კალათბურთის ევერესტი“ უწოდა.

**ნოდარ ქორქია,** სახელგანთქმული ოთარ ქორქიას შვილი და მიხეილ ქორქიას ბიძაშვილი, გასული საუკუნის 70-იან წლებში იცავდა თბილისის „დინამოს“ ღირსებას.

მიხეილ ქორქიას ბიოგრაფიაში საუკეთესო იყო 1972 წელი, როდესაც მიუნხენში გამართულ ოლიმპიურ თამაშებში საბჭოთა კავშირის ნაკრების შემადგენლობაში ზურაბ საკანდელიძესთან ერთად ამერიკის შეერთებული შტატების ნაკრები დაამარცხა და ოქროს მედალი მოიპოვა.

სტაჟიან გულშემატკივრებს ახსოვთ ეს დრამატული მატჩი, რომლის ბოლო 3-მა წამმა ოლიმპიური ჩემპიონის ბედი გადაწყვიტა, როცა **ივანე ედეშკომ** მოედნის ერთი ბოლოდან მეორეში ფანტასტიკური გადაცემით მეტოქის ფარქვეშ გაიყვანა **ალექსანდრე ბელოვი**, მან კი 2 ოქროს ქულა მოუტანა საბჭოთა კავშირის ნაკრებს. მანამდე კი იყო ორი მნიშვნელოვანი ეპიზოდი, რომლებმაც საბჭოთა კავშირის ნაკრებს ამერიკელები დაამარცხებინა: სასტვენამდე 3 წამით ადრე ზურაბ საკანდელიძის ჯარიმამ საბჭოთა ნაკრებს დროის შეჩერებასა და გონს მოსვლის საშუალება მისცა. საერთოდ, ზურაბ საკანდელიძე რომ არა, ეს „სამი წამიც“ არ იქნებოდა. იმ მომენტში ანგარიში იყო 49:48 სსრკ-ის სასარგებლოდ. საფინალო სასტვენამდე 12 წუთით ადრე კი იყო მიხეილ ქორქიასა და ამერიკელი **დუაიტ ჯონსის** ინციდენტი, რომლის გამოც ორივე კალათბურთელი მოედნიდან გააძევეს. აი ამ ეპიზოდების შემდეგ იყო ის ცნობილი „3 წამი“, რომელმაც საბჭოთა კალათბურთის ისტორიაში უდიდესი გამარჯვება მოუტანა — 51:50.





მიხეილ ქორქია კოლეგებისადმი განსაკუთრებული სითბოთი გამოირჩეოდა, აი როგორ ახასიათებდა მას 1972 წლის ოლიმპიური ჩემპიონი, სსრკ-ის ნაკრებისა და მოსკოვის „დინამოს“ წევრი **ალექსანდრე ბოლოშევი:** „მიშა ქორქია გუნდში ყველას უყვარდა. ხშირად ხუმრობდა. დარწმუნებული იყო, რომ მიუნხენის ოლიმპიადაზე გავიმარჯვებდით. განსაკუთრებული ადამიანი იყო. საბჭოთა კავშირის ჩემპიონატების თბილისის ტურები ყოველთვის მთავრდებოდა ქორქიების ოჯახში გაშლილი სუფრით. მასპინძლობას მიშას მეუღლე, ქალბატონი მანანა, გვიწევდა“.



მიხეილ ქორქია, ნინა ერიომინა (კომენტატორი), ოთარ და ნოდარ ქორქიები

ერთ-ერთ ინტერვიუში მიხეილ ქორქია ამბობდა: „ზურაბი (საკანდელიძე — ნ.კ.) ბოლო წლებში მძიმედ იყო ავად. ვიცოდი, რომ ამქვეყნიდან მალე წავიდოდა. მიუხედავად ამისა, მისმა გარდაცვალებამ შემძრა. ზურაბმა წაიღო ჩემი ნაწილი. ჩვენ ხომ ყოველთვის ერთად ვიყავით: დავიბადეთ ერთ ქალაქში — ქუთაისში, ვთამაშობდით ერთ გუნდში, შემდეგ ერთად ვავარჯიშებდით თბილისის „დინამოს“. მას მაგარი გული ჰქონდა, მაგრამ ღვიძლმა უღალატა“.

მიხეილ ქორქიამ მეგობარი მხოლოდ 13 დღეს იგლოვა, მერე კი გულმა უღალატა — 2004 წლის 7 თებერვალს.

*მოამზადა*
**ნიკა კორინთელმა**





ზურაბ საკანდელიძე და მიხეილ ქორქია



# «გაეთრიეთ ჩვენი ქუჩებიდან»

## ბოსტონში ჰეტეროსექსუალების მარში კონტრაქციის მონაწილეებმა დაარბიეს



**31 აგვისტოს მასაჩუსეტსის შტატის ქალაქ ბოსტონში, ტრადიციული ოჯახური ღირებულებების დაცვის მიზნით, ჰეტეროსექსუალების მარში გაიმართა, თუმცა ღონისძიებაზე კონტრაქციის მონაწილეები შეიჭრნენ, რის შედეგადაც პოლიციამ 30-ზე მეტი ადამიანი დააკავა.**

მარშის მონაწილეებს ხელში ეკავათ ტრანსპარანტები წარწერებით: „მშვენიერია, იყო ტრადიციული სექსუალური ორიენტაციის“, „ მხარს ვუჭერთ ჩვენს ჯარს“, „ავაშენოთ კედელი და დანაშაული შემცირდება“.

კონტრაქციის მონაწილეებმა მარშის მონაწილეები შეურაცხყვეს და სკანდირებდნენ: „გაეთრიეთ ჩვენი ქუჩებიდან, თუ არ არის სამართლიანობა — არ არის მშვიდობა“. ბოსტონის მერმაც დაგმო ჰეტეროსექსუალების მარში და მცხოვრებლებს მოუწოდა, სხვა წვეულებებსა და ღონისძიებებს დასწრებოდნენ, რომლებიც ამ მომენტში ქალაქში აღინიშნებოდა. ბოსტონის პოლიციის ინფორმაციით, მარშზე 34 ადამიანი დააკავეს, 9 საავადმყოფოში გადაიყვანეს, ხოლო 4-მა პოლიციელმა მსუბუქი დაზიანებები მიიღო.

ღონისძიების ორგანიზატორები პირობას დებენ, რომ ჰეტეროსექსუალების აღლუმს კიდევ გამართავენ.

# «რუსეთისა და ბელარუსის ინტეგრაციისას ლაპარაკია ორი ეკონომიკის, როგორც თანასწორი პარტნიორების, გაერთიანებაზე»



**რუსეთის ეკონომიკის მინისტრ მაქსიმ ორეშკინის თქმით, რუსეთისა და ბელარუსის ინტეგრაცია სახელმწიფოების გაერთიანებას კი არ წარმოადგენს, არამედ საუბარია ორი ეკონომიკის, როგორც თანასწორი პარტნიორების, გაერთიანებაზე.**

შეთანხმება მიღწეულია ჯერ კიდევ 1999 წელს და ის რატიფიცირებულია. ახლა ვამზადებთ ყველაფერს კონკრეტული ვადებისა და მიმართულებების მიხედვით. გვქონდა გარკვეული უთანხმოებები, მაგრამ ჩვენი სამუშაო ჯგუფები ამ წინააღმდეგობებს ვამუშავებთ, რათა წარვუდგინოთ ისინი უმაღლეს პოლიტიკურ ხელმძღვანელობას, რომ მათ განიხილონ ყველაფერი და მიიღონ გადაწყვეტილებები, — თქვა ორეშკინმა.

ამა წლის 18 ივლისს ბელარუსის პრეზიდენტმა ალექსანდრე ლუკაშენკომ რუსეთის სახელმწიფო მეთაურ ვლადიმერ პუტინთან შეხვედრისას წინადადება წამოაყენა, რომ დეკემბრისთვის ორი სახელმწიფოს ინტეგრაციის სტრატეგია მოემზადებინათ.

# ტრამპმა, ლუკაშენკომ და ფაშინიანმა პუტინს სოლიდარობა გამოუცხადეს და პოლონეთში არ ჩავიდნენ

**აშშ-ის პრეზიდენტმა დონალდ ტრამპმა გააუქმა პოლონეთში ვიზიტი, რომელიც 31 აგვისტო-2 სექტემბერს უნდა გამართულიყო. მას მონაწილეობა უნდა მიეღო მეორე მსოფლიო ომის დაწყების 80 წლისთავისადმი მიძღვნილ ღონისძიებებში. ტრამპის მიერ პოლონეთში გამგზავრებაზე უარის თქმის ოფიციალურ მიზეზად ფლორიდის შტატში ქარიშხალ „დორინის“ მიახლოება დასახელდა. აშშ-ის პრეზიდენტის ნაცვლად პოლონეთში გაემგზავრება ვიცეპრეზიდენტი მაიკ პენსი.**

ექსპერტთა აზრით, ვარშავაში გამართული ღონისძიებები დესტრუქციული ხასიათის იყო და მიმართული რუსეთის წინააღმდეგ. ამიტომ ქარიშხალი მნიშვნელოვანი მიზეზია, მაგრამ არა განმსაზღვრელი, ის, უბრალოდ, საბაბია. ექსპერტებმა გაიხსენეს, რომ უფრო ადრე, G7-ის სამიტის მიმდინარეობისას, **ტრამპი** გამოვიდა მოწოდებით, რომ „დიდი შვიდეულის 2019 წლის სამიტზე რუსეთის პრეზიდენტი **ვლადიმერ პუტინიც** მიეწვიათ, მაგრამ G7-ის ყველა ქვეყანამ მხარი არ დაუჭირა აშშ-ის პრეზიდენტს.

აღსანიშნავია, რომ ვარშავაში გამგზავრებაზე უარი თქვეს ბელარუსის პრეზიდენტმა **ალექსანდრე ლუკაშენკომ** და სომხეთის პრემიერმინისტრმა **ნიკოლ ფაშინიანმა;** აგრეთვე ევროსაბჭოს პრეზიდენტმა, პოლონეთის ყოფილმა პრემიერმა **ტუსკმა**, ხოლო პოლონეთის პირველმა პრეზიდენტმა **ლ. ვალენსამ** ოფიციალური ვარშავის ქმედება დაგმო.

პოლონური გამოცემა Pzecrpospolita წერს, რომ პოლონეთის ლიდერმა მოსაწვევი არ გაუგზავნა ვლადიმერ პუტინს. ამის გამო მინსკმა უარი განაცხადა პოლონეთში უმაღლესი რანგის პოლიტიკოსების გაგზავნაზე.



# ფრანგების ორ მესამედს პრეზიდენტი მაკრონი არ მოსწონს

**საფრანგეთში ჩატარებულმა გამოკითხვამ აჩვენა, რომ ფრანგი ამომრჩევლების ორი მესამედი პრეზიდენტ ემანუელ მაკრონის მმართველობით უკმაყოფილოა.**

საერთაშორისო გამოკითხვებისა და ბაზრის კვლევის ფრანგული კომპანია Ifop-ის მიერ ჩატარებული კვლევის თანახმად, გამოკითხული ამომრჩევლების მხოლოდ 34% ამბობს, რომ მაკრონის, როგორც პრეზიდენტის, მოქმედებებით კმაყოფილია, 66% კი ამბობს, რომ უკმაყოფილოა.

კვლევა 21-22 აგვისტოს ჩატარდა, გამოიკითხა 1000-მდე ადამიანი.



საქართველო და მსოფლიო

თუ გსურთ, გაზეთი „საქართველო და მსოფლიო“ მიიღოთ სახლიდან გაუსვლელად და ისარგებლოთ უფასო საკურიერო მომსახურებით, შეგიძლიათ დაუკავშირდეთ შემდეგ კომპანიებს:
„ ელვა.ჯი“ — ტელ: 2 38 26 73; 2 38 26 74
„მაცნე“ — ტელ: 599 982 773; 2 14 74 22

# გერმანიის ორ მხარეში ტრადიციული ფასეულობების მომხრე პარტია მეორე ადგილზე გავიდა



**ულტრამემარჯვენე პარტიამ „ალტერნატივა გერმანიისთვის“ გერმანიის აღმოსავლეთის ორ მხარეში — ბრანდენბურგსა და საქსონიაში ადგილობრივ არჩევნებზე პოზიციები გაიუმჯობესა და მეორე ადგილზე გავიდა.**

საქსონიაში პირველ ადგილზეა მმართველი „ქრისტიანულ-დემოკრატიული კავშირი“ 32,1%-ით, რომლის პოზიციებიც წინა არჩევნებთან შედარებით 7,3%-ით გაუარესდა. „ალტერნატივამ გერმანიისთვის“ ხმების 27,5% მიიღო. მესამე ადგილზეა პარტია „მემარცხენეები“ (გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ყოფილი კომუნისტური პარტია) — 10,4. ბრანდენბურგის მხარეში პირველ ადგილზე სოციალურ-დემოკრატიული პარტია 26,2%(-5,7%) გავიდა. ეს პარტია ამ მხარეს უწყვეტად მართავს გერმანიის გაერთიანების შემდეგ. მეორე ადგილზეა „ალტერნატივა გერმანიისთვის“ 23,5%-ით, მესამეზე — „ქრისტიანულ-დემოკრატიული კავშირი“ 15,6%-ით.

კოალიციების შექმნა ორივეგან რთული იქნება, რადგან წამყვანი პარტიები — „ქრისტიანულ-დემოკრატიული კავშირი“ და „სოციალ-დემოკრატიული პარტია“ (რომლებიც ფედერალურ დონეზე კოალიციაში არიან) ულტრამემარჯვენეებთან გაერთიანებას გამორიცხავენ. ამ ორ პარტიას კი კოალიციისთვის ხმები არ ჰყოფნის და წვრილ პარტიებთან მოლაპარაკებები დასჭირდება.

## ძვალ-სახსართა პათოლოგიისა და გახდომა-გასუქების ცენტრი

კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, ოსტეოპარეზის, ოსტეოართროზის, რევმატოიდული ართროზის, ანკილოზიური სპონდილიტის, პოდაგრული ართრიტისა და პოლიართრიტის მკურნალობა, დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების მოხსნა. მკურნალობა საოპერაციო და უშედეგოდ ნაოპერაციებ სახსრებზე უახლესი მეთოდებით.

ზრდის სწრაფი და ეფექტიანი პროგრამები 2-დან 25 წლამდე კურსით 3-5 სმ-ის მომატებით, მაღალეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც.

გახდომა-გასუქება 5-დან 20კგ-მდე თვეში, მარტივად და უსაფრთხოდ, დიეტების, აკრძალვების, ვარჯიშების გარეშე, ნივთიერებათა ცვლისა და კუჭ-ნაწლავის მოწესრიგებით, ქოლესტერინისგან გაწმენდით, ყველაფერი — მცენარეული პრეპარატებით, უკუჩვენების გარეშე.

**ტელ: 599-722-138; 247-58-83**
**მის.: წერეთლის №142, I სართ.**
**კაბინეტი №6. ქალბატონი ქეთევანი**

www.geworld.ge
საქართველო და მსოფლიო
ესტუმრეთ ჩვენს საიტს
პოლიტიკა ეკონომიკა საზოგადოება ადამიანის უფლებები ისტორია

სარედაქციო კოლეგია
გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
ავტორებს ეკისრებათ პასუხისმგებლობა ფაქტებისა და მონაცემების სიზუსტეზე. რედაქციის პოზიცია შეიძლება არ ემთხვეოდეს ავტორთა მოსაზრებებს.
მისამართი: თბილისი, დავით ბაქრაძის ქ. №6
ტელ.: 234-32-95; e-mail: geworld@inbox.ru

ISSN 2233-3894